პალიტრა მედია

ლელო 80 წლისაა

პირველი ქართული სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან

16 აპრილი **ოთხშაბათი** 2014

№072 (14 293) ფასი 80 თეთრი

ეროვნული ბიბლიოთეკა
საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

# ეს ჟურნალი იყო, კინო წინ გვაქვს



# რა ბედი ელის შენგელიას?

## ჩიკაგომ ქართველი გუნდიდან გაუშვა

↳12



## წითელი ბარათი... მსაჯს?

მალე საქმეში პროკურატურაც ჩაერთვება

↳2

## ფედერაციის თასი დღეს ნაკრები გაბიძვილის გარეშე იწყებს



## ლევან კობიაშვილის განვლილი კარიერა ემოციებში

↳3





↳13

უ-20. მსოფლიოს ალაფა

## ფინალამდე ერთი ლელო დაგვაკლდა!

## დორტმუნდი ფინალშია და ბაიერნს ელის



↳6

## კლასიკო ფინალში

↳9

ეროვნული ბიბლიოთეკა

კონფერენცია

# პრემიერი: სახელმწიფო ხელს შეუწყობს რეგიონის საფეხბურთო გუნდებსა და ბავშვთა ფეხბურთს

15 აპრილს, საგამოფენო ცენტრ „ექსპო ჯორჯიაში" სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს ორგანიზებით დაიწყო კონფერენცია თემაზე - „სპორტის სახელმწიფო პოლიტიკა: გამოწვევები და პერსპექტივა".

კონფერენციაში მონაწილეობდნენ სლოვენიელი, ამერიკელი, დიდი ბრიტანელი და უკრაინელი ექსპერტები. გახსნაზე საქართველოს ხელისუფლება სოლიდურად იყო წარმოდგენილი: პრემიერ-მინისტრი **ირაკლი ღარიბაშვილი**, შინაგან საქმეთა მინისტრი **ალექსანდრე ჭიკაიძე**, განათლებისა და მეცნიერების მინისტრი **თამარ სანიკიძე** და, ცხადია, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრი **ლევან ყიფიანი**. შეხვედრაზე მიწვეულები იყვნენ საქართველოს საფეხბურთო ჩემპიონატის უმაღლესი ლიგის კლუბებისა და საფეხბურთო პროფკავშირების წარმომადგენლები.



ირაკლი ღარიბაშვილის გამოსვლა კონფერენციაზე

ფოტო: msy.gov.ge

ღარიბაშვილმა თავის გამოსვლაში ფეხბურთზეც ილაპარაკა და მნიშვნელოვანი განცხადებაც გააკეთა:

„ახლახან, მთავრობამ დაამტკიცა ძალიან მნიშვნელოვანი დოკუმენტი, რომელიც სპორტის სახელმწიფო პოლიტიკას ეხება და განსაზღვრავს განვითარების სტრატეგიულ მიმართულებებს. მთავრობა ინტენსიურად მუშაობს იმისთვის, რომ სპორტს ჰქონდეს მაქსიმალური ხელშეწყობა სახელმწიფოს მხრიდან და სახელმწიფო დაფინანსება ქართული სპორტის განვითარების საქმეში სოლიდური იყოს. ამ მიმართულებით კონკრეტული ნაბიჯები უკვე გადავდგით. სპორტის სახელმწიფო პოლიტიკა ხელს შეუწყობს რეგიონულ საფეხბურთო გუნდებს, ბავშვთა ფეხბურთს, რაც დადებითად აისახება ქართული ფეხბურთის აღორძინებაზე. დარწმუნებული ვარ, სპორტის განვითარების სახელმწიფო პოლიტიკა ქართული სპორტის მიმართ მოსახლეობის დამოკიდებულებას სასიკეთოდ შეცვლის და კიდევ უფრო გაზრდის მის მიმართ ინტერესს. ამავე დროს, მთავრობა ხელს შეუწყობს ინვესტიციების შემოსვლასა და დაფინანსების მოძიებას, რომელიც ქართული სპორტის განვითარებას მოხმარდება", - განაცხადა პრემიერმა.

**მერაბ მამულაშვილი**

აქტუალურ თემაზე

# ეს ჯერ ჟურნალია, განკითხვის დღეც მალე მოვა

## ფეხბურთის ფედერაციაში ინფორმაცია კონკრეტულ მსაჯზეც აქვთ

**მიმდინარე ევროსეზონის დასაწყისში უეფამ ხარკოვის „მეტალისტი" გათამაშებიდან ისე მოკვეთა და დისკვალიფიკაცია მისცა, საგამოძიებო ორგანოებიდან ჩაწყობილი თამაშების შესახებ საბოლოო ინფორმაციას არ დალოდებია. მანამდე, უეფას საკმარისი ინფორმაცია ჰქონდა იმის შესახებ, რომ ეს გუნდი გარიგებულ თამაშებში მონაწილეობდა. ევროპული ფეხბურთის მამებმა „მეტალისტის" შესახებ თავიანთი ინფორმაცია სამართალდამცავებს მხოლოდ ამის შემდეგ გადაუგზავნეს და ზაფხულიდან მოყოლებული, საქმის გამოძიება დღემდე გრძელდება...**

ეს ისე, შესავლად, სხვა მხრივ კი, „მეტალისტი", შესაძლოა, მოგონებად დარჩეს იმ რამდენიმე ქართული გუნდისთვის, რომლებზეც გარიგებულ მატჩებში მონაწილეობის შესახებ ინფორმაცია საქართველოს ფეხბურთის ფედერაციაში დევს და პროკურატურის გზაზეა. თუმცა ვიდრე ეს ინფორმაცია პროკურატურამდე მივა, იქამდე უკვე ქართული ფეხბურთის მამებს შეუძლიათ, ისეთი გადაწყვეტილება მიიღონ, ჩვენს რეალობაში უპრეცედენტო რომ იქნება.

ფეხბურთის ფედერაციაში რამდენიმე გუნდზე ისეთი ინფორმაცია აქვთ, წმინდა სპორტული თვალსაზრისით მათ დასჯას ულაპარაკოდ რომ შეძლებს, წმინდა სამართლებრივი კუთხით კი საქმეს, სავარაუდოდ, პროკურატურა მიხედავს. დიახ, ჩვენი ინფორმაციით (რომელიც უტყუარია) ფედერაციის სეიფებში ისეთი საქმეებია, ზღვაში წვეთია იმასთან შედარებით, რაც სადისციპლინო კომიტეტმა გუშინწინდელ სხდომაზე გაახმაურა.

ამჟამად, ფედერაციაში უკვე ახალი, ამ სეზონის საქმეებია თავმოყრილი და მასში სხვა კლუბებიც ფიგურირებენ. თქვენ წარმოდგინეთ, არის კონკრეტული მსაჯიც, რომლის ვინაობაც ჯერ ვერ გავიგეთ და, თანაც, უდანაშაულობის პრეზუმფციიდან გამომდინარე, საქმის დამთავრებამდე დაკონკრეტება სწორი არ იქნება.

არის ინფორმაცია რამდენიმე კლუბის კონკრეტულ წარმომადგენელზეც. ორიოდ დღის წინათ კი, თავად შევესწარი ფაქტს, როცა ფედერაციის პრეზიდენტ **ზვიად სიჭინავას** ერთ-ერთი კლუბის წარმომადგენლები კაბინეტში ესტუმრნენ. კულუარული ინფორმაციით, სიჭინავამ სტუმრებს აუწყა, რომ მათი კლუბის წინააღმდეგ სერიოზული ბრალდებია და ესეც მალე გახდება ცნობილი. ბარემ ვიტყვით, რომ ეს ის კლუბია, რომელიც დასჯილებს შორის არ მოხვდა, ყოველ შემთხვევაში, ჯერჯერობით...

რაც შეეხება უკვე დასჯილ ხუთ კლუბს. ინფორმაცია, რომ რამდენჯერმე მათი მონაწილეობით ჩატარებული მატჩი საეჭვო გახდა, უეფას ტოტალიზატორთა მონიტორინგის სამსახურმა მიაწოდა, უეფამ კი საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას და, კონკრეტულად, ფედერაციაში არსებულ სამართლიანობის ჯგუფს გადასცა. ამ ჯგუფის წევრების სახელფასო თანხას ფედერაცია პირდაპირ უეფადან იღებს. სადისციპლინო კომიტეტს კი ამ გუნდების შესახებ სწორედ ფედერაციაში არსებულმა სამართლიანობის ჯგუფმა აცნობა.

ტოტალიზატორების მონიტორინგის სამსახური კი მსოფლიოს მასშტაბით სულ რამდენიმეა. ერთი უეფას ემსახურება, მეორე - ფიფას, მესამე, მაგალითად, ინგლისის საფეხბურთო ასოციაციას და ასე შემდეგ... სწორედ ამ მონიტორინგის სამსახურებში ილექება ყველა ის ინფორმაცია, რაც მატჩებს ახლავს თან და ამ ცნობების ანალიზის საფუძველზე ადგენენ, რომ მატჩი საეჭვოთა კატეგორიას განეკუთვნება. შეგახსენებთ, რომ ხუთი ქართული გუნდიდან ამგვარ საეჭვოთა კატეგორიაში „მეტალურგი" და „კოლხეთი" სამ-სამჯერ მოხვდნენ, „დილა" და „მერანი" ოთხ-ოთხჯერ, „სიონი" კი ხუთჯერ.

რაც შეეხება მატჩების მიმდინარეობისას მანიპულირებას. ეს ტერმინი პირდაპირ თამაშის საბოლოო და სასურველი შედეგის დაფიქსირებას არ გულისხმობს. მანიპულირებაა სწორედ ის, რისთვისაც რამდენიმე წლის წინათ 5 ქართველი ფეხბურთელი დააკავეს - ანუ, ეგრეთ წოდებულ „ცოცხალზე" - ვთქვათ, როდის გაკეთდება პირველი შეცვლა, ვინ მიიღებს პირველ ყვითელ ბარათს, რომელი გუნდი გაიტანს პირველ, მეორე თუ მესამე გოლს, იქნება თუ არა „წითელი" და ასე შემდეგ.

ირკვევა, რომ „მეტალურგის", „კოლხეთის", „დილას", „მერანისა" და „სიონის" შემთხვევაშიც სწორედ ასეთ მანიპულირებას ჰქონია ადგილი. მოკლედ, საქმე ასეა - ეს ხუთი გუნდი, შესაძლოა, აღარავის გაახსენდეს, როცა ფედერაცია და პროკურატურა გუდას პირს მოხსნიან და იქიდან ამბები წამოვა, მტრისას! თან გუშინწინდელი სასჯელიც არაფერი იქნება იმასთან შედარებით, რისი მოწმენიც, ალბათ, ცოტა ხანში გავხდებით. ჩანს, განკითხვის დღე იწყება და ვაი იმას, ვინც შავ სიაში აღმოჩნდება!..

**კობა ინასარიძე**



სკანდალის კვალდაკვალ



ზაზა დოლიძე

ნინო გელაშვილის ფოტო

# მეტალურგის დირექტორი: კითხვები ჩვენც გვაქვს

## გარიგებულ თამაშებს ფინანსური სანქციებით ვერ უწამლებენ, გაცილებით მკაცრი სასჯელია საჭირო

**ფეხბურთის ფედერაციის სადისციპლინო კომიტეტის გადაწყვეტილებაზე, რომელიც ჩაწყობილ თამაშებში მხილებული ქართული კლუბების დასჯას ეხებოდა, კომენტარი ვთხოვეთ რუსთავის „მეტალურგის" დირექტორ ზაზა დოლიძეს:**

- ამ გადაწყვეტილებამდე ორი საინტერესო ფაქტი მოხდა. ჯერ კიდევ 2013 წელს ფედერაციის ხელმძღვანელები კლუბებს შეგვხვდნენ და მაშინ დავსვი საკითხი - რას აკეთებდა ფედერაცია გარიგებული მატჩების წინააღმდეგ, ბოლოს როდის დაისაჯნენ კლუბები და ასე შემდეგ.

**- და რა პასუხი მიიღეთ?**

- ვერაფერი. ხუთი დღით ადრე კი, ფეხბურთის ფედერაციის სპორტული სამართლიანობის ჯგუფის წევრებს შევხვდი და თავად ვიყავი მათი გააქტიურებით გახარებული. ისიც მითხრეს, რომ კლუბში ჩემი ყოფნის პერიოდში „მეტალურგი" გარიგებებში შემჩნეული არ ყოფილა.

**- ...მაგრამ ფაქტია, რომ „მეტალურგიც" დაისაჯა.**

- გასაჩივრების ვადა კიდევ გვაქვს. ქართული ფეხბურთი გარიგებულმა თამაშებმა წალეკა და ამის შედეგია ის, რაც დღეს გვჭირს. პირადად მე, მზად ვარ თანამშრომლობისთვის და მოვითხოვ, რომ ფაქტები საგამოძიებო სტრუქტურებს გადაეცეს. ამასთან, რამდენიმე კითხვაც მაქვს: პირველი - 2010 წელს მომხდარ მოვლენებზე რატომ არ მოხდა დროული რეაგირება? მეორე - არ მივიღებ ბრალდებებს კონკრეტული ფაქტების გარეშე; და მესამე - შევიტყვეთ, რომ ერთ-ერთ შეხვედრაში ფსონი მეტ ყვითელ ბარათზე იყო დადებული და რატომ არ ფიგურირებენ დასჯილთა შორის მსაჯები?

**- თქვენი აზრით, რატომ?**

- ჯერ დაკონკრეტებისგან თავს შევიკავებ. მაგრამ ამას იმიტომ ვამბობ, რომ ჩემთან მოდიან გაბრაზებული ფეხბურთელები და სრულიად უდანაშაულო ხალხი, რომლებიც ვილაცის გამო თავს შეურაცხყოფილად გრძნობენ. ამიტომ, ფედერაციამ უნდა დააკონკრეტოს - ვინ, როდის და რომელი მატჩი ჩააწყო. სხვაგვარად, ფედერაციას ფეხბურთელების დიდი ჯგუფი დაუპირისპირდება. ახლა მე რომ დაუსაბუთებლად ვთქვა - მსმენია, ფედერაციაში ვილაცები არალეგალურად დიდ ფსონებს დებენ-მეთქი, მართალი ვიქნები? ცხადია, გარიგებული მატჩები არის, მაგრამ ყველა ფეხბურთელი და კლუბის ხელმძღვანელი ამაში ჩართული არ არის. თანაც, ამ პროცესის სათავისოდ გამოყენების უფლებას არავის მივცემთ. ამიტომაც ველოდები კონკრეტიკას, მით უფრო, რომ ბევრ საკითხზე ინფორმაცია კლუბებსაც გაგვაჩნია და მათზე პასუხების მიღება გვსურს - რამდენად ობიექტურად დაიწყო გარიგებული მატჩების წინააღმდეგ ბრძოლა? თუ ჩემი კლუბი ასეთი სიბინძურეში მონაწილეობდა, რატომ დაგვიწესეს ფულადი სასჯელი და არ დაგვაკლეს ქულები, ან რატომ არ დაგვაქვეითეს? რა, „იუვენტუსი" გაუშვეს დაბალ ლიგაში და ჩვენ ვინ ვართ?! გარიგებულ თამაშებს ფინანსური სანქციებით ვერ უწამლებენ, გაცილებით მკაცრი სასჯელია საჭირო.

**- შევიტყვეთ, რომ კლუბები ერთობლივი განცხადების გაკეთებას გეგმავთ...**

- როცა ბრალდებებს ოფიციალურად გავეცნობით, კლუბების ხელმძღვანელები შეკრებასა და საპასუხო განცხადების გაკეთებას ვაპირებთ. სავარაუდოდ, ეს უახლოეს დღეებში მოხდება.

**მერაბ მამულაშვილი**

მამები და შვილები

# ახალი ჩელე, ახალი არველაძე


მამა-შვილი გიორგი და რევაზ ჩელებაძეები

**ქართულ ფეხბურთში არაერთი შემთხვევა ყოფილა, როცა ამა თუ იმ ფეხბურთელს ოჯახური ტრადიცია გაუგრძელებია; ჩვენც არაერთხელ ვახსენეთ ის ცნობილი საფეხბურთო დინასტიები და მუდამ იმის იმედსაც გამოვთქვამდით, რომ ეს ტენდენცია უნდა გაგრძელებულიყო...**

## უცხოეთში...

საბედნიეროდ, ასეც ხდება და მოდი, დღესდღეობით უცხოეთში მოასპარეზე ის ქართველი ლეგიონერები ვახსენოთ, თავიანთი მამების მსგავსად, პროფესიად ფეხბურთელობა რომ აირჩიეს: **ზურაბ ხიზანიშვილი** (თურქეთი), **ლევან მჭედლიძე** (იტალია), **სანდრო გურული** (ბელარუსი), **ბაჩანა ცხადაძე** (აზერბაიჯანი), **კახა მახარაძე** (უზბეკეთი), **ნიკა ძალამიძე** (პოლონეთი), **ნიკა კაჭარავა** (რუსეთი). თუმცა, ამათ გარდა საქართველოს ჩემპიონატშიც მრავლად არიან საფეხბურთო დინასტიების წარმომადგენლები და ჯერ, უმაღლეს ლიგაში მოთამაშე ის ფეხბურთელები ჩამოვთვალოთ, თავიანთი მამების გზას რომ აგრძელებენ: **ლევან კორღალიძე, ნიკა ჯიშკარიანი, გიორგი ქვილითაია** (სამივე - „დილა"), **გიორგი ჩივაძე, ჯაბა უგულავა** (ორივე - „სიონი"), **ვარლამ კილასონია-უმცროსი** („მეტალურგი"), **გიორგი ფანცულაია** („ზესტაფონი"), **ლაშა ჭელიძე** („ჩიხურა"), **პავლე და ვალტერ ხორგუაშვილები** (ორივე - „გურია"), **ლაშა მჭედლიშვილი** („ზუგდიდი"), **გიორგი მჭედლიშვილი** („ვიტ ჯორჯია"), **ოთარ კვერნაძე** („ტორპედო"), **თამაზ მაქაცარია** („სპარტაკი").

შესაძლოა, ვინმე გამოგვრჩა კიდეც და, ალბათ, ასეც იქნება. აი, მაგალითად, როგორ შეიძლება ძმები, **როინ** და **ნიკა კვასხვაძეები** არ გვეხსენებინა, ასევე საფეხბურთო დინასტიის გამგრძელებლები რომ არიან და ასე შემდეგ.

...საქართველოს ჩემპიონატების ისტორიაში ორადორ შემთხვევას ვიხსენებთ, როცა მამასა და შვილს... ერთად უთამაშიათ! ხვდებით, ალბათ, რომ მერაბ და გიორგი მეგრელაძეებისა და ოთარ და ლევან კორღალიძეების მართლაც უნიკალურ მიღწევებზე რომ ვსაუბრობთ. თუმცა, ეს მხოლოდ უმაღლეს ლიგას ეხება, თორემ, რამდენადაც ვიცით, მსგავსი ფაქტი პირველ ლიგაშიც (თანაც, წინა სეზონში) მომხდარა, როცა ოზურგეთის „მერცხალში" ერთად გამოდიოდნენ მამა-შვილი, **გია და გიორგი გოგუები**!

## ჩელებაძე, ნემსაძე...

საერთოდაც, საფეხბურთო დინასტიების თემა პირველ ლიგაშიც ერთობ აქტუალურია და მოდი, ჯერ A ზონაზე ვისაუბროთ, ამ ზონის საუკეთესო ბომბარდირი „შუქურას" შემტევი ნახევარმცველი, 22 წლის **გიორგი ჩელებაძე** გახლავთ, 80-იანი წლების „დინამოს" პოპულარული ფორვარდის, **რევაზ ჩელებაძის** ვაჟი;

ზამთრის პაუზის მერე ფოთის „კოლხეთში" აგრძელებს კარიერას 23 წლის **ვაჟა ნემსაძე**, რომელიც სახელოვანი მამის, **გიორგი ნემსაძის** მსგავსად, ამპლუით ცენტრალური ნახევარმცველია; სულ ახლახან, თელავის „კახეთთან" სტუმრად ჩატარებულ მატჩში „დუბლი" შეასრულა თბილისის „დინამო 2"-ის შემტევმა **მიხეილ ჯიშკარიანმა-უმცროსმა**, რომლის მამაც, ასევე **მიხეილ ჯიშკარიანი** 90-იან წლებში მართლაც გამორჩეული ფორვარდი და ბომბარდირი გახლდათ (სოხუმის „ცხუმი") და შემდეგ, პირველი ქართველი ფეხბურთელიც იყო, ჩემპიონთა ლიგის ჯგუფურ ეტაპზე, ვინც ითამაშა (კიევის „დინამოს" შემადგენლობაში).

საფეხბურთო დინასტიების თემა B ზონაშიც არანაკლებ აქტუალურია და აქაც შეხვდებით საფეხბურთო დინასტიების გამგრძელებლებს: **დავით სევასტოპულოს** („ჭიათურა"), **გიორგი ჯოხაძეს** („სასკო"), **ზვიად ქანთარიას** („სამტრედია"), **ილია კერძევაძეს, ლაშა ქოჩლაძეს** (ორივე - „დილა 2"), **ბორის მახარაძეს** („დინამო", ბათუმი), **შოთა მამინაშვილს** („მაჭახელა"). არ გამოვრიცხავთ, რომ ამ შემთხვევაშიც (ისევე, როგორც A ზონაში).

## გამარჯვების გოლი ორ წუთში

შესაძლოა, აქაც ვინმე გამოგვრჩა, ისე, როგორც დიდი იყო იმის ალბათობა, რომ რამდენიმე დღის მომხდარ ამბავსაც „უხმაუროდ" ჩაევლო: „სასკო"-"დილა 2"-ის შეხვედრისას, მასპინძელთა შემადგენლობაში 63-ე წუთზე შეცვლაზე შემოვიდა 16 წლის შემტევი ნახევარმცველი (გნებავთ - უკანდახეული ფორვარდი) **ვატო არველაძე**, რომელმაც... ორ წუთში გამარჯვების მომტანი გოლი გაიტანა!

ეს იყო არველაძეების საფეხბურთო დინასტიის კიდევ ერთი წარმომადგენლის პირველი მატჩი საქართველოს ჩემპიონატში და, როგორც ხედავთ, მშვენიერი დებიუტიც გამოვიდა. სხვათა შორის, იმ მატჩის თვითმხილველთა თქმით, „ახალ" არველაძეს ჩინებული შთაბეჭდილება დაუტოვებია და იმედი დავიტოვოთ, რომ მამის და ბიძების ტრადიციების ღირსეული გამგრძელებელიც იქნება.

ისე, უმცროსი არველაძის ასეთი დებიუტი არც უნდა გვიკვირდეს: მამამ, **რევაზ არველაძემ** 1991 წელს „დინამოს" ძირითადში პირველად გამოჩენა გოლით აღნიშნა, **შოთა არველაძემ** სადებიუტო მატჩშივე შესძლო გოლის გატანა (თანაც, შეცვლაზე შესულმა), აი, **არჩილ არველაძეს** კი ორი-სამი შეხვედრა „დასჭირდა" და მერე, ასევე შეცვლაზე შესულმა, „დუბლით" გვამცნო ყველას, რომ ქართულ ფეხბურთში სამი ძმა არველაძე ასეთი „ხმაურით" შემოვიდა!

დაბოლოს, ისევ „სასკოზე": ამ გუნდს სეზონის შუაგულიდან ახალი მწვრთნელი ჰყავს - ახალგაზრდა სპეციალისტი **გიორგი ხიზანიშვილი**, ასევე საფეხბურთო ოჯახის წარმომადგენელი: ნოდარ ხიზანიშვილის ვაჟი და ზურაბ ხიზანიშვილის ძმა!..

**გია ტუხაშვილი**

## პირველი ლიგა

XXII ტური

A ზონა

| | |
|---|---|
| გაგრა-ალგეთი | 0:0 |
| საპოვნელა-კოლხეთი (ფ) | 1:0 |
| დინამო 2 (თბ)-მერცხალი | 5:0 |
| ადელი-იმერეთი | 2:1 |
| ჩხერიმელა-მეშახტე | დღეს |
| შუქურა-კახეთი | დღეს |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.შუქურა | 19 | 15 | 3 | 1 | 62-16 | 48 |
| 2.კოლხეთი (ფ) | 20 | 15 | 2 | 2 | 45-11 | 47 |
| 3.დინამო 2 (თბ) | 21 | 13 | 3 | 5 | 64-26 | 42 |
| 4.გაგრა | 21 | 10 | 7 | 4 | 41-23 | 37 |
| 5.საპოვნელა | 20 | 11 | 3 | 6 | 35-19 | 36 |
| 6.ალგეთი | 20 | 8 | 3 | 9 | 29-32 | 27 |
| 7.მეშახტე | 19 | 7 | 5 | 7 | 32-32 | 26 |
| 8.ჩხერიმელა | 19 | 6 | 4 | 9 | 24-41 | 22 |
| 9.სქური | 20 | 6 | 2 | 12 | 22-42 | 20 |
| 10.ადელი | 21 | 5 | 3 | 13 | 23-57 | 18 |
| 11.იმერეთი | 21 | 5 | 3 | 13 | 22-47 | 18 |
| 12.მერცხალი | 20 | 4 | 2 | 14 | 17-44 | 14 |
| 13.კახეთი | 19 | 4 | 2 | 13 | 22-48 | 14 |

## II ლიგა

დასავლეთი ზონა

XVIII ტური

| | |
|---|---|
| დინამო 2 (ბთ)-შუქურა 2 | 1:1 |
| ეგრისი-რაჭა | 2:1 |
| საირმე-საპოვნელა 2 | 2:1 |
| მერცხალი 2-კოლხეთი 2 (ფ) | 0:2 |
| კოლხეთი 2 (ხ)-სამეგრელო | 1:1 |
| ქუთაისი-ლაზიკა | 0:3 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ლაზიკა | 16 | 14 | 1 | 1 | 46-6 | 43 |
| 2.მარგვეთი | 16 | 11 | 3 | 2 | 40-18 | 36 |
| 3.რაჭა | 16 | 10 | 1 | 5 | 29-26 | 31 |
| 4.ეგრისი | 16 | 10 | 0 | 6 | 33-22 | 30 |
| 5.დინამო 2 | 16 | 8 | 4 | 4 | 29-20 | 28 |
| 6.შუქურა 2 | 17 | 8 | 3 | 6 | 30-28 | 27 |
| 7.კოლხეთი 2 (ფ) | 17 | 8 | 2 | 7 | 27-27 | 26 |
| 8.საპოვნელა 2 | 17 | 7 | 2 | 8 | 33-31 | 23 |
| 9.კოლხეთი 2 (ხ) | 17 | 5 | 5 | 7 | 22-21 | 20 |
| 10.საირმე | 17 | 6 | 1 | 10 | 27-35 | 19 |
| 11.ქუთაისი | 17 | 5 | 3 | 9 | 32-37 | 18 |
| 12.სამეგრელო | 16 | 1 | 2 | 13 | 9-50 | 5 |
| 13.მერცხალი 2 | 16 | 0 | 1 | 13 | 10-44 | 1 |

აღმოსავლეთი ზონა

XXII ტური

| | |
|---|---|
| სასკო 2-აბული | 4:8 |
| ფორვარდი-რუსთავი | 4:6 |
| ლიახვი-მარკ სტარი | 0:1 |
| ბორჯომი-ჰერეთი/საქ. უნ. | 4:1 |
| არაგვი-ივერიონი | 1:3 |
| ივერია-დურუჯი | 2:3 |
| დინამო (სხ)-იბერია | გადაიდო |
| ალაზანი-გოლიადორი | გადაიდო |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.მარკ სტარი | 22 | 18 | 2 | 2 | 85-20 | 56 |
| 2.ბორჯომი | 21 | 17 | 3 | 1 | 71-20 | 54 |
| 3.ლიახვი | 22 | 13 | 6 | 3 | 53-28 | 45 |
| 4.ჰერეთი | 21 | 12 | 4 | 5 | 60-36 | 40 |
| 5.ივერია | 22 | 11 | 3 | 8 | 53-42 | 36 |
| 6.არაგვი | 22 | 9 | 7 | 6 | 55-38 | 34 |
| 7.აბული | 21 | 10 | 3 | 8 | 37-36 | 33 |
| 8.ივერიონი | 21 | 8 | 5 | 8 | 39-41 | 29 |
| 9.დურუჯი | 22 | 8 | 2 | 12 | 35-45 | 26 |
| 10.გოლიადორი | 19 | 8 | 1 | 10 | 43-43 | 25 |
| 11.ალაზანი | 21 | 7 | 4 | 10 | 34-46 | 25 |
| 12.დურუჯი | 21 | 7 | 2 | 12 | 32-43 | 23 |
| 13.დინამო (სხ) | 19 | 5 | 1 | 13 | 22-49 | 16 |
| 14.ფორვარდი | 21 | 4 | 3 | 14 | 30-61 | 15 |
| 15.სასკო 2 | 22 | 3 | 2 | 17 | 23-65 | 11 |
| 16.იბერია | 20 | 3 | 1 | 16 | 27-73 | 10 |

## დუბლების ჩემპიონატი

XXVI ტური

| | |
|---|---|
| გურია-ზესტაფონი | 0:2 |
| ტორპედო-დილა | 0:1 |
| სპარტაკი-მერანი | 1:0 |
| სიონი-ჩიხურა | 0:3 |
| მეტალურგი-ვიტ ჯორჯია | 0:1 |
| დინამო-ზუგდიდი | 6:0 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.დინამო | 26 | 20 | 1 | 5 | 69-27 | 61 |
| 2.მეტალურგი | 26 | 18 | 2 | 6 | 62-31 | 56 |
| 3.ვიტ ჯორჯია | 26 | 14 | 6 | 6 | 50-37 | 48 |
| 4.ზუგდიდი | 26 | 14 | 3 | 9 | 48-51 | 45 |
| 5.ჩიხურა | 26 | 11 | 6 | 9 | 45-31 | 39 |
| 6.დილა | 26 | 11 | 4 | 11 | 42-45 | 37 |
| 7.ზესტაფონი | 26 | 10 | 4 | 12 | 44-38 | 34 |
| 8.მერანი | 26 | 9 | 5 | 12 | 27-43 | 32 |
| 9.სპარტაკი | 26 | 8 | 5 | 13 | 33-48 | 29 |
| 10.ტორპედო | 26 | 7 | 5 | 14 | 42-44 | 26 |
| 11.სიონი | 26 | 5 | 5 | 16 | 22-58 | 20 |
| 12.გურია | 26 | 4 | 4 | 18 | 28-59 | 16 |

## ჭაბუკთა ლიგა

XXI ტური

1996/97 წ.დ.

| | |
|---|---|
| 35-ე სს-დილა | 3:2 |
| ჩიხურა-გურია | 4:1 |
| ზუგდიდი-დინამო (თბ) | 1:3 |
| დინამო (ბთ)-მეტალურგი | 1:2 |
| ტორპედო-მერანი | 1:0 |
| ნ. დინამო-სპარტაკი | 2:1 |
| ზესტაფონი-სიონი | 4:2 |
| საბურთალო-ვიტ ჯორჯია | 1:0 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.მეტალურგი | 21 | 19 | 2 | 0 | 69-12 | 59 |
| 2.დინამო (თბ) | 21 | 14 | 2 | 5 | 52-24 | 44 |
| 3.ტორპედო | 21 | 13 | 5 | 3 | 38-22 | 44 |
| 4.საბურთალო | 21 | 12 | 4 | 5 | 41-21 | 40 |
| 5.დილა | 21 | 10 | 7 | 4 | 39-20 | 37 |
| 6.35-ე სს | 21 | 11 | 3 | 7 | 42-29 | 36 |
| 7.ვიტ ჯორჯია | 21 | 9 | 6 | 6 | 46-33 | 33 |
| 8.დინამო (ბთ) | 21 | 8 | 5 | 8 | 33-32 | 29 |
| 9.მერანი | 21 | 8 | 2 | 11 | 24-48 | 26 |
| 10.სიონი | 21 | 7 | 3 | 11 | 32-42 | 24 |
| 11.ნორ. დინამო | 21 | 6 | 4 | 11 | 30-38 | 22 |
| 12.ზესტაფონი | 21 | 6 | 4 | 11 | 28-40 | 22 |
| 13.ზუგდიდი | 21 | 4 | 9 | 8 | 21-27 | 21 |
| 14.სპარტაკი | 21 | 4 | 5 | 12 | 25-44 | 17 |
| 15.გურია | 21 | 3 | 3 | 15 | 7-57 | 12 |
| 16.ჩიხურა | 21 | 2 | 0 | 19 | 17-54 | 6 |

1998/99 წ.დ.

| | |
|---|---|
| 35-ე სს-დილა | 2:0 |
| ჩიხურა-გურია | 2:0 |
| ზუგდიდი-დინამო (თბ) | 0:1 |
| ტორპედო-მერანი | 1:0 |
| ზესტაფონი-სიონი | 4:0 |
| ნ. დინამო-სპარტაკი | 0:2 |
| საბურთალო-ვიტ ჯორჯია | 1:1 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.დინამო (თბ) | 21 | 18 | 2 | 1 | 90-9 | 56 |
| 2.საბურთალო | 21 | 15 | 6 | 0 | 59-5 | 51 |
| 3.35-ე სს | 21 | 16 | 1 | 4 | 49-19 | 49 |
| 4.ტორპედო | 21 | 13 | 2 | 6 | 35-18 | 41 |
| 5.დილა | 21 | 12 | 3 | 6 | 27-22 | 39 |
| 6.ზუგდიდი | 21 | 9 | 5 | 7 | 32-28 | 32 |
| 7.მეტალურგი | 21 | 9 | 4 | 8 | 26-26 | 31 |
| 8.ვიტ ჯორჯია | 21 | 8 | 6 | 7 | 32-27 | 30 |
| 9.სპარტაკი | 21 | 8 | 1 | 12 | 27-41 | 25 |
| 10.ნ. დინამო | 21 | 6 | 7 | 8 | 20-34 | 25 |
| 11.დინამო (თბ) | 21 | 6 | 5 | 10 | 19-25 | 23 |
| 12.ზესტაფონი | 21 | 5 | 7 | 9 | 21-23 | 22 |
| 13.მერანი | 21 | 4 | 3 | 14 | 13-55 | 15 |
| 14.სიონი | 21 | 3 | 4 | 14 | 22-57 | 13 |
| 15.გურია | 21 | 3 | 3 | 15 | 10-68 | 12 |
| 16.ჩიხურა | 21 | 2 | 3 | 16 | 12-37 | 9 |

უცხოურ მედიაში

# ლევან კობიაშვილი
# კარიერისთვის ბევრი გავილე, მაგრამ ეს ამად ღირდა

ლევან კობიაშვილის 350-ე ბუნდესლიგურ მატჩზე უკვე ვწერდით. ამასთან დაკავშირებით, „ჰერტას" ვებგვერდმა 36 წლის ქართველ ფეხბურთელთან ინტერვიუ შემოგვთავაზა...

„600 და მეტი თამაში კარიერაში - „ფრაიბურგი", „შალკე", „ჰერტა", საქართველოს ნაკრები... ასეთია 36 წლის ქართველის მიღწევა, რომელიც ბუნდესლიგის ყველა დროის ლეგიონერებში მეორე ადგილზეა ჩატარებული მატჩების რაოდენობით, რითიც მხოლოდ კლაუდიო პისაროს ჩამორჩება...

გასულ უქმეებზე ლევანმა 350-ედ მოირგო ბუნდესლიგური კლუბის მაისურა. ეს „ლევერკუზენთან" მატჩში მოხდა. ისტორია კი 1998 წლის 12 სექტემბერს, „ბაიერნთან" თამაშით (0:2) დაიწყო...

დღეს ჩვენ ლევან კობიაშვილთან ერთად ვიხსენებთ მისი კარიერის ემოციურ მომენტებს"...

**- რა გახსოვთ ბუნდესლიგაში გამართული პირველი მატჩიდან?**

- ძალიან თბილად მახსენდება ეს შეხვედრა იმის მიუხედავად, რომ ჩვენ თამაში 0:2 წავაგეთ. რაღაც საოცარი შეგრძნებაა, პირველივე მატჩში მიუნხენის „ბაიერნის" წინააღმდეგ რომ თამაშობ. მახსოვს, ძალიან ბედნიერი ვიყავი.

**- 350 შეხვედრიდან ყველაზე მეტად რომელ თამაშზე ფიქრობთ ხოლმე?**

- ყველაზე მეტად ორ შეხვედრას ვიხსენებ ხოლმე, მაგრამ არც ერთია ბუნდესლიგის მატჩი - პირველი ჩემპიონთა ლიგის შეხვედრაა, „შალკესა" და „ეინდჰოვენს" შორის, 3:0 მოვიგეთ და მე გავიტანე სამივე გოლი. მეორე შეხვედრა საქართველოს ნაკრების თამაშებიდანაა - ხორვატიის ნაკრებს ბოლო წამებზე მოვუგეთ 1:0, გამარჯვების გოლი კი მე გავიტანე.

**- და რომელ შეხვედრაზე ცდილობთ, საერთოდ არ იფიქროთ?**

- რა თქმა უნდა, ბუნდესლიგაში დასარჩენ მატჩზე, რომელიც დიუსელდორფში გაიმართა.

**- თქვენი საუკეთესო გოლი...**

- 2006 წელს „შალკესა" და „ბაიერნის" თამაშში მაღალ კუთხეში გავიტანე. ალბათ, ეს იყო ჩემი საუკეთესო გოლი. მანუელ ნოიერი ძალიან ახალგაზრდა იყო მაშინ და პირველად ანდეს „შალკეს" კარი. დავინახე, რომ წინ სივრცე მქონდა, დავარტყი და გავიტანე. ძალიან ამაღელვებელი მომენტი იყო.

**- თქვენი საყვარელი ოპონენტი ბუნდესლიგაში...**

- ულაპარაკოდ, დორტმუნდის „ბორუსია". ხშირად გამოვდიოდი ამ გუნდთან დაპირისპირებაში გამარჯვებული. ამ სეზონშიც ასე მოხდა და ძალიან დიდი სურვილი მაქვს, ჩემს უკანასკნელ ბუნდესლიგურ თამაშშიც ასე იყოს, რომელიც „დორტმუნდის" წინააღმდეგ მექნება.


კოლაჟი ჰერტას ვებგვერდიდან

**- საუკეთესო სტადიონი?**

- „დინამო არენას" შემდეგ, ულაპარაკოდ, „ოლიმპიაშტადიონი"!

**- თუ გაქვთ საყვარელი მაისურა?**

- ის მაისურა, რომლითაც ვთამაშობ (იცინის). 3-ნომრიანი მაისურით თამაში მიყვარს, როგორც ახლა, „ჰერტაში".

**- ყველაზე ემოციური მომენტი თქვენს კარიერაში...**

- როცა „აუგსბურგს" ვეთამაშეთ და ბუნდესლიგის საგზური მოვიპოვეთ. ამდენი ბედნიერი სახე არც მანამდე და არც მერე არ მინახავს. იმ საღამოს რა დამავიწყებს!

**- რა იყო თქვენი ყველაზე დიდი წარმატება კარიერაში?**

- გერმანული ბუნდესლიგის სტაბილური ფეხბურთელის სახელის დამკვიდრება. ამდენი თამაშის გამართვა ბუნდესლიგაში - ეს ყველაფერი ყოველთვის სიამაყით გამახსენდება. ვიცი, რომ ასეთი კარიერისთვის ბევრი გავილე, მაგრამ ეს ამად ღირდა. ახლა კი მიღწეულით ვტკბები.

**მოამზადა ნიკოლოზ ნეფარიძემ**

ლეგიონი

# კანკავას დნიპრო პირველია

## ქართველები პოლონეთის თასის ფინალში ვერ გავიდნენ


უკანა პლანზე ნიკა ძალამიძე (№10)

უკრაინის პრემიერლიგაში ერთი შეხვედრა გაიმართა - „დნიპრომ“ 5:1 გაანადგურა ლუცკის „ვოლინი“ და 50 ქულით ერთპიროვნული ლიდერი გახდა. **ხუანდე რამოსმა** ტრადიციულად, ქართველთაგან მხოლოდ **ჯაბა კანკავა** გაამწესა სასტარტო შემადგენლობაში, ხოლო **უჩა ლობჟანიძე** და **სანდრო კობახიძე** განაცხადში ვერ მოხვდნენ. პირველი ტაიმი მოულოდნელად, სტუმრებმა მოიგეს, რამოსმა კი შესვენებაზე კანკავა სკამზე დასვა. უქართველოდ „დნიპრომ“ 5 გოლი გაუტანა მეტოქეს, აქედან ერთი ჯაბას შემცვლელი **სელეზნიოვის** ანგარიშზე, ხოლო ბრაზილიელმა **მატეუსმა** სულაც პოკერი შეასრულა. უკრაინულმა „ფუტბოლმა“ კანკავას გარჯა 6 ბალით შეაფასა.

წინა დღით, რუსეთის პირველ დივიზიონში გაიმართა მორიგი ტური, რომელშიც ერთი ქართული გოლი გავიდა, „სკა-ენერგიამ“ სტუმრად 1:0 დაამარცხა „ანგუშტი“. გამარჯვების გოლი ამ შეხვედრის პირველ ტაიმში **გოგიტა გოგუამ** გაიტანა. „სკა-ენერგია“ 48 ქულით მე-6 ადგილზეა. გოლის გარდა გოგიტამ ყვითელი ბარათითაც „გამოიჩინა თავი“ და ახლა ის შემდეგი ტურის შეხვედრას გამოტოვებს. მატჩის შემდეგ მისმა თავკაცმა **ვალდას ივანაუსკასმა** განაცხადა, რომ გოგუა მეტოქე ფეხბურთელთა წვრილი პროვოკაციების მსხვერპლი გახდა.

ბელარუსში თასის ნახევარფინალურ მატჩში „დნეპრი“ შინ 1:1 დაუზავდა „შახტიორს“, თუმცა დამატებით დროში 2 გოლი გაუშვა და გავარდა. ასე რომ, **სანდრო გურულის** (ტრავმა) „შახტიორი“ ფინალშია და 3 მაისს „ნემანს“ დაუპირისპირდება.

ლიტვაში **გიორგი ალავერდაშვილისა** და **თამაზ ჩარგეიშვილის** „გრანიტასი“ ლიდერ „ჟალგირისს“ სტუმრად 1:1 დაუზავდა. ორივე ქართველი სასტარტო შემადგენლობაში იყო.

პოლონეთის თასის ნახევარფინალში ორი მატჩის ჯამში დამარცხდა ქართველთა „იაგელონია“. შინ 0:2 მარცხის შემდეგ, სტუმრად 1:1 ითამაშა „ზავიშას“ წინააღმდეგ. **გიორგი ფოფხაძემ** 90 წუთი ითამაშა, **ნიკა ძალამიძე** მე-80 წუთზე შეცვალეს, მანამდე მან ყვითელი ბარათის მიღება მოასწრო.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

ტრავმა

# ნახევარი წელი და გარდაუვალი ოპერაცია

ბოლნისის „სიონის“ ნახევარმცველი **გიორგი ბიბილეიშვილი** მინიმუმ 6 თვე ველარ ითამაშებს. 24 წლის ფეხბურთელი თბილისის „დინამოსა“ და „სიონის“ მატჩის 27-ე წუთზე ისე დაშავდა, იქვე შესაცვლელი გახდა. ფეხბურთელს დიაგნოზი გუშინ დაუსვეს - დაწყვეტილი ჯვარედინი მყესები და საოპერაციო მენისკი. აი, ასე ძვირად დაუჯდა „დინამოსთან“ მატჩი ბიბილეიშვილს, რომელმაც ბოლო დროს მოიკიდა ფეხი „სიონის“ ძირითად შემადგენლობაში და მისთვის ამ ნავსიან შეხვედრამიც არ დასცალდა, თორემ დაშავებამდე ერთ-ერთი საუკეთესო იყო მოედანზე. ექიმების თქმით, თითქმის ნახევარწლიანი პაუზა და მუხლზე ოპერაცია გარდაუვალია.

ცნობისთვის, ბიბილეიშვილი „სიონში“ (და შესაბამისად უმაღლეს ლიგაში) წინა სეზონში გამოჩნდა და სულ 5 მატჩი ჩაატარა. წლეულს კი, **ლადო ბურდულის** ხელმძღვანელობით, ის გაცილებით სტაბილურად ათამაშდა - დაშავებამდე, მიმდინარე სეზონში, 15 მატჩი დაუგროვდა.

„სიონამდე“ ბიბილეიშვილი ტექნიკური უნივერსიტეტის გუნდის ღირსებას იცავდა. საქართველოს თასზე ჩატარებულ 11 შეხვედრაში მის ანგარიშზე 2 გოლია.


გიორგი ბიბილეიშვილი ექვს თვეს დაისვენებს

**კობა ინასარიძე**

იუბილარი

# დევიზ დარჯანია, მივიწყებული ბომბარდირი

**„ბიჭო, ვოვა! სად არის დევიზი? დავით ყიფიანმა და ვლადიმერ გუცაევმა გახედ-გამოხედვა ვერ მოასწრეს, დევიზ დარჯანია მათთან შესახვედრად რომ მირბოდა. თითქოს, „ყიფოს“ გულისთქმა გაიგოო, დიდი ხნის უნახავი მეგობრისკენ გაეშურა და გადაეხვია. მარტვილელმა ქომაგებმაც გულით გაიხარეს - მოედანზე ხომ ორი უსაყვარლესი ფეხბურთელი - დავით ყიფიანი და დევიზ დარჯანია იხილეს. ამხანაგური მატჩი ადგილობრივი „სალხინოსა“ და „დინამოს“ შორის, თბილისელთა გამარჯვებით 3:2 დასრულდა. მასპინძელთაგან დარჯანიამ დუბლი შეასრულა, დინამოელთაგან კი გოლები ქორიძემ, ჩელებაძემ და დარასელიამ გაიტანეს. ეს 1976 წელს მოხდა. უკვე მაშინ, დევიზ დარჯანიას ქართულ ფეხბურთში თავისი ნიშა ჰქონდა...**


დევიზ დარჯანია და ალექსანდრე ჩივაძე

### საფეხბურთო კარიერა

**დევიზ დარჯანია** 1953 წლის 15 აპრილს, გეგეჭკორის (ახლანდელი მარტვილის) რაიონის სოფელ ონოლიაში დაიბადა. მე-10 კლასში იყო, საქართველოს ჩემპიონატის პირველ ლიგაში მოთამაშე „სალხინოში“ ბიჭიკო შალელაშვილმა რომ მიიწვია. 1978 წელს მარტვილელებმა კიშინიოვში „ოქროს თავთავის“ თასი მოიპოვეს და ამ წარმატებაში დევიზმა ლომის წილი დაიდო.

1975 წელს **მიხეილ იაკუშინის** „დინამოში“ მოხვდა, თუმცა ძირითადი შემადგენლობის ფეხბურთელად ვერ იქცა...

მის კარიერაში ძირითადი და გარდამტეხი 1981 წელი გამოდგა. სწორედ ქუთაისის „ტორპედოში“ გაიფურჩქნა მისი ნიჭი - გულშემატკივართა სიყვარული და აღიარება მოიპოვა. საკავშირო ჩემპიონატის პირველი ლიგის 38 მატჩში დარჯანიამ 19 გოლი გაიტანა. 1982 წელს რიონისპირელები, დევიზის კაპიტნობით, საბჭოთა კავშირის უმაღლეს ლიგას დაუბრუნდნენ...

### სამწვრთნელო კარიერა

1984 წელს დარჯანიამ წყალტუბოს მიაშურა, სადაც, რამდენიმე წელიწადში, ფეხბურთს დაანება კიდეც თავი. საფეხბურთო კარიერის დასრულების შემდეგ, ჩაიბარა „წყალტუბო“ და მასთან ერთად ორჯერ (1985, 1986) იზეიმა საქართველოს ჩემპიონობა. მერე მშობლიურ მარტვილში „სალხინოს“ ედგა სათავეში...

### ბარემ მარტვილიდან დაგერტყა...

უფროსი თაობის წარმომადგენლებს ახლაც ახსოვთ დარჯანიას მიერ გატანილი ეფექტური გოლები. ის ყოველთვის შეუპოვრობითა და შედეგიანობით გამოირჩეოდა - როგორც საშინაო, ისე გასვლით შეხვედრებში. მოედანზე განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევდა თამაშის ხედვით და ოსტატური გადაცემებით, აღარაფერს ვამბობთ ბომბარდირულ ნიჭზე. გოლის იშვიათი ალღო ჰქონდა...

ერთხელ, **მურთაზ ხურცილავას** ინიციატივითა და ხელშეწყობით, სამტრედიას მოსკოვის „დინამო“ ეწვია. **ვალერი გაზაევმა** და მისმა თანაგუნდელებმა მასპინძლებთან ვერაფერი გააწყვეს. ამხანაგური მატჩის ბედი **ვლადიმირ პილგუის** კარში ზუსტი, ყუმბარისებური დარტყმით დარჯანიას მიერ გატანილმა ულამაზესმა გოლმა გადაწყვიტა.

ამ გოლის შემდეგ დაუძახეს ტრიბუნიდან - ბარემ მარტვილიდან დაგერტყა, რას მოდიოდი, ბიძიაო?! (ამ გოლის ფოტო მოიპოვება, მაგრამ სამწუხაროდ, ძლიერ დაზიანებულია და ვერ ვაქვეყნებთ).

### მოულოდნელი გმირობა

...იყო ასეთი ეპიზოდიც: ქუთაისის „ტორპედოს“ უმაღლეს ლიგაში დასაბრუნებლად პრინციპული მატჩი ჰქონდა. ქუთათურებს თამაში არ ნაუვიდათ. ერთ-ერთ მომენტში, დევიზ დარჯანიამ ხელსაყრელი პოზიციიდან იმდენად არაზუსტად და ძლიერად დაარტყა, ბურთი ლამის ტრიბუნებს გადასცდა. ამ ეპიზოდის გამო, აღშფოთებულმა ქომაგებმა „თბილი“ სიტყვებით შეამკეს კაპიტანი, თუმცა...

ბოლო წამებზე გუნდს სწორედ დარჯანიამ უშველა - გადამწყვეტი გოლი გაიტანა მეტოქის კარში. აღტაცებული სტადიონი ამჯერად „დარჯანია-დარჯანიას“ სკანდირებდა. ასე იქცა ანტიგმირი გმირად. ასეთი ამაღელვებელი ეპიზოდი მრავლად ყოფილა მის საფეხბურთო ცხოვრებაში...

### ქართული სუფრა

დევიზი ბევრ ცნობილ ფეხბურთელთან მეგობრობდა, მათ შორის - საქართველოს ყველა დროის ერთ-ერთ საუკეთესო მეგოლე **მერაბ მეგრელაძესთან, ფირუზ კანთელაძესთან...** განსაკუთრებით თბილი ურთიერთობა მას სწორედ კანთელაძესთან აკავშირებდა...

გადმოცემით ვიცით, რომ დევიზის ოჯახში მეგობრებს გვარიანად მოულხენიათ. დამშვიდობებისას, სოფლის ჭასთან მისულ ფირუზს დევიზისთვის ღვინის მოტანა უთხოვია. რა თქმა უნდა, მასპინძელმა თხოვნა შეუსრულა. პირთამდე ღვინით სავსე ვედრო სტუმარს რამდენიმე წუთში, ორი ამოსუნთქვით დაუცლია...

როცა ეს ამბავი ბატონ დევიზს გავახსენეთ, გაეღიმა და დაამატა: კანთელაძეს ვერავინ ათრობდა და სპეციალურად, რომელიმე თბილისელ მილიციელს, მასსავით კარგად მსმელს, ურეკავდა, რათა სუფრასთან მისთვის პარტნიორობა გაეწიაო...

### ვის ახსოვს დარჯანია?

დევიზ დარჯანია ახლა მძიმე მდგომარეობაშია - დიდი ხანია ავადმყოფობს, გადაადგილება უჭირს. კარგი იქნება, თუ ფეხბურთის ფედერაცია, ყოფილი თანაგუნდელები, მეგობრები, ვეტერანები, თუნდაც ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები გვერდში დაუდგებიან ღირსეულ პიროვნებასა და შესანიშნავ ფეხბურთელს. ასეთი ხალხი მიტოვებული არ უნდა იყოს...

**ბესიკ გვაზავა**

პერსპექტივა

# ჩირგაძის ამერიკული ოცნება


გიორგი ჩირგაძე

როცა **გიორგი ჩირგაძე** რუსთავის „მეტალურგში“ ჩაირიცხა, ამბობდა, რომ იქ დარჩენას 2014 წლის ბოლომდე აპირებდა. მაგრამ ეს იმ დროს იყო, ფორმა რომ ჰქონდა აღსადგენი. ახლა ჩირგაძე „მეტალურგის“ ერთ-ერთი ლიდერია, გოლებიც გააქვს და, ბუნებრივია, დავინტერესდით - ხომ არ აპირებს ამერიკაში დაბრუნებას, მით უფრო, რომ ამ ქვეყნის მოქალაქეა.

*„მეიჯორ ლიგის გუნდებიდან არის რაღაც შემოთავაზებები, მაგრამ ჯერ ბევრი რამ არის დასაზუსტებელი. ვფიქრობ, რამდენად რეალურია „რედ ბულში“ დაბრუნების წინადადება. ოჯახი ამერიკაში მყავს და იქ დაბრუნება ამიტომაც მსურს. მაგრამ „მეტალურგთან“ კონტრაქტი სექტემბრამდე მაკავშირებს და მანამდე წასვლა არ გამოვა. მერე რა იქნება, წარმოდგენა არ მაქვს. რაც მთავარია, ახლა ვცდილობ, ფიზიკური კონდიციები გავიუმჯობესო“*, - ამბობს ჩირგაძე.

შეგახსენებთ, რომ 22 წლის თავდამსხმელი ნიუ იორკის „რედ ბულის“ ძირითად გუნდში ლეგენდარული **ტიერი ანრისა** და მექსიკელი მცველის **რაფაელ მარკესის** გვერდით ვარჯიშობდა. ამ კლუბთან კონტრაქტი მან 2009 წლის სექტემბერში გააფორმა, როცა 16 წლის იყო. ის ამხანაგურ მატჩებშიც გამოსცადეს, მაგრამ მხოლოდ - რეზერვისტებში. მაშინ ამ კლუბში დამკვიდრებასა და აშშ-ის ნაკრებში თამაშზე ოცნებობდა, მაგრამ... ხელი ტრავმებმა შეუშალა. 2008 წელს გიორგის მენისკის ოპერაცია გაუკეთეს, კონტრაქტის გაფორმებამდე კი მარცხენა თეძოც ასტკივდა.

„რედ ბულთან“ კონტრაქტი ჩირგაძეს 2012 წელს დაუმთავრდა, ამერიკაში გუნდი ვერ მოძებნა და ერთი წლის განმავლობაში უქმად იყო. საქართველოში ამიტომაც ჩამოვიდა. ვნახოთ, აიხდენს თუ არა ოცნებას ჯერაც „მეტალურგის“ ფორვარდი.

**მერაბ მამულაშვილი**

მოსაზრება

# მუჯირი წინააღმდეგია...

საქართველოს ჩემპიონატში გუნდების რაოდენობის შესაძლო გაზრდაზე კომენტარი საქართველოს ნაკრების ყოფილმა ფეხბურთელმა **დავით მუჯირმაც** გააკეთა. მას ამ თემის წამოწევა, თურმე, სასაცილოდ არ ჰყოფნის:


დავით მუჯირი

*„უმაღლეს ლიგაში ვთამაშობდი, მწვრთნელობამაც მომიწია და სასაცილოდ არ მყოფნის მოსაზრება, რომ უმაღლეს ლიგაში გუნდების რაოდენობა 16 ან 18-მდე უნდა გაიზარდოს. ეს ხელოვნურობას ჰგავს, თორემ თუ სახელმწიფო დაინტერესებულია და რეგიონებში გუნდებს მასობრივად მიხედავს, ძალიან კარგი იქნება. 16 კი არა, 20 გუნდი დაფინანსდეს, მაგრამ ისინი ლიგებში უნდა გადანაწილდნენ, ხოლო პირველ ლიგას ფასი დაედოს. ეს მხოლოდ მაშინ იქნება შესაძლებელი, თუ გუნდები უმაღლესში სპორტული პრინციპით გადმოვიდნენ. ახლა ძალიან ღიად დგას გარიგებული მატჩების პრობლემა. უმაღლესი ლიგის 12 მწვრთნელიდან 11 ამბობს, რომ ასეთი რამ მართლაც ხდება. ამაზე მიუთითებს სადისციპლინო კომიტეტის ბოლო გადაწყვეტილებაც, ფეხბურთის ფედერაციამ კი ტოტალიზატორებს მიმართა, რომ უმაღლესი ლიგის მატჩებზე ფსონები არ მიიღოს. ჩვენ კი გუნდების რაოდენობის გაზრდით პროვოცირებას გავუწევთ უმოტივაციო კლუბებს, რომლებიც 16-გუნდიან ჩემპიონატში აუცილებლად იქნებიან“*, - ამბობს მუჯირი.

**მერაბ მამულაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# პრემიერლიგას წარმოგიდგენთ

● ინგლისი. პრემიერლიგა. XXXIV ტური და გამოტოვებული თამაშების წინ

europe-bet.com

# სიტის საქადრო პლუს-მინუსი



პირველ წრეში სანდერლენდის „სტედიუმ ოფ ლაითსზე" სერხიო აგუერო და „სიტი" მინიმალური სხვაობით დამარცხდნენ

**ბომბარდირები:** 29 - ლუის სუარესი (ლივერპული), 20 - დენიელ სტარიჯი (ლივერპული), 18 - იაია ტურე (მანჩესტერ სიტი)

„ევერტონი" ჩემპიონთა ლიგის საგზურისთვის იბრძვის და ზედიზედ 7 მოგების შემდეგ მიზანს მიუახლოვდა კიდეც. წუხელ „არსენალს" „ვესტ ჰემთან" ლონდონურ დერბიში შეეძლო **რობერტო მარტინესის** შეგირდების შევიწროება. მერსისაიდელებს კი „მეთოფეებისთვის" პასუხის გაცემა დღეს მართებთ, რის შემდეგაც გუნდები ოთხეულისთვის ბრძოლაში გამარჯვებულს დარჩენილ ოთხ ტურში გაარკვევენ. „ევერტონი" კარგ ფორმაშია, აი, „კრისტალ პალასი" კი სულაც პიკშია. გუნდმა პრემიერლიგაში ზედიზედ 3 შეხვედრა მოიგო, თანაც სამივე მშრალი ანგარიშით. „ევერტონის" სასარგებლოდ იმის თქმა შეიძლება, რომ მან „გუდისონ პარკზე" მიჯრით 7-ჯერ იმარჯვა, „არწივებს" ამავე პერიოდში სტუმრად მხოლოდ 1 მოგება აქვთ და ისიც აუტსაიდერ „კარდიფთან".

„ევერტონი"-"კრისტალ პალასის" მსგავსად „სიტი"-"სანდერლენდიც" 12 თებერვალს უნდა ჩატარებულიყო, თუმცა მაშინ გუნდებს ბუნების ჭირვეულობამ არ მისცა ამის საშუალება. „ქალაქელებს" აუტსაიდერთან შეხვედრა ფსიქოლოგიურად მძიმე პერიოდში უწევთ. უქმეებზე „ლივერპულთან" 2:3-ის შემდეგ **მანუელ პელეგრინიმ** და შეგირდებმა ოფიციალურად დაუთმეს მეტოქეს ცხრილის ლიდერის სტატუსი, თანაც „ენფილდის" შეხვედრამ **იაია ტურე** იმსხვერპლა. ივუარელის დიაგნოზი უკვე ცნობილია: ის სერიოზულ ტრავმას გადაურჩა, თუმცა ნატკენი მუხლის გამო 30 წლის საყრდენი უახლოეს ორ შეხვედრას მაინც გამოტოვებს. სამაგიეროდ, ხანგრძლივი პაუზის შემდეგ მოედანს დაუბრუნდა **სერხიო აგუერო**. „შავი კატების" ბედი თითქმის გადაწყვეტილია - **გუსტავო პოიეტის** გუნდმა ბოლო 8 შეხვედრაში მხოლოდ 1 ქულა აილო. რა შანსი შეიძლება ჰქონდეს მას „ეტიჰადზე", თავად განსაჯეთ

### XXXIV ტური

**არსენალი-ვესტ ჰემი 3:1**

**გოლები:** 0:1 ჯარვისი (40), 1:1 პოდოლსკი (44), 2:1 ჟირუ (55), 3:1 პოდოლსკი (78)

**არსენალი** (4-2-3-1): შჩესნი - სანია, მერტეზაკერი, [illegible]ლნი, ვერმალენი - კალსტრიომი, არტეტა - პოდოლსკი, კასორლა (88. ჯენკინსონი), როსიცკი (72. რემსი) - ჟირუ

**ვესტ ჰემი** (4-2-3-1): ადრიანი - დემელი, ტომკინსი, რიდი, არმერო - ნოჩერინო, ნოუბლი - ჯარვისი (78. ვას ტე), დიამე, დაუნინგი (78. ჯ. კოული) - კეროლი (84. ქ. კოული)

**გაფრთხილება:** როსიცკი, კალსტრიომი - ნოჩერინო, დიამე

**კარში დარტყმა:** 14-11 (8-2) **კუთხური:** 4-3 **თამაშგარე:** 2-2 **ჯარიმა:** 14-12 **ბურთის ფლობა:** 61%-39%

მაყურებელი: 59 977

### გამოტოვებული მატჩები

**16 აპრილი**

**ევერტონი-კრისტალ პალასი 22:45**

**დისკვალიფიკაცია:** არავინ

**ტრავმა:** გიბსონი, ჯაგიელკა, ოვიედო, კონე, პიენაარი, ტრაორე - დიკგაჩოი

ბოლო 6 მატჩი

+6=0-0 +3=1-2

ურთიერთშეხვედრები

სულ 27 თამაში: +11=8-8 (42-26)

**სიტი-სანდერლენდი 22:45**

**დისკვალიფიკაცია:** - ბერდსლი

**ტრავმა:** ნასტასიჩი, ი. ტურე - ს. ფლეტჩერი, ალტიდორი, კ. ვესტვუდი

ბოლო 6 მატჩი

+4=1-1 +0=1-5

ურთიერთშეხვედრები

სულ 119 თამაში: +57=19-43 (210-172)

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ლივერპული | 34 | 24 | 5 | 5 | 93-42 | 77 |
| 2. ჩელსი | 34 | 23 | 6 | 5 | 66-24 | 75 |
| 3. სიტი | 32 | 22 | 4 | 6 | 86-32 | 70 |
| 4. არსენალი | 34 | 20 | 7 | 7 | 59-41 | 67 |
| 5. ევერტონი | 33 | 19 | 9 | 5 | 53-31 | 66 |
| 6. ტოტენჰემი | 34 | 18 | 6 | 10 | 48-48 | 60 |
| 7. იუნაიტედი | 33 | 17 | 6 | 10 | 56-38 | 57 |
| 8. საუთჰემპტონი | 34 | 13 | 9 | 12 | 50-45 | 48 |
| 9. ნიუკასლი | 34 | 14 | 4 | 16 | 38-52 | 46 |
| 10. სტოკი | 34 | 11 | 10 | 13 | 38-48 | 43 |
| 11. ვესტ ჰემი | 34 | 10 | 7 | 17 | 38-47 | 37 |
| 12. პალასი | 33 | 11 | 4 | 18 | 24-39 | 37 |
| 13. ჰალი | 33 | 10 | 6 | 17 | 34-40 | 36 |
| 14. ასტონ ვილა | 33 | 9 | 7 | 17 | 35-49 | 34 |
| 15. სუონსი | 34 | 8 | 9 | 17 | 45-50 | 33 |
| 16. ბრომვიჩი | 33 | 6 | 15 | 12 | 40-51 | 33 |
| 17. ნორვიჩი | 34 | 8 | 8 | 18 | 26-53 | 32 |
| 18. ფულჰემი | 34 | 9 | 3 | 22 | 34-74 | 30 |
| 19. კარდიფი | 34 | 7 | 8 | 19 | 30-64 | 29 |
| 20. სანდერლენდი | 32 | 6 | 7 | 19 | 29-54 | 25 |

● მანჩესტერ იუნაიტედი

# ცეკვა და ალკოჰოლი ნაგებზულზე

„დეილი მეილის" ცნობით, „ბაიერნთან" ჩემპიონთა ლიგაში მარცხის შემდეგ „მანჩესტერ იუნაიტედის" ფეხბურთელები **ეშლი იანგი**, **ტომ კლევერლი** და **დენი უელბეკი** რესტორანში წავიდნენ და კარგადაც მოულხინეს. ცხადია, „ყოვლისშემძლე" ინგლისურ მასმედიას ეს არ გამოჰპარვია და ნასვამი ფეხბურთელების ფოტოები მეორე დღესვე გამოჩნდა გამოცემების პირველ გვერდებზე. „იუნაიტედის" მთავარმა მწვრთნელმა **დევიდ მოიესმა** შეგირდები კაბინეტში დაიბარა და მკაცრი ტონით მიუთითა, რომ მეორედ მსგავსი რამ აღარ უნდა განმეორებულიყო. გარდა ამისა, შოტლანდიელმა ფეხბურთელებს ჯარიმები დააკისრა და რამდენიმე დღით გუნდთან ერთად ვარჯიშიც აუკრძალა. ისინი ინდივიდუალური პროგრამით მოემზადებიან.

მოიესის მშვიდი ფიზიონომიის უკან ნამდვილი შოტლანდიელი იმალება. მას შეუძლია იყოს მკაცრი და შეუძლია იყოს უბრალოდ დაუნდობელი. ამის გამოცდილება „ევერტონში" ფეხბურთელებს რამდენჯერმე ჰქონდათ. ერთ-ერთი ასეთი **მარუან ფელაინია**, ვინც ამჟამად „იუნაიტედში" ირჯება. აი, რას ამბობს 26 წლის ბელგიელი: *„დევიდი უაღრესად წესიერი ადამიანია. მას ძალიან უყვარს წესრიგი და ამ მხრივ კომპრომისზე არასოდეს მიდის. თუკი გინდა, კარგი გუნდი შეკრა, რომელიც შედეგებისთვის იბრძოლებს, ფეხბურთელებთან მომთხოვნი უნდა იყო. პირადად მე რაიან შოუკროსთან ჩხუბის გამო მკაცრად დავისაჯე. დასვენების დღე მთელმა პერსონალმა დაიმსახურა, ბაზაზე მხოლოდ მე და მოიესი ვიყავით. პირისპირ იმ ადამიანთან შეყრა, ვინც დაალალატე, რთული ყოფილა, არათუ შეხვედრა, იმის გააზრებაც კი, რომ ასეთ ადამიანს თვალებში უნდა შეხედო".*





დენი უელბეკი „ბაიერნთან" ნაგების შემდეგ

● ფინანსური ფეარ პლეი

# უეფას ელიტური შავი სია: სიტი, პსჟ და ზენიტი

## ჩელსი უკვე გამოსავალს ეძებს

„გარდიანის" ცნობით, ევროპის უმდიდრესი კლუბების ის ნაწილი, რომელიც უეფას ფინანსური ფეარ პლეის წესებს ვერ დაიცავს, ორგანიზაციის მხრიდან მკაცრად დაისჯება. ისინი დაჯარიმდებიან ან სატრანსფერო ვეტო დაედებათ. პირველ ეტაპზე მათ ევროთასებზე თამაშის უფლების ჩამორთმევა არ ემუქრებათ. საბოლოო გადაწყვეტილებას ამის შესახებ სპეციალური ფინანსური კომიტეტი მიიღებს, ვინც 70-ზე მეტი კლუბი უკვე შეამოწმა. მართალია, სია ცნობილი არ არის, მაგრამ გამოცემის მტკიცებით, მასში უნდა იყვნენ „მანჩესტერ სიტი" და „პარი სენ-ჟერმენი", რომელთა დარღვევების ფონზე სხვების წესის დარღვევა არც ჩანს. „სიტიმ" ბოლო ორი სეზონის განმავლობაში მესაკუთრეთა მხრიდან მაქსიმალურად დასაშვებ დოტაციას 100 მილიონი ფუნტით გადააჭარბა. ნიონის ოფისში ცალკე შეისწავლიან „ზენიტის" ფინანსურ დოკუმენტაციასაც, რადგან არსებობს საფუძვლიანი ეჭვი, რომ პეტერბურგელები სპონსორულ კონტრაქტებში რეალურ შემოსავალზე მეტს წერენ.

### ჩელსიმ გამოსავალი მონახა?

ევროპული კლუბები თავისებურად აპირებენ უეფას ახალი წესების დაცვას. ამის მაგალითია „ჩელსი", რომელიც სეზონის დასრულების შემდეგ ფეხბურთელთა მთელ ჯგუფთან აპირებს გამოთხოვებას, რათა ერთი მხრივ მათი გაყიდვით შემოსავალი მიიღოს, მეორე მხრივ კი სახელფასო ფონდი შეამციროს. „ჩელსის" თავისუფალი აგენტის სტატუსით დატოვებენ **სამუელ ეტოო**, **ეშლი კოული**, **მარკ შვარცერი** და **ილარიუ**, ტრანსფერზე დადგებიან **დავიდ ლუისი**, **ჯონ ობი მიკელი**, **ფერნანდო ტორესი** და **დემბა ბა**. გუნდიდან საბოლოოდ წავლენ **რომელუ ლუკაკუ**, **მარკო მარინი**, **ვიქტორ მოზესი**, **რაიან ბერტრანი**, **გაელ კაკუტა** და **ჯოშ მაკეხრანი**. დასავლეთლონდონელთა პოლიტიკა მისაბაძი მაგალითი უნდა გახდეს იმ კლუბებისთვის, რომლებიც სამომავლოდაც მხოლოდ მესაკუთრეთა უძირო ჯიბეების იმედად აპირებდნენ ცხოვრებას.

### რა არის ფინანსური ფეარ პლეი?

ახლა კი უეფას მიერ გავრცელებულ სპეციალურ განცხადებას გთავაზობთ, სადაც დეტალურად არის განმარტებული, თუ რას ნიშნავს ფინანსური ფეარ პლეი და რას ითხოვს ეს ორგანიზაცია კლუბებისგან:

- ფინანსური ფეარ პლეი 2011 წლიდან მოქმედებს. კლუბებს, რომლებიც უეფას ტურნირებში თამაშის უფლებას მოიპოვებენ, ეკისრებათ მტკიცების ვალდებულება, რომ არ გააჩნიათ ვადაგადაცილებული ფინანსური ვალდებულებები სხვა კლუბებთან, საკუთარ ფეხბურთელებთან ან საგადასახადო ორგანოებთან. ისინი არ უნდა ხარჯავდნენ იმაზე მეტს, ვიდრე გამოიმუშავებენ.

მოყოლებული 2013/14 წლების სეზონიდან მათ უნდა დაამტკიცონ, რომ წაგებაზე არ მუშაობენ. კლუბების ფინანსური კონტროლის სპეციალური ჯგუფი უკანასკნელი ორი წლის დოკუმენტაციას შეისწავლის, მომდევნო სეზონიდან კი კლუბებს უკვე ბოლო სამი წლის ანგარიშის წარმოდგენა დასჭირდებათ.

პირველი სანქციები იმ კლუბების მიმართ, რომლებიც მოთხოვნებს ვერ დააკმაყოფილებენ, მას მერე დაწესდება, რაც სპეციალური ჯგუფი მათ ფინანსურ მდგომარეობას შეისწავლის. ეს მოხდება არა უგვიანეს 2014 წლის აპრილის ბოლოს ან მაისის დასაწყისში. სანქციები ამოქმედდება 2014/15 წლების სეზონიდან.



მიშელ პლატინიმ ევროპულ საკლუბო ფეხბურთის ცხოვრების ახალი წესები შესთავაზა

კლუბებს უფლება ეძლევათ სეზონის განმავლობაში დახარჯონ 5 მილიონი ევროთი მეტი, ვიდრე თავად გამოიმუშავებენ. დაშვებულია ლიმიტის გადაჭარბება, თუკი ეს ხარჯები მთლიანად იქნება დაფარული კლუბის მესაკუთრის (მესაკუთრეების) მხრიდან. ამასთან არსებობს ზედა ზღვარი, 2013/14, 2014/15 წლების სეზონში ის არ უნდა აღემატებოდეს 45 მილიონ ევროს, 2015/16, 2016/17 და 2017/18 წლების სეზონში კი ლიმიტი 30 მილიონამდე შემცირდება. მომდევნო წლებში ზედა ზღვარი კიდევ დაიწევს და ის მოგვიანებით დადგინდება. კლუბების მიერ ინფრასტრუქტურულ პროექტებში, ბავშვთა და იუნიორთა ფეხბურთში ჩადებული თანხები საერთო წაგებაში გათვალისწინებული არ იქნება.

● ამბები

### ირლანდიის ახალი კონტრაქტი

„სტოკის" ვებგვერდის ცნობით, კლუბმა 27 წლის ირლანდიელ **სტივენ აირლანდთან** ახალი, 3-წლიანი კონტრაქტი გააფორმა. ცენტრალური ნახევარმცველი **მარკ ჰიუზის** გუნდში გასული წლის სექტემბერში „ასტონ ვილადან" იჯარით მივიდა, იანვარში კი ბირმინგემელებმა ფეხბურთელს თავისუფალი აგენტის სტატუსი მიანიჭეს. *„თითოეული მოთამაშისთვის მნიშვნელოვანია, რომ იმ გუნდის სრულფასოვან წევრად იგრძნოს თავი, ვისთანაც კონტრაქტი აკავშირებს. წინა კლუბებში სწორედ ეს განცდა მაკლდა,"* - განაცხადა ფეხბურთელმა.

### მარტინესს ჭორების არ ეშინია

„ევერტონის" 20 წლის ცენტრალურმა ნახევარმცველმა **როს ბერკლიმ** მიმდინარე სეზონში გუნდის მიერ პრემიერლიგაში ჩატარებული 33 შეხვედრიდან 30-ში ითამაშა და აქედან 21-ჯერ ძირითად შემადგენლობაში. ფეხბურთელმა 5 გოლი გაიტანა და 1 საგოლე გადაცემა შეასრულა. მისმა თამაშმა შეძლებული კლუბების ინტერესი მიიპყრო. მათ შორის არის „ლივერპულიც", ვინც მზად არის, თანაქალაქელს 38 მილიონი ფუნტი გადაუხადოს. ამ ხმებმა „ლურჯების" თავკაცი ხუმრობის განწყობაზე დააყენა. აი, თქვა **რობერტო მარტინესმა**: *„თუკი საგაზეთო ვერსიებს დავუჯერებთ, „იუნაიტედის" მიერ შემოთავაზებულ 50 მილიონზე უკვე გვითქვამს უარი. ასე რომ, არც „ლივერპულის" 38 მილიონს დავჯერდებით. მეორე მხრივ სასიამოვნოა, როცა შენს ფეხბურთელს ასე ძვირად აფასებენ. ჩვენთვის ეს დიდი კომპლიმენტია".*

გვერდი მოამზადა
**ლევან ბიბილაშვილმა**

იტალია. სერია A. XXXIII ტურის შეჯამება

# იუვემ რომა დაადუმა




ტურინელები გოლის აღნიშვნისას

33-ე ტური ორშაბათის მატჩით დასრულდა, რომელშიც „იუვენტუსი“ „უდინეზეს“ ესტუმრა და მორიგი გამარჯვება მოიპოვა. ამრიგად, ტურინულმა გრანდმა შეინარჩუნა 8-ქულიანი ჰანდიკაპი ერთადერთ მდევართან და შესაბამისად, კიდევ უფრო მიუახლოვდა სკუდეტოს. ეჭვი აღარავის ეპარება, რომ ჩემპიონი სწორედ „ვეკია სენიორა“ გახდება, უდინურმა პაექრობამ ყველაზე ოპტიმისტ რომაელ გულშემატკივარსაც მოუსპო იმედი.

## მორიგი ნაბიჯი

„იუვენტუსმა“ „უდინეზე“ განსაკუთრებული პრობლემების გარეშე დაამარცხა, პირველივე ტაიმში გაუტანა მეტოქეს ორი გოლი და შემდეგ, ბურთი გააგორა. მოკლედ, „იუვე“ ჯიქურ მიიწევს მორიგი სკუდეტოსკენ და ამ სვლას ვერც **ანტონიო კონტეს** როტაცია აფერხებს. ამჯერად, ტურინელთა თავკაცმა **პაბლო ოსვალდო** დაასვენა, **კარლოს ტევესს** მიკროტრავმა ჰქონდა, **ფერნანდო ლორენტეს** კი შეტევის წინა ხაზზე **სებასტიან ჯოვინკო** მიაშველა. თავიდანვე აღვნიშნოთ, რომ სებამ შესანიშნავად ითამაშა და გოლიც მიითვალა აქტივში, ისევე, როგორც ლორენტემ...

ნახევარდაცვაში კვლავ **არტურო ვიდალი** ისვენებდა, დაცვის ცენტრში კი მოულოდნელად **ანჯელო ოგბონა** გამოჩნდა. ტურინელთა ორი გოლიდან განსაკუთრებულად ეფექტური პირველი გახლდათ - ჯოვინკომ ბურთი მარჯვენა ფრთაზე მიიღო, **არიენ რობენის** სტილში ცენტრისკენ შეიჭრა, გზად ორი მეტოქე ჩამოიცილა და უზუსტესი დარტყმით ბურთი მეკარისაგან შორეულ კუთხეში მოათავსა - 0:1. სტუმართა მეორე გოლი სტანდარტულს მოჰყვა - ტურინელთა ჩაწოდებამ უდინელთა საჯარიმოში არეულობა გამოიწვია, მღვრიე წყალში კი თევზი ლორენტემ დაიჭირა - 0:2. ესპანელის გოლმა საქმე მოამთავრა, ნამატჩევს კი კონტე უაღრესად კმაყოფილი იყო:

*„ჩვენ მოვიპოვეთ უმნიშვნელოვანესი გამარჯვება, მაგრამ არა გადამწყვეტი. თუ ჩავთვლით, რომ სკუდეტო უკვე ჩვენს ხელშია, აუცილებლად დავისჯებით. ისე კი, ძალიან კმაყოფილი ვარ შეგირდთა გარჯით, რომლებმაც ყველა ჩემი დავალება პირნათლად შეასრულა. სწორედ ასეთი „იუვეს“ ხილვა მსურს მომავალშიც“.*

## იგუაინმა მარადონას აჯობა

ტურის ცენტრალურ შეხვედრაში „ნაპოლიმ“ „ლაციოს“ უმასპინძლა და მძიმე ბრძოლაში გაიმარჯვა, 4:2. მატჩი თვალსასეირო და მომენტებით დახუნძლული გამოდგა. თამაშის გმირი **გონსალო იგუაინია**, რომელმაც ჰეთთრიკი შეასრულა, მიმდინარე სეზონში 17 გოლს მოუყარა თავი და თვით **დიეგო მარადონას** აჯობა. სადებიუტო ნეაპოლურ სეზონში ლეგენდარულ არგენტინელს ამდენი გოლი არ გაუტანია. მოკლედ, გონსალომ კარგად დაიწყო და ვნახოთ, თუ შესწვდება გაცილებით სახელოვანი თანამემამულის სხვა მიღწევებსაც.

„ნაპოლი“-„ლაციოს“ პაექრობაში **ლორენცო ინსინიეს** ოცნება ასრულდა - ახალგაზრდა შემტევი გუნდს კაპიტნის სამკლავურით გაუძღვა. ლორენცოს არაერთხელ უთქვამს, რომ მისი ოცნება კარიერის „ნაპოლიში“ დასრულება და გუნდის კაპიტნობაა. კვირას, ინსინიე პირველად იყო კაპიტანი.

## მონტელა ეიფორიაში

მიმდინარე სეზონმა არაერთხელ დაამტკიცა, რომ იტალიური ფეხბურთი არც ისეთი ჩაკეტილი და მოსაწყენია, როგორც ამას ხშირად ამბობენ. განვლილ 10 შეხვედრაში 38 გოლი გავიდა, რაც საშუალოდ ერთ შეხვედრაში თითქმის 4 გოლია. განსაკუთრებულად სანახაობრივი ვერონული მატჩი გამოდგა, სადაც „ფიორენტინა“ ჩავიდა და შესანიშნავი გამარჯვება მოპოვა. „ვიოლამ“ „ვერონა“ 5:3 დაამარცხა, ტრიბუნებზე შეკრებილმა ქომაგებმა კი ორი ამდენი სახიფათო მომენტი იხილეს. ნამატჩევს, ფლორენციელთა თავკაცი **ვინჩენცო მონტელა** ბედნიერი იყო:

*„ეიფორიაში ვარ, რადგან ასეთი თამაში იშვიათად მინახავს. ეს იყო მატჩი, რომელიც გულგრილს არავის დატოვებდა. შემიძლია თამამად ვთქვა, რომ ეს იყო საუკეთესო თამაში, რომელიც „ფიორენტინამ“ ჩემი თავკაცობით აჩვენა. „იუვენტუსთან“ მოგებული მატჩი? - იქ მხოლოდ ერთი ტაიმი ვივარგეთ, აქ კი მთელი თამაში ვბრწყინავდით. მართალია, დაცვაში გარკვეული პრობლემები გვქონდა, მაგრამ ამისგან ტრაგედია არ უნდა შევქმნათ“.*

## გადარეული ოლიმპიკო

„ტორინო“-„ჯენოას“ მატჩზე ტურის მიმოხილვაშიც ვთქვით და კიდევ ერთხელ უნდა მივუბრუნდეთ. ის, რაც ოლიმპიურ სტადიონზე მოხდა, იშვიათად გვინახავს და სიტყვებით რთული გადმოსაცემია. „ჯენოა“ მეტოქეს მინიმალური ანგარიშით უგებდა და მატჩის ბედიც გადაწყვეტილი ჩანდა, მაგრამ მსაჯის მიერ კომპენსირებულ დროში პატარა სასწაული მოხდა...




ალესიო ჩერჩი მინდორზე სტადიონის მომსახურე პერსონალმა დააბრუნა

არბიტრმა სულ სამი წუთი დაამატა, რომელთაგან ერთი უკვე გალეული იყო და გენუელები დროის გაყვანას ყველა მეთოდით ცდილობდნენ - ამ დროს, **ჩირო იმობილემ** მარცხენა ფრთაზე მიიღო ბურთი, ერთ მეურვეს გვერდი კარგად აუარა და უძლიერესი დარტყმით მეტოქის კარის ცხრიანი დალაშქრა - 1:1. „სტადიო ოლიმპიკოზე“ ნამდვილი ზეიმი გაჩაღდა, გულშემატკივრები ლამის მოედანზე გადმოვიდნენ, რათა უკანასკნელ წუთზე მოპოვებული ქულა აღენიშნათ. მსაჯმა ძლივს დააბრუნა ფეხბურთელები მინდორზე და თამაშის განახლების ჩასტვინა - გენუელებმა სწრაფი იერიში განიზრახეს, მაგრამ ბურთი ცენტრიშივე დაკარგეს და **ალესიო ჩერჩის** ჩააბარეს - ამ უკანასკნელმა საკუთარ თავზე აიღო თამაში, ერთი მეტოქე კარგად მოატყუა და საჯარიმოს გარედან, უძლიერესი დარტყმით ბურთი ცხრიანში გაახვია... თუ რა ამბავი იყო „ოლიმპიკოზე“, სიტყვებით რთული გადმოსაცემია. ტურინელებმა ისე იზეიმეს „ჯენოას“ დამარცხება, იფიქრებდით ეს-ესაა, სკუდეტო მოიგესო.

## ლოპესი VS იკარდი

„სამპდორია“-„ინტერის“ ჯახმა დიდი ინტერესი გამოიწვია, რასაც რამდენიმე ფაქტორი განაპირობებდა. „ნერაძურის“ ბოლოდროინდელმა კრიზისმა გააჩინა ეჭვები, რომ მილანელები ევროპალიგის ზონასაც დატოვებდნენ, რაც **ვალტერ მაცარის** უთუოდ დაუჯდებოდა პოსტის დატოვებად. „სამპას“ მწვრთნელი ექსინტერელი **სინიშა მიხაილოვიჩია** და ესეც დამატებითი ინტრიგა იყო. დაბოლოს, **მაურო იკარდი** და **მაქსი ლოპესი** ერთმანეთის წინააღმდეგ - საქმე იმაშია, რომ იკარდიმ ლოპესს ცოლი „წაართვა“ და მას შემდეგ, მაქსი თანამემამულეზე გადამტერებულია. გუნდების მისალმებისას, იკარდიმ ლოპესს ხელი გაუწოდა, მაგრამ სანაცვლოდ სრული იგნორი მიიღო - მაურომ სამაგიერო მოედანზე გადაუხადა: დუბლი შეასრულა. „ნერაძურის“ ოთხ უპასუხო გოლს არავინ ელოდა.

## პერსონები

აუცილებლად უნდა გამოვარჩიოთ **ალბერტო პალოსკი**, რომელმაც „ლივორნო“-„კიევოს“ შეხვედრაში ჰეთთრიკი შეასრულა და ვერონულ გუნდს უმნიშვნელოვანესი გამარჯვება მოუტანა. „კიევო“ ელიტაში ადგილის შესანარჩუნებლად იბრძვის და უშუალო კონკურენტის დამარცხება ექვსი ქულის ტოლფასი გახლდათ. პალოსკი პროგრესირებს და არაა გამორიცხული, მომდევნო სეზონიდან უფრო ამბიციურ გუნდში იასპარეზოს. ცნობისთვის, ახალგაზრდა თავდამსხმელი „მილანის“ საკუთრებაა.

სიტყვამ მოიტანა და „მილანის“ გამარჯვებაზეც ვთქვათ ორიოდე სიტყვა... უფრო სწორად ფეხბურთელზე, რომლის ბრწყინვალე დარტყმამ „როსონერის“ „კატანიასთან“ მოაგებინა. **რიკარდო მონტოლივომ** ბურთი მეტოქის კარიდან დაახლოებით 30-35 მეტრის მოშორებით მიიღო, ერთი ასწია თავი და უზუსტესი დარტყმით ულამაზესი გოლი გაიტანა. მონტოლივოს გოლმა „მილანს“ ზედიზედ მეოთხე მატჩი მოაგებინა.

**ლაშა ნიკლაური**




ამბები

## ნაინგოლანმა ცოლი გალახა?

მაროკოელი ნახევარმცველი **რაჯა ნაინგოლანი** სკანდალში გაეხვია. იტალიური პრესის ცნობით, კალიარის პოლიციამ იგი დააკავა, მაგრამ როგორც „კალიარიდან“ „რომაში“ განათხოვრებული ფეხბურთელი ამბობს, ეს „გაუგებრობა“ მალევე მოგვარდა. საქმე ისაა, რომ ნაინგოლანი ქუჩაში მეუღლეს ეჩხუბა და როგორც ამბობენ, ხელითაც შეეხო მას. იმასაც ამბობდნენ, რომ ამის გამო ნაინგოლანის ცოლი **კლაუდია** 20 დღეს საავადმყოფოში გაატარებსო, მაგრამ ისტორია ცოტა გაბუქებული გამოდგა.

*„ჩვენ უბრალოდ ვიკამათეთ. მე მასზე ხელი არ ამიწევია. მინდა ყველას ვუთხრა, რომ თავის საქმეს მიხედოს. ოჯახში შეიძლება იყოს უთანხმოება და ჩხუბი, მაგრამ ფიზიკური ძალადობა დაუშვებელია“* - განაცხადა ნაინგოლანმა.

რაჯას დამატებითი „ალიბი“ „ტვიტერზე“ თავისი მეუღლის სიტყვები გახლდათ: *„ვინ არ ჩხუბობს ქმართან? ეს უბრალო კამათი იყო“.*

## მონაკოს სიმეონე ურჩიეს

ფრანგული პრესის ცნობით, ცნობილმა საფეხბურთო აგენტმა **ჟორჟე მენდეშმა**, რომელიც „მონაკოს“ ფორვარდის **რადამელ ფალკაოს** ინტერესებს იცავს, მონტეკარლოელებს **დიეგო სიმეონეს** მიყვანა ურჩია. კარგად მოგეხსენებათ, რომ „მონაკოს“ შორსმიმავალი გეგმები აქვს და შესაძლოა კლუბის ამბიციებს **კლაუდიო რანიერი** გამოცდილების მიუხედავად ვერ აკმაყოფილებს. სიმეონე კი ახალგაზრდა მწვრთნელებს შორის ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული და გამარჯვების წყურვილით შეპყრობილი სპეციალისტია. სათქმელია ისიც, რომ მას არაერთი მსურველი ჰყავს, მაგრამ „მონაკოს“ ფინანსურად ნებისმიერ გუნდთან გაჯიბრება შეუძლია. „ჩოლოს“ „ატლეტიკოსთან“ მოქმედი კონტრაქტი 2017 წლის ივნისამდე აქვს.

## ატლეტიკოს ლოიკ რემი აინტერესებს

ინგლისური „ქუინზ პარკ რეინჯერსის“ თავდამსხმელი **ლოიკ რემი** შესაძლოა, „ატლეტიკოში“ აღმოჩნდეს. როგორც იცით, 27 წლის ფრანგი „ნიუკასლშია“ განათხოვრებული და ბრწყინვალედაც გამოიყურება. ჯორდებს მისი შენარჩუნება სურთ, მაგრამ მსურველები კიდევ მრავლად არიან. მადრიდელებს კი ლოიკ რემი **დიეგო კოშტას** ერთ-ერთ შემცვლელად წარმოუდგენიათ. ეს უკანასკნელი შესაძლოა „ათლეტებიდან“ წავიდეს, რადგან რემიზე კიდევ უფრო ბევრი მსურველი ჰყავს.

## რა ელის ლამელას?

**ერიკ ლამელა** ტრავმის გამო სეზონის ბოლომდე ველარ ითამაშებს, მაგრამ როდესაც მწყობრში იყო „ტოტენჰემის“ მაისურით, მაშინაც ვერ ბრწყინავდა. არგენტინელის პრემიერლიგური კარიერა აშკარად არ აეწყო და სავარაუდოდ, ზაფხულში იგი გუნდს გამოიცვლის. „დეზები“ 22 წლის ფეხბურთელს დაახლოებით ნახევარ ფასში, 15 მილიონ ევროდ თუ გაყიდიან. ამჟამად, ორი რეალური ვარიანტია - ყოფილ კლუბ „რომაში“ დაბრუნება და ტურინის „იუვენტუსი“, რომელიც არგენტინელით დაინტერესებულია.

**გიორგი პაპაბაძე**

## გერმანიის თასი

### 1/2 ფინალი

**დორტმუნდი-ვოლფსბურგი 2:0**

**გოლები:** 1:0 მხითარიანი (13), 2:0 ლევანდოვსკი (43)

**დორტმუნდი (4-2-3-1):** ვაიდენფელერი - პიშჩეკი, პაპასტატოპულოსი, ჰუმელსი, დურმი - იოიჩი, კელი - როისი (93. შიბერი), მხითარიანი (72. კირხი), გროსკროიტცი - ლევანდოვსკი (85. ობამეიანგი)

**ვოლფსბურგი (4-2-3-1):** გრიუნი - ტრაში, ნალდო, კნოხე, შაფერი - ლუის გუსტავო, მალანდა (83. კალიჯური) - დე ბრუინი, არნოლდი (63. ვიერინია), პერიშიჩი - ოლიჩი

### 16 აპრილი

**ბაიერნი-კაიზერსლაუტერნი 22:30**

● ესპანეთი. ლა ლიგა. XXXIII ტურის შეჯამება

# დედაქალაქი წინ გაიჭრა



დიეგო სიმეონეს გუნდს წინ ხუთი ფინალი ელის, მაგრამ ჩემპიონობის მოსაპოვებლად ოთხის მოგებაც ეყოფა

**პრიმერას** 33-ე ტურში პირველ ცხრა ადგილზე მყოფი გუნდიდან მხოლოდ ერთმა წააგო. ბევრისთვის მოულოდნელად, ეს გუნდი „ბარსელონა“ აღმოჩნდა, რომელიც „გრანადასთან“ მარცხის გამო, სატურნირო ცხრილში მესამე ადგილამდე ჩამოქვეითდა...

## ბარსა მარცხს არ იმსახურებდა

სწორედ ეს განაცხადა თამაშის შემდეგ **ხერარდო მარტინომ**, რომლის გუნდიც ბურთს სათამაშო დროის 86%-ის განმავლობაში ფლობდა:

*„ლა ლიგა ჯერ არ წაგვიგია, მაგრამ ყველაფერი მხოლოდ ჩვენზე დამოკიდებული აღარ არის. მიუხედავად ამისა, ბოლომდე ვიბრძოლებთ. წაგებაში მოთამაშეებს ნამდვილად ვერ დავადანაშაულებ, რადგან მათ კარგად ითამაშეს, ბევრი მომენტიც შექმნეს, უბრალოდ დღეს ჩვენი დღე არ იყო. ზოგადად, ცუდად არ გვითამაშია და თავისუფლად შეგვეძლო, რომ ოთხი ან ხუთი ბურთის სხვაობით მოგვეგო. მნიშვნელოვანია, რომ დაცემის შემდეგ დროულად წამოდგე და პრობლემების მიუხედავად მხოლოდ მომავალზე იფიქრო. წინ ესპანეთის თასის ფინალი გველის, რომლის წაგების უფლებაც არ გვაქვს“.*

საპირისპიროდ, ბედნიერი იყო **ლუკას ალკარასი**, რომლის „გრანადამაც“ „ბარსა“ 1971/72 წლების სეზონის შემდეგ პირველად დაამარცხა, თავად ალკარასს კი კატალონიურ კლუბთან ჩატარებული წინა 11 თამაშიდან 10 ჰქონდა წაგებული:

*„გუნდმა გამარჯვებისთვის ყველაფერი გააკეთა და შესაძლებლობების მაქსიმუმზე მეტიც გამოავლინა. გარდა ამისა, ჩვენ გაგვიმართლა, რადგან მათ თავისი პოტენციალი ბოლომდე ვერ აჩვენეს. რა თქმა უნდა, მხოლოდ შესაძლებლობებზე რომ იყოს დამოკიდებული, „ბარსა“ თამაშს ნახევარი საათის შემდეგ მოიგებდა, მაგრამ სწორედ იმის გამო გვიყვარს ფეხბურთი, რომ მონდომების, გამართლების და თავგანწირვის ხარჯზე, შედარებით სუსტმა შეიძლება ძლიერი გუნდი დაამარცხოს და გულშემატკივრები გააბედნიეროს“,* - განაცხადა 47 წლის სპეციალისტმა.

## სამი დიეგოს ფაქტორი

კონკურენტის წაგებით მადრიდულმა კლუბებმა ისარგებლეს. „რეალი“ მეორე ადგილზე გადავიდა, „ატლეტიკომ“ კი „ბარსას“ უკვე 4 ქულით გაუსწრო. ეს ყველაფერი კი ნიშნავს იმას, რომ „როხიბლანკოს“ ჩემპიონის ტიტულის განაღდება ბოლო ტურამდე შეუძლია. ამისთვის საჭიროა, რომ **დიეგო სიმეონეს** გუნდმა მომდევნო ოთხი თამაში მოიგოს.

„ატლეტიკომ“ მადრიდულ დერბიში „ხეფატეს“ სიმეონეს სეხნიების, **დიეგო გოდინის** და **დიეგო კოშტას** გოლებით მოუგო. ამ უკანასკნელმა გოლის მომენტში ტრავმა მიიღო, როდესაც ძელს შეეჯახა. საბედნიეროდ, კოშტა მწყობრშია და მას მომდევნო ტურში („ელჩესთან“) თამაშის შანსიც აქვს.

„ხეტაფესთან“ მოპოვებული სამი ქულის შემდეგ კი სიმეონემ განაცხადა, რომ მის გუნდს წინ ხუთი ფინალი ელის:

*„დღეს ძლიერი გუნდი დავამარცხეთ. თამაში საკმაოდ რთული გამოდგა, მაგრამ მონდომების ხარჯზე ეს ბარიერიც გადავლახეთ. წინ ხუთი შეხვედრა, ხუთი ფინალი გველის, მაგრამ ახლა მხოლოდ მომდევნო ფინალურ მატჩზე ვფიქრობთ, რომელიც პარასკევს, „ელჩესთან“ უნდა ჩავატაროთ. მდევრებს დიდ პატივს ვცემთ და ვიცით, რომ მათ დიდი რესურსი გააჩნიათ, მაგრამ მეტოქეების ასპარეზობაზე ფიქრით თავს არ ვილლით და მხოლოდ საკუთარ თამაშზე ვართ კონცენტრირებულნი“.*

„ალმერიასთან“ მოგებული მატჩის შემდეგ, რომელშიც „რეალმა“ 4:0 იმარჯვა და სატურნირო ცხრილში „ბარსელონას“ გადაასწრო, **კარლო ანჩელოტიმ** მომავალ ოთხშაბათს გასამართ კოპა დელ რეის ფინალზე უფრო მეტი ისაუბრა:

*„მათი წაგების გამო, თასის ფინალში ძალთა გადანაწილება არ იცვლება. რა თქმა უნდა, „გრანადასთან“ წაგება მოულოდნელი იყო, მაგრამ დარწმუნებული ვარ, რომ „მესტალიაზე“ სულ სხვანაირ „ბარსელონას“ ვიხილავთ. ჩემი აზრით, ისინი ისევ ფიქრობენ ჩემპიონობაზე, რადგან სეზონის ამ ეტაპზე ყველა გუნდი გააფთრებით იბრძვის თითოეული ქულისთვის და სენსაციების ალბათობაც იზრდება“.*

## ორშაბათი ბასკების დღეა

ალბათ, უკვე თავი მოგაბეზრეთ, მაგრამ კიდევ ერთხელ უნდა გავიმეოროთ, რომ ლა ლიგაში ორშაბათს გამართული მატჩების 90 პროცენტში მონაწილეობას ბილბაოს „ატლეტიკი“ იღებს. ბასკებმა ამჯერადაც კვირის პირველ სამუშაო დღეს ითამაშეს და „მალაგას“ 3:0 მოუგეს. **ერნესტო ვალვერდეს** გუნდიდან გოლები **არიც ადურისმა** (დუბლი) და **ანდერ ერერამ** გაიტანეს. მატჩის ერთ-ერთი გამორჩეული ფიგურა იყო **მარკელ სუსაეტაც**, რომელმაც აქტივში ორი საგოლე პასი ჩაიწერა. ამ გამარჯვების წყალობით, „ბილბაომ“ 62 ქულა მოაგროვა და მეხუთე ადგილზე მყოფ „სევილიას“ ისევ 6 ქულით გაუსწრო.

**საუკეთესო ბომბარდირები:**

28 - კრიშტიანო რონალდო (რეალი)
26 - დიეგო კოშტა (ატლეტიკო)
25 - ლიონელ მესი (ბარსელონა)
17 - ქარიმ ბენზემა (რეალი), ალექსის სანჩესი (ბარსელონა)
16 - ანტუან გრიზმანი (სოსიედადი)
15 - არიც ადურისი (ბილბაო)

**საუკეთესო ასისტენტები:**

13 - კოკე (ატლეტიკო)
12 - ანხელ დი მარია (რეალი), სესკ ფაბრეგასი (ბარსელონა), გარეთ ბეილი (რეალი)
11 - კარლოს ველა (სოსიედადი), მარკელ სუსაეტა (ბილბაო)
10 - ივან რაკიტიჩი (სევილია), ლიონელ მესი (ბარსელონა)

**გოლი+პასი:**

36 - კრიშტიანო რონალდო (რეალი) - 28+8
35 - ლიონელ მესი (ბარსელონა) - 25+10
29 - დიეგო კოშტა (ატლეტიკო) - 26+3
26 - ალექსის სანჩესი (ბარსელონა) - 17+9, გარეთ ბეილი (რეალი) - 14+12
25 - ქარიმ ბენზემა (რეალი) - 17+8

ტატო ბაციკაძე

**სიმბოლური ნაკრები**




● ამბები

## ოლიჩს მგლობა ურჩევნია

**ივიცა ოლიჩმა** გადაწყვიტა, რომ „ვოლფსბურგში“ დარჩეს. 34 წლის ხორვატს კონტრაქტი „სტოკ სიტიმ“ შესთავაზა, მაგრამ პრემიერლიგაში გადასვლას ვეტერან ფორვარდს „მგლებში“ დარჩენა ურჩევნია.

*„მინდა, რომ „ვოლფსბურგში“ დავრჩე, რადგან მომწონს აქაური ატმოსფერო და გუნდის სამომავლო გეგმები, მსურს ამ პროექტის წევრი ვიყო“* - განაცხადა ოლიჩმა, რომელსაც ბუნდესლიგაში ჩატარებულ 28 მატჩში 12 გოლი აქვს გატანილი.

## ბარსადან წამსვლელთა სია

„ელ მუნდო დეპორტივოს“ ინფორმაციით, სეზონის ბოლოს „ბარსელონაში“ ძალიან ბევრი ცვლილება იქნება და ეს ესპანური გამოცემა იმ 7 მოთამაშეს ასახელებს, რომლებმაც მათი ცნობებით, შესაძლოა, კატალონიური გუნდი დატოვონ. შვიდეული შემდეგნაირია: **დანიელ ალვეში, ალექსის სანჩესი, სესკ ფაბრეგასი, ჯონათან დოს სანტოსი, ალექსანდრ სონგი, კრისტიან ტელიო** და **ისააკ კუენკა**. ეს უკანასკნელი ამსტერდამის „აიაქსშია“ განათხოვრებული და შესაძლოა ჰოლანდიურ კლუბშივე ისურვოს დარჩენა.

## არსენალი იანმატზე ფიქრობს

ჰოლანდიის ნაკრებისა და როტერდამის „ფეიენოორდის“ მცველი **დარილ იანმატი** შესაძლოა ლონდონის „არსენალში“ აღმოჩნდეს. მით უმეტეს მაშინ, თუ „მეთოფეებს“ **ბაქარი სანია** დატოვებს. იანმატსა და „ფეიენოორდს“ შორის მოქმედ კონტრაქტს ვადა 2015 წლის ზაფხულში გასდის და მხარეებს შორის ახალი შეთანხმება, სავარაუდოდ, არ გაფორმდება. ამიტომაც, როდერტამელები შეეცდებიან, იგი ამ ზაფხულს გაასხვისონ. როგორც ამბობენ, „არსენალი“ იანმატში დაახლოებით 3,5 მილიონ ფუნტს გადაიხდის.

## იუვენტუსი სანჩესს ეპატიჟება

ტურინის „იუვენტუსმა“ **ალექსის სანჩესთან** მოლაპარაკება დაიწყო. იტალიურ-ესპანურ წყაროებს თუ ვენდობით, „ბებერი ქალბატონის“ წარმომადგენლები უკვე შეხვდნენ ჩილელის აგენტს **ფერნანდო ფელისოვიჩს**. იქამდე ამბობდნენ, რომ „ბარსელონა“ მზად იყო ალექსის სანჩესი მისი თანამემამულის **არტურო ვიდალის** ხელში ჩასაგდებად გამოეყენებინა, მაგრამ მას მერე, რაც ფიფამ კატალონიელებს ახალი ფეხბურთელების დამატება აუკრძალა, მათ ვიდალიც და სხვებიც დროებით უნდა დაივიწყონ. რაც შეეხება სანჩესს, იგი „ბარსაში“ ისე ვერ ბრწყინავს, როგორც „უდინეზეში“ ბრწყინავდა და ალბათ 25 წლის თავდამსხმელი სერია A-ში დაბრუნებაზე უარს არ იტყვის.

## ვერტონგენი ბეჰრამიში გაიცვლება?

„ნაპოლის“ **იან ვერტონგენის** გადაბირება უნდა, ბელგიელი მცველი **რაფაელ ბენიტესის** სამომავლო გეგმებში შედის და ესპანელი სპეციალისტი მზადაა მის სანაცვლოდ „ტოტენჰემს“ **ვალონ ბეჰრამი** დაუთმოს. 28 წლის შვეიცარიელი პრემიერლიგაში გადაბარგების დიდად წინააღმდეგი, წესით, არ უნდა იყოს. ხოლო ის, რომ ვერტონგენი, რომელიც 24 აპრილს 27 წლის გახდება, „დეზებს“ დატოვებს ფაქტობრივად გადაწყვეტილია. მას კიდევ არაერთი მთხოვნელი ჰყავს, რომელთაგანაც ბოლო დროს ყველაზე მეტად „ზენიტი“ და „ფიორენტინა“ აქტიურობენ.

## ოჩოას მარსელში გადასვლა სურს

ფრანგული „აიაჩო“ ლიგა 1-დან ვარდება და ერთ-ერთი პირველი, ვინც კორსიკელებს დატოვებს **გილერმო ოჩოა** უნდა იყოს. რასაკვირველია, ასეთი კარგი მეკარის ადგილი ლიგა 2-ში არ არის. ამბობენ, რომ 28 წლის მექსიკელი გოლკიპერის ხილვა თავის რიგებში „მარსელს“ სურს და ეს ინფორმაცია თავად ოჩოას ყურამდეც მისულა.

*„რა თქმა უნდა, „მარსელში“ გადასვლა მინდა. ჩემი პრიორიტეტი საფრანგეთში დარჩენაა“* - ამბობს ოჩოა.

## კავანი ფეხებს უფრთხილდება?

„პარი სენ-ჟერმენი“ ჯერ კიდევ ვერ გამოვიდა „ჩელსისთან“ წაგებული მატჩის შოკიდან და ლონდონელებთან 0:2-ის მერე, „ლიონთანაც“ დამარცხდა - 0:1. ამ მატჩებში პარიზელთა ურუგვაელმა ფორვარდმა **ედინსონ კავანიმ** მომენტები ვერ გამოიყენა და მისი თამაშით პსჟ-ს მთავარი მწვრთნელი **ლორან ბლანი** უკმაყოფილოა, მას თავისი თეორიაც აქვს...

*„კავანის სერიოზული ტრავმა ჰქონდა. მას მსოფლიოს ჩემპიონატზე თამაში უნდა, რომელიც ახლოვდება და შესაძლოა ტრავმის რეციდივის ეშინია. შესაძლოა, იგი ქვეცნობიერად თავსაც ზოგავს“* - თქვა ბლანმა.



ედინსონ კავანი



ალვარო მორატა

## მორატას აგენტი ინტერს არ გამორიცხავს

მადრიდის „რეალის“ ახალგაზრდა ფორვარდი **ალვარო მორატა** გუნდის გამოცვლაზე ფიქრობს. მას უამრავი მსურველი ჰყავს და მათ შორის მილანის „ინტერიცაა“, რომელიც გააქტიურდა. თუმცა 21 წლის თავდამსხმელის თავისთან ხილვა „არსენალს“, „იუვენტუსს“, „ლევერკუზენსა“ და „ზენიტსაც“ სურთ. მორატას „სამეფო გუნდთან“ კონტრაქტი 2015 წლის ზაფხულამდე აკავშირებს და მცირე სათამაშო დროით არის უკმაყოფილო, მადრიდელები მას ვერანაირ გარანტიას ვერ აძლევენ და მოკლედ, მხარეები ახალი შეთანხმების გაფორმების სურვილით არ იწვიან, რაც იმას ნიშნავს, რომ დიდი ალბათობით, სეზონის დასრულების შემდეგ, „რეალი“ მორატას გაასხვისებს.

*„გადავა თუ არა ალვარო „ინტერში“? არაფერია გამორიცხული. ჯერჯერობით კონკრეტულად ვერც ერთი გუნდის ინტერესზე ვერ ვისაუბრებ. „რეალთან“ ახალ კონტრაქტზე კი არაფერი ისმის“* - თქვა ფეხბურთელის აგენტმა **ხუანმა ლოპესმა**.

გიორგი პაპაბაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინტერვიუ. იუპ ჰაინკესი

# კროოსის გაშვება დიდი შეცდომა იქნება!

## დონ იუპის აზრით, ბაიერნმა მანჯუკიჩიც აუცილებლად უნდა შეინარჩუნოს

**მიუნხენის „ბაიერნის" ყოფილი მთავარი მწვრთნელი იუპ ჰაინკესი კიდევ ერთხელ მოექცა ჩვენი გერმანელი კოლეგების ყურადღების ცენტრში. პირველ რიგში იმიტომ, რომ შარშან რეკორდმაისტერმა ჰეთთრიკი სწორედ 68 წლის ჰაინკესის ხელმძღვანელობით შეასრულა და კიდევ იმიტომ, რომ „ბაიერნი" ჩემპიონთა ლიგის ნახევარფინალში მადრიდის „რეალს" ხვდება - გუნდს, რომელსაც ჰაინკესი ასევე წვრთნიდა და 1998 წელს ჩემპიონთა ლიგა მოაგებინა. „დონ იუპის" ინტერვიუ „ბილდში" გამოქვეყნდა.**


იუპ ჰაინკესმა მიუნხენის „ბაიერნს" შარშან ბუნდესლიგა, გერმანიის თასი და ჩემპიონთა ლიგა მოაგებინა

**- ჰერ ჰაინკეს, ტონი კროოსი თქვენ შვილივით გიყვართ და მას „ლევერკუზენშიც" და „ბაიერნშიც" ერთ-ერთ უმთავრეს შეგირდად მიიჩნევდით. ახლა საქმეს ისეთი პირი უჩანს, რომ კროოსი „ბაიერნს" დატოვებს...**

- ტონი ცოტა ხნის წინ, „ბაიერნის" ერთ-ერთ წვეულებაზე ვნახე. ხელი მოვკიდე, ცალკე გავიხმე და დიდხანს ველაპარაკე. ყველამ იცის, რომ მასთან განსაკუთრებული ურთიერთობა მაქვს - ჯერ კიდევ „ლევერკუზენში" მუშაობისას მივიჩნევდი გუნდის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ფიგურად. ჰოდა, ცალკე იმიტომ გავიხმე, რომ მისთვის რჩევები მიმეცა. კროოსს ვუთხარი, რომ „ბაიერნიდან" წასვლას არ ვურჩევ. როცა მიუნხენური გრანდის ძირითად შემადგენლობაში თამაშობ, პროგრესირებ, ახალი მწვრთნელის ტაქტიკასაც მოერგე და თან მსოფლიოში საუკეთესო გუნდში თამაშობ, არავითარ შემთხვევაში არ უნდა წახვიდე! მე მგონია, რომ მან ეს ყველაფერი გაიგო.

**- რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, კროოსი და „ბაიერნის" ხელმძღვანელები ანაზღაურებაზე ვერ თანხმდებიან. როგორც ირკვევა, კროოსისთვის საკმარისი არ არის ის ხელფასი, რაც „ბაიერნმა" ახალი კონტრაქტის სანაცვლოდ შესთავაზა...**

- რაკი ახლა ნეიტრალური ვარ და „ბაიერნის" მწვრთნელის რანგში არ ვსაუბრობ, გულახდილად და პირდაპირ ვიტყვი, რომ „ბაიერნმა" კროოსს ძალიან კარგი, შესანიშნავი წინადადებით მიმართა.

**- იქნებ ტონი ახალ თავგადასავლებს და გამოწვევებს ელის?**

- გინდათ, რომ კროოსი მაინცდამაინც ინგლისურ ფეხბურთში გადავრგოთ? ახალი გამოწვევები თუ უნდა, მაშინ „ბარსელონაში" ან მადრიდის „რეალში" გადასვლა ჯობია. მაგრამ ჩემი აზრით, დღეს დონითა და შესაძლებლობებით „ბაიერნთან" ვერც ერთი გუნდი ახლოსაც კი ვერ მიდის. კროოსს ბევრი დრო და მუდმივად უმაღლეს დონეზე თამაში დასჭირდა იმისათვის, რომ „ბაიერნის" ძირითად შემადგენლობაში თავი დაემკვიდრებინა. ახლაც ყოველდღე, ყოველ ვარჯიშზე თავდაუზოგავად უნდა იშრომოს იმისათვის, რომ სასტარტოდან არ ამოვარდეს. ჩემი აზრით, კროოსი ახლა სწორედ ამაზე უნდა იყოს კონცენტრირებული. მოკლედ, მიუნხენიდან წასვლა მისთვის დიდი შეცდომა იქნება. ამავდროულად, კროოსის სხვა გუნდში გადასვლა დიდი შეცდომა იქნება „ბაიერნისთვისაც".

**- როგორ ფიქრობთ, ტონი თქვენს რჩევას გაითვალისწინებს?**

- მგონია, რომ გაითვალისწინებს.

**- იმ წვეულებაზე თქვენ ხოსეპ გვარდიოლასაც შეხვდით...**

- (იცინის) ჰო, პეპს ძალიან უხარია ისეთ ადამიანთან შეხვედრა, ვინც ესპანურად დაელაპარაკება - დიდხანს მესაუბრა. ხუმრობა იქით იყოს და, ჩვენ ერთმანეთს ძალიან კარგად ვუგებთ. გვარდიოლას დიდი ხანია ვიცნობ, მაგარი ტიპია. პეპთან შესანიშნავი ურთიერთობა მაქვს და მჯერა, რომ „ბაიერნთან" ერთად დიდ წარმატებებს მიაღწევს. მგონია, რომ პეპი მიუნხენში დიდხანს დარჩება და „ბაიერნში" ახალ ერას შექმნის. ამ სეზონში ხომ უკვე ჩემპიონია და თქვენ მომდევნო სეზონში ნახეთ.

**- „ბაიერნი" გაისად უფრო ძლიერი იქნება?**

- აუცილებლად! თუნდაც იმიტომ, რომ მარიო გიოტცე უკვე სრულფასოვან ბაიერნელად ჩამოყალიბდება. ამ ბიჭს დრო სჭირდებოდა იმისათვის, რომ „დორტმუნდის" შემდეგ „ბაიერნში" თავისი ადგილი ეპოვა. ასეთი ხმაურიანი ტრანსფერის შემდეგ რეკორდმაისტერში ინტეგრირება ადვილი არ არის. ყველამ ვიცით, რაც შეუძლია გიოტცეს და ისიც ვიცით, რომ ამ სეზონში მარიო საუკეთესო კუთხით ვერ წარმოჩნდა. მგონია, რომ მომდევნო სეზონში სულ სხვა, გაცილებით ძლიერ გიოტცეს ვიხილავთ. ამასთან ერთად, არც ის უნდა დაგვავიწყდეს, რომ ზაფხულიდან „ბაიერნში" რობერტ ლევანდოვსკიც ითამაშებს...

**- რაც მარიო მანჯუკიჩისთვის სერიოზული პრობლემაა...**

- არა, საკითხის ასე დასმა არასწორია! მადრიდის „რეალის" მაგალითი აიღეთ: ხესეს ჯვარედინი მყესები გაუწყდა და სექტემბრამდე ვერ ითამაშებს. ახლა კრიშტიანო რონალდოც დაშავდა და „რეალს" სერიოზული პრობლემა აქვს. გრანდს, რომელსაც ყველა ტიტულის მოგება უნდა, ნებისმიერ პოზიციაზე მინიმუმ ორი, ან ორზე მეტი მაღალი დონის ფეხბურთელი უნდა ჰყავდეს. „ბაიერნმა" არავითარ შემთხვევაში არ უნდა დაუშვას შეცდომა - არ უნდა გაუშვას მანჯუკიჩი! ლევანდოვსკი მსოფლიო დონის გოლეადორია, მანჯუკიჩი კი „ბაიერნის" საუკეთესო ბომბარდირი. მიუნხენურ გრანდს ორივე სჭირდება!

**- „ბაიერნი" ჩემპიონთა ლიგის ნახევარფინალში სწორედ მადრიდის „რეალს" ხვდება. გავლენ მიუნხენელები ზედიზედ მესამედ ფინალში?**

- მგონია, რომ „ბაიერნს" ამის შესანიშნავი შანსი აქვს. ვერ ვხედავ მიზეზს, რომელმაც შეიძლება რეკორდმაისტერს ჩემპიონთა ლიგის თასის შენარჩუნებაში ხელი შეუშალოს. შესაბამისად, არ გამოვრიცხავ, რომ „ბაიერნმა" წელსაც ჰეთთრიკი შეასრულოს.

მოამზადა
**გოტფრიდ ლენცმა**






● კოპა დელ რეი. ფინალის წინ.



2011 წლის ფინალში ერთადერთი გოლი რონალდომ გაიტანა, რომელიც დღეს ვერ ითამაშებს

# მეშვიდე კლასიკო ფინალში

დღეს, ვალენსიაში მორიგი, ამ სეზონში უკვე მესამე „ელ კლასიკო" გაიმართება, თუმცა ამჯერად, წინა ორისგან განსხვავებით, გამარჯვებული გუნდი ტიტულს დაეუფლება. მადრიდის „რეალი" ჰეთთრიქის შესრულებას ცდილობს, „ბარსელონას" კი ჩემპიონთა ლიგიდან გამოვარდნის და ესპანეთის ჩემპიონატში „გრანადასთან" წაგების შემდეგ, სეზონის უტიტულოდ დასრულება ემუქრება.

ამ სეზონში ესპანური გრანდების ორივე დაპირისპირება კატალონიელთა გამარჯვებით დასრულდა: „ნოუ კამპზე" - 2:1, მადრიდში კი 4:3, თუმცა თასზე ბოლო მატჩი „რეალმა" მოიგო, როდესაც შარშანდელ სეზონში, მეტოქეს ნახევარფინალში ორი მატჩის ჯამში 4:2 (1:1, 3:1) სძლია.

უკანასკნელად, „ელ კლასიკო" ესპანეთის თასის ფინალში 2011 წელს ვიხილეთ და მაშინაც, ფინალური მატჩი „მესტალიაზე" გაიმართა. შეხვედრის ერთადერთი გოლი დამატებით დროში, **კრიშტიანო რონალდომ** გაიტანა, ვინც თავი შესანიშნავი თავური დარტყმით გამოიჩინა.

## განვლილი გზა

ორი გუნდიდან, უფრო იოლი მეტოქეები „ბარსელონას" ჰყავდა, რომელმაც პირველ ეტაპზე „კარტახენესს" მოუგო (4:1, 3:0), რასაც „ხეტაფე" (4:0, 2:0), „ლევანტე" (4:1, 5:1) და „სოსიედადი" (2:0, 1:1) მოჰყვა. როგორც ხედავთ, კატალონიელებმა 8 მატჩიდან 7 მოიგეს და მხოლოდ ერთი, ისიც ბოლო შეხვედრა დაასრულეს ფრედ. თასზე ბოლო მარცხი „ბარსამ" შარშან, 1/2 ფინალის საპასუხო შეხვედრაში „რეალისგან" განიცადა.

„სამეფო კლუბს" ფინალამდე მიმავალ გზაზე უფრო ძლიერი გუნდები კი შეხვდა, მაგრამ მიუხედავად ამისა, „რეალმა" მეტოქის მსგავსი შედეგი აჩვენა - 7 მოგება და 1 ფრე. პირველი შეხვედრა **კარლო ანჩელოტის** გუნდმა რიგით მესამე დივიზიონის „ოლიმპიკ დე შატივასთან" 0:0 ითამაშა, რასაც ზედიზედ 7 გამარჯვება მოჰყვა, თანაც „რეალმა" ამ შეხვედრებში გოლი არ გაუშვა! დიახ, ანჩელოტის შეგირდებს თასის მიმდინარე გათამაშებაში ერთი ბურთიც კი არ გაუშვიათ. „შატივას" (0:0, 2:0) შემდეგ, მადრიდელებმა „ოსასუნა" (2:0, 2:0), „ესპანიოლი" (1:0, 1:0) და მადრიდის „ატლეტიკო" (3:0, 2:0) დაამარცხეს.

## რონალდო არ იქნება

ორივე გუნდი შეხვედრას სერიოზული დანაკლისით ხვდება. ამ მხრივ, უფრო დიდი პრობლემა კარლო ანჩელოტის აქვს, რომელსაც კრიშტიანო რონალდო არ ეყოლება - პორტუგალიელი ფინალურ თამაშს ტრავმის გამო დააკლდება. ძირითად შემადგენლობაში მისი ადგილი **ისკომ** უნდა დაიკავოს, რომელმაც უკანასკნელ ტურში კარგი შთაბეჭდილება დატოვა და თავი გოლითაც გამოიჩინა.

„ბარსელონას" ახალი დანაკლისი არ აქვს. **ვიქტორ ვალდესის** და **ჟერარდ პიკეს** ტრავმები ძველი ამბავია. სამაგიეროდ, გამოჯანმრთელდა **კარლეს პუიოლი**, რომელსაც თამაშის კარგი შანსი აქვს. **ხერარდო მარტინო** შეხვედრის დაწყებამდე მიიღებს გადაწყვეტილებას, თუ ვინ უნდა შეეუწყვილდეს დაცვის ცენტრში **ხავიერ მასკერანოს** - პუიოლი თუ **მარკ ბარტრა**.

## მწვრთნელების მოსაზრება

**კარლო ანჩელოტი:** *„რონალდო არ ითამაშებს, რადგან არის შანსი, რომ მან ტრავმა გაირთულოს. ის გუნდთან ერთად ივარჯიშებს და ვალენსიაში წამოვა იმისთვის, რომ შეხვედრას დაესწროს. მისი არყოფნა, რა თქმა უნდა, დანაკლისია, მაგრამ ეს ყველაფერი საჩვენოდ უნდა გამოვიყენოთ. ის ფაქტი, რომ რონალდო ვერ დაგვეხმარება, მოთამაშეებს მოტივაციას უორმაგებს.*

*მნიშვნელოვანია, რომ კონცენტრაცია მატჩის ბოლომდე არ დავკარგოთ და ვფიქრობ, რომ ამ მხრივ პრობლემა არ გვექნება. ეს ძალიან მნიშვნელოვანი მატჩია, რადგან ტიტულის მოგების შანსი გვაქვს, თანაც ჩვენს ისტორიულ მეტოქეს ვხვდებით".*

**ხერარდო მარტინო:** *„ეს მატჩი სხვა ტურნირებზე ჩვენი ასპარეზობის შეფასებაზე გავლენას ვერ მოახდენს. თასზე გამარჯვება ესპანეთის ჩემპიონატში ან ჩემპიონთა ლიგაში წაგებული მატჩის გამო რეაბილიტაცია ვერ იქნება, რადგან ეს სხვა ტურნირია, რომელსაც საკუთარი ფასი გააჩნია. რა თქმა უნდა, ეს მატჩი ძალიან მნიშვნელოვანია, რადგან თასის მოგება გვსურს, მაგრამ თუ მოვიგეთ, არ ჩავთვლი, რომ ამით სეზონი გადავარჩინეთ, ან პირიქით, თუ წავაგეთ, არ ვიფიქრებ, რომ სეზონი ჩაგდებულია".*

ტატო ბაციკაძე

16.04. ვალენსია
მესტალია
23:30

**ბარსელონა**

| ურთიერთშეხვედრები |
| --- |
| 226 თამაში: +88=48-90 (367-382) |
| **არბიტრი** |
| მატეუ ლაოსი |

**რეალი**

სავარაუდო შემადგენლობები




**დისკვალიფიკაცია:** არავინ
**ტრავმა:** ვალდესი, პიკე - რონალდო, არბელოა, ხესე

**ელ კლასიკო თასის ფინალში:**

| | |
| --- | --- |
| **1936 წელი** | |
| რეალი-ბარსელონა | 2:1 |
| გოლები: 1:0 ეუხენიო (6), 2:0 ლეკუე (12), 2:1 ესკოლა (29) | |
| **1967/68 სეზონი** | |
| რეალი-ბარსელონა | 0:1 |
| გოლი: 0:1 სუნსუნეგი (6-საკ. კარში) | |
| **1973/74 სეზონი** | |
| რეალი-ბარსელონა | 4:0 |
| გოლები: 1:0 სანტილიანა (6), 2:0 რუბინიანი (47), 3:0 აგილერი (50), 4:0 პირი (83) | |
| **1982/83 სეზონი** | |
| ბარსელონა-რეალი | 2:1 |
| გოლები: 1:0 ვიქტორ მუნიოსი (32), 1:1 სანტილიანა (50), 2:1 მარკოს ალონსო (90) | |
| **1989/90 სეზონი** | |
| ბარსელონა-რეალი | 2:0 |
| გოლები: 1:0 ამორი (68), 2:0 სალინასი (90) | |
| **2010/11 სეზონი** | |
| ბარსელონა-რეალი | 0:1 დ.დ |
| გოლი: 0:1 კრიშტიანო რონალდო (103) | |






● კონფერენცია

# კონფერენცია – სპორტის სახელმწიფო პოლიტიკა – გამოწვევები და პერსპექტივა

## ასეთი კონფერენცია საქართველოში პირველად ტარდება

15-16 აპრილს, საგამოფენო ცენტრ „ექსპო ჯორჯიაში" (წერეთლის გამზირი 118, მე-3 პავილიონი) სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს ორგანიზებით მიმდინარეობს კონფერენცია თემაზე - „სპორტის სახელმწიფო პოლიტიკა: გამოწვევები და პერსპექტივა".

კონფერენციაში მონაწილეობას იღებენ ექსპერტები სლოვენიიდან, ამერიკის შეერთებული შტატებიდან, დიდი ბრიტანეთიდან და უკრაინიდან. 15 აპრილს კონფერენცია ოფიციალურად გაიხსნა - კონფერენციაში მონაწილეებს სიტყვით მიმართა საქართველოს პრემიერ-მინისტრმა **ირაკლი ღარიბაშვილმა**, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრმა **ლევან ყიფიანმა**, მოადგილე **თამაზ თევზაძემ**, ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტმა **ლერი ხაბელოვმა**.


მარცხნიდან: ლევან ყიფიანი, ირაკლი ღარიბაშვილი, ლერი ხაბელოვი

კონფერენციის გახსნის ნაწილს დაესწრნენ შინაგან საქმეთა მინისტრი **ალექსანდრე ჭიკაიძე**, განათლებისა და მეცნიერების მინისტრი **თამარ სანიკიძე**. კონფერენციაზე მოწვეულები არიან არასამთავრობო ორგანიზაციები, მოქმედი და ვეტერანი სპორტსმენები, მედია და სხვა დაინტერესებული პირები. მნიშვნელოვანია, რომ მსგავსი კონფერენცია საქართველოში პირველად ტარდება.

**სამინისტროს პრესსამსახური**

● ძიუდო

# საევროპო ნაკრები გაირკვა

საქართველოს ძიუდოისტთა ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა **ირაკლი უზნაძემ** გუშინ დაასახელა 24-27 აპრილს ფრანგულ მონპელიეში, ევროპის ჩემპიონატზე წასაყვანი შემადგენლობა. მწვრთნელმა სრულად გამოიყენა 9-კაციანი კვოტა, თუმცა პირად პირველობაში გამოტოვა ერთი წონა – 66 კილოგრამი. სანაცვლოდ, მის ხარჯზე სამი წონითი კატეგორია გააორა. **ამირან პაპინაშვილი** (60), **ზებედა რეხვიაშვილი**, **ნუგზარ ტატალაშვილი** (ორივე – 73), **ავთანდილ ჭრიკიშვილი** (81), **ვალერი ლიპარტელიანი**, **ზვიად გოგოჭური** (ორივე – 90), **გურამ თუშიშვილი** (100), **ადამ ოქრუაშვილი**, **ლევან მატიაშვილი** (ორივე - +100) – მწვრთნელთა გადაწყვეტილებით, აი, ეს ფალავნები დაიცავენ საქართველოს ღირსებას პირად პირველობაში, გუნდურ ტურნირში კი მათ **შალვა ქარდავა** (66) და **უშანგი მარგიანი** (81) დაემატებიან.

როგორც ვხედავთ, პირად პირველობაში ვერც ბოლო ხანებში დაწინაურებული ახალი თაობის წარმომადგენლები – **ლუხუმ ჩხვიმიანი** (60) და მარგიანი მოხვდნენ, თუმცა ეს ლოგიკასთან ახლოსაა. საქმე ისაა, რომ იმ გაორებულ წონებში ორივე ფალავანი მედლის მოპოვების იმაზე რეალური კანდიდატები არიან, ვიდრე – ეს დუეტია. ბუნებრივია, შანსი მათაც ექნებოდათ, მაგრამ აქ ლაპარაკი იმაზეა, ვის მეტი შანსი ექნება. თუმცა ერთი საკამათო ეპიზოდი მაინც რჩება, ოღონდ არა გაორებულ, არამედ 100 კილოგრამთან მიმართებაში – ვფიქრობთ, თავის წონაში მარგიანი მედლის უფრო რეალური კანდიდატია, ვიდრე – თუშიშვილი. ოღონდ სამწვრთნელო გუნდმა ორი წონის გამოტოვება მიზანშეწონილად არ მიიჩნია. თუშიშვილი ძალიან კარგი, პერსპექტიული მოზარდია, ის ამ წონაში რიო დე ჟანეიროს ოლიმპიადის პოტენციურ მონაწილედ სრულიად სამართლიანად მიაჩნია ყველას, მაგრამ ჯერ ახალგაზრდაა – 19 წლისაა და აკლია გამოცდილება. ამ ეტაპზე თავის წონაში მარგიანი უფრო ახლოს დგას ლიდერებთან, ვიდრე – თუშიშვილი. მარგიანი აგებს, მაგრამ თანაბრად ეჭიდავება წონის ისეთ ლიდერებს, ჭრიკიშვილი და ამერიკელი **ტრევის სტევენსი** რომ არიან. თუმცა გარანტირებული წარმატება არც მას აქვს, მწვრთნელებმა კი, ეტყობა, ამ ტურნირზე ბევრად უფრო წინ – რიოს ოლიმპიადისკენ გაიხედეს და არჩიეს, იმ თამაშებისთვის თუშიშვილს მეტი გამოცდილება მიეღო.

ჩვენი ნაკრები ამჟამად ყვარელში გადის დასკვნით შეკრებას, რომელსაც შაბათს დაამთავრებს და სპორტსმენები სახლებში დაბრუნდებიან, ნაალდგომევს კი – 22 აპრილს, საღამოს საფრანგეთში გაფრინდებიან. 23-ში აწონაა, 24 აპრილი კი პირველი საშეჯიბრო დღეა. ამ დღეს ვაჟებიდან 60-66, ქალებიდან კი 48, 52 და 57 წონების წარმომადგენლები იჭიდავებენ. 25-ში ტატამზე ქალებიდან 63-70, ვაჟებიდან კი 73-81-კილოიანები გავლენ. პირადი პირველობა 26 აპრილს დასრულდება, როცა ვაჟებიდან 90, 100 და მძიმე, ქალებიდან კი 78 და +78 წონების ათლეტები გაარკვევენ მედალოსნების ვინაობას. 27 აპრილი გუნდური შეჯიბრების დღეა.

სამწუხაროდ, ევროპის ჩემპიონატზე ქალთა ტურნირში მონაწილე არ გვეყოლება.

### მეტოქეები

ამასობაში შემადგენლობა სრულად დაასახელა მასპინძელმა საფრანგეთმა. მათ გუნდზე ადრეც ვწერდით, მაგრამ მაშინ ორიოდე მონაწილის საკითხი ჯერ ისევ ღიად რჩებოდა, ახლა კი ყველა ვაკანსია შეივსო. რაც მთავარია, იასპარეზებს მათი მძიმეწონოსანი ლიდერი, ევროპის სამგზის, მსოფლიოს ექვსგზის და ოლიმპიური ჩემპიონი **ტედი რინერი**. მას ჯერ ადრინდელი ტრავმა აწუხებდა, მერე კი დაეცა და ახალი ტრავმა მიიღო. სწორედ ამან გააჩინა საშიშროება, რომ ის ვერ მოასწრებდა ევროპირველობამდე გამოჯანმრთელებას, მაგრამ ბოლო სამედიცინო გამოკვლევამ დამაიმედებელი მდგომარეობა აჩვენა.

რინერის გარდა, საშინაო ტატამზე **ვინსენტ ლიმარე** (60), **დავიდ ლაროსე**, **ლოის კორვალი** (ორივე - 66), **უგო ლეგრანი** (73), **ლოის პიეტრი**, **ალაინ შმიტი** (ორივე – 81), **ალექსანდრ იდირი** (90) და **სირილ მარე** (100) იჭიდავებენ. და გაგაცნობთ რამდენიმე სტრატეგიული მეტოქის შემადგენლობას.

რინერის გარდა, ამ გუნდიდან ჩვენთვის ფრიად საინტერესოა პიეტრის ფაქტორი. შეგახსენებთ, რომ მან შარშან მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალში ჭრიკიშვილს მოუგო, თუმცა მას შემდეგ ჩვენებური ორჯერ შეხვდა და ორივეჯერ დაამარცხა. მეორედ ეს წლეულს თებერვალში პარიზში მოხდა იქაური „დიდი მუზარადის" ფინალში. იმედია, ჩვენებური ახლაც შეძლებს მასთან რევანშს, კიდევ თუ შეხვდებიან ერთმანეთს, ისე კი ჭრიკიშვილს მასპინძლებთან ჭიდილში ფრიად გაუჭირდება შარშან მოპოვებული ტიტულის დაცვა – პიეტრი ხომ მსოფლიოს ჩემპიონია, შმიტი კი შარშანდელი მესამე პრიზიორი გახლავთ. საინტერესოა, რომ მაშინ ის მეოთხედფინალში ჩვენებურთან დამარცხდა და ასე გადაინაცვლა სანუგეშო წრეში.

შემადგენლობა დაასახელეს რუსებმაც, სადაც ჩვენთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი ამბავი ევროპის ჩემპიონისა და ლიპარტელიანისთვის ყველაზე უხერხულ მეტოქედ ქცეული **კირილ დენისოვის** არყოფნაა – ტრავმა აწუხებს. ეციო გამბამ ვაჟთა ნაკრებში შემდეგ ფალავნებს უხმო: **არსენ გალსტიანი**, **ბესლან მუდრანოვი** (ორივე - 60), **მიხაილ პულიაევი**, **ალიმ გადანოვი** (66), **მუსა მოგუშკოვი** (73), **მურატ ხაბაჩიროვი** (81), **კირილ ვოპროსოვი** (90), **ადლან ბისულთანოვი** (100), **რინატ საიდოვი** (+100).

აქ ჩვენთვის ყველაზე უსიამოვნო ამბავი 60 კილოგრამის ფალავნებია – ოლიმპიური ჩემპიონი გალსტიანიც და ევროპის ჩემპიონი მუდრანოვიც პაპინაშვილისთვის უხერხული მეტოქეები არიან. გალსტიანთან კარიერაში სამივე პაექრობა წააგო (ბოლოს მარტში თბილისში დამარცხდა, ჩვენს „დიდ პრიზზე", ბრინჯაოსთვის შეხვედრაში), მუდრანოვს კი ხუთი ურთიერთშეხვედრიდან მხოლოდ ბოლო მოუგო. პაპინაშვილი ევროპირველობაზე რეიტინგის ლიდერი იქნება, მეორე მუდრანოვი იქნება, მესამე - აზერბაიჯანელი მსოფლიოს პრიზიორი **ორხან საფაროვი** (ამან ეს ბრინჯაო პაპინაშვილს მოუგო შარშან), მეოთხე – გალსტიანი. თუ საფაროვმაც იჭიდავა და არც ლიდერებმა წააგეს, მაშინ რუსები ბადის ერთ მხარეს მოხვდებიან და ნახევარფინალში ერთმანეთს დაეჭიდებიან. თუმცა წინასწარი მონაცემებით, საფაროვი იასპარეზებს მონპელიეში. მის გარდა, იქ აზერბაიჯანიდან **ნიჯატ შიხალიზადე** (66), **რუსტამ ორუჯოვი** (73), **ტურალ შაფგულიევი** (81), **შაჰინ გახრამანოვი** (90), **ელხან მამედოვი**, **ელმარ გასიმოვი** (ორივე – 100) და საქართველოდან გადაბირებული ადამ ოქრუაშვილის უმცროსი ძმა **ვახტანგ ბიტიევი** (+100) იჭიდავებენ. მათ ერთადერთი მონაწილე დარჩათ გასარკვევი 60 კილოგრამში, სადაც კანდიდატი **ილგარ მუშკიევსა** და **ვუგარ შირინლის** შორის გაირკვევა.

წინასწარი მონაცემებით, ევროპის ჩემპიონატში ვარსკვლავთა უმეტესობა იჭიდავებს. ჯერჯერობით ერთადერთ ლიდერზე გავრცელდა საწინააღმდეგო ცნობა – მუხლის ტრავმის გამო არ იასპარეზებს ბერძენთა ქართველი ოლიმპიური, მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონი **ილიას ილიადისი** (90) - ესეც კარგი სამსახურია როგორც ლიპარტელიანის, ასევე - გოგოჭურისთვისაც. ღმერთმა ქნას და თუ ლიპარტელიანმა ტრავმა სრულად მოირჩინა, თან ორივემ სათანადოდ ივარჯიშა და შეინარჩუნეს ბოლო პერიოდში ნაჩვენები დონე, სულაც არაა გამორიცხული, ევროპის ჩემპიონატზე ქართული ფინალი ვიხილოთ.

**ირაკლი თავაძე**


ირაკლი უზნაძე

● თავისუფალი ჭიდაობა

# არსენ მეკოკიშვილის მემორიალი

საგარეჯოს ჭიდაობის ცენტრალურ დარბაზში ჩატარდა ლეგენდარული ქართველი მოჭიდავის, მსოფლიოსა და ოლიმპიური თამაშების ჩემპიონის, საბჭოთა კავშირის 18-გზის ჩემპიონის არსენ მეკოკიშვილის ხსოვნისადმი მიძღვნილი (12 აპრილს მისი დაბადებიდან 102 წელი შესრულდა) ტრადიციული ტურნირი თავისუფალ ჭიდაობაში. მონაწილეობდა თბილისის ვარკეთილის, რუსთავის, ახმეტის, კასპის, მარნეულის, დედოფლისწყაროს, ბოლნისის, მცხეთის, საგარეჯოს, გლდანის, სოფელ დიღმის, თბილისის ოლიმპიური მომზადების ცენტრის (ომც) 15 გუნდის 167 ჭაბუკი (1999-2001 წლებში დაბადებულები) 13 წონით კატეგორიაში.

ტურნირს სტუმრობდნენ ლეგენდარული ქართველი მოჭიდავეები ლევან თედიაშვილი, რომან რურუა, გურამ სალარაძე, სხვა ცნობილი სპორტსმენები და სპორტის ღვაწლმოსილი მუშაკები.

გამარჯვებულებს მედლებთან, სიგელებთან და ფასიან საჩუქრებთან ერთად გადეცათ არსენ მეკოკიშვილის, ლევან თედიაშვილის და სპარტაკ ქარსაულიძის სახელობის პრიზები.

**გურამ სალარაძე:** „საგარეჯოს ჭიდაობის სკოლა მსოფლიოშია ცნობილი თავისი გიგანტი წარმომადგენლებით. საგარეჯოელებმა მსოფლიოს წინაშე თავი რომ მოიწონონ თუნდაც მხოლოდ არსენ მეკოკიშვილი და ლევან თედიაშვილია საკმარისი. მათ კვალს შემდეგში ჭიდაობის არაერთი ბრწყინვალე თაობა გაჰყვა".

ტურნირი (მთავარი მსაჯი ლევან თედიაშვილი) შესანიშნავად იყო ორგანიზებული, რაც მასპინძელთა დამსახურებაა.

### კვარცხლბეკი

**23კგ** 1. სონღულ ხალილოვი (ბოლნისი), 2. თორნიკე ასაბაშვილი (საგარეჯო), 3. შაკი გულისაშვილი (საგარეჯო), 3. დავით ჩოხელი (სოფ. დიღომი)

**26კგ** 1. ლაშა გოგრიჭიანი (მარნეული), 2. ლუკა კაცაძე (ბოლნისი), 3. აკაკი რომაშვილი (საგარეჯო), 3. ზახრან კარაბანოვი (მარნეული)

**29კგ** 1. იგორ აფციაური (ომც), 2. გიორგი ფიფია (რუსთავი), 3. ოთარ მამულაშვილი (ბოლნისი), 3. სანან ასკეროვი (მარნეული)

**32 კგ** 1. გიგი ქურხული (საგარეჯო), 2. გიგა დოლენჯაშვილი (საგარეჯო), 3. გიორგი უგულავა (თბილისი), 3. ელვინ ბინათოვი (მარნეული)

**35კგ** 1. ფუსხან გურბანოვი (მარნეული), 2. ბექა ბეკოშვილი (რუსთავი), 3. აკაკი ჩიტაძე (რუსთავი), 3. თორნიკე გელაშვილი (რუსთავი)

**38კგ** 1. ლუკა ბერულავა (ვარკეთილი), 2. გაბრიელ გობეჯიშვილი (თბილისი), 3. ვასილ დილმელაშვილი (საგარეჯო), 3. გიორგი ბადრიაშვილი (გლდანი)

**42კგ** 1. ნიკა ბიკაშვილი (დედოფლისწყარო), 2. გია ულრელიძე (ომც), 3. ბაჩო ქვლივიძე (საგარეჯო), 3. დავით კუჭუაშვილი (საგარეჯო)

**47 კგ** 1. ლაშა ჩახმახაშვილი (საგარეჯო), 2. ვლადიმერ კაკოშვილი (ომც), 3. შალვა ჩირაღიშვილი (ვარკეთილი), 3. ილია ჭუჭულაშვილი (დედოფლისწყარო)

**53კგ** 1. მიშიკო ბოჭორიძე (საგარეჯო), 2. გიორგი ბურჯანაძე (საგარეჯო), 3. ნიკა მესროფოვი (საგარეჯო), 3. გოგიტა შამათავა (გლდანი)

**66კგ** 1. ნოდარი ბიწაძე (რუსთავი), 2. ვასილ ჟიჟიაშვილი (მცხეთა), 3. დავით მარტაშვილი (საგარეჯო), 3. კახა ჯანელიძე (თბილისი)

**73კგ** 1 ედი ბუგალაშვილი (კასპი), 2. ვიტალი ლობჟანიძე (რუსთავი), 3. ვახტანგ კვარაცხელია (გლდანი), 3. ლაშა მანაგაძე (ბოლნისი)

**+73კგ** 1. ბიძინა ინაშვილი (სოფ. დიღომი), 2. ონისე ცნობილაძე (მცხეთა), 3. სოსლან ხუბეჟოვი (ომც).

**თენგიზ კობიაშვილი**

ჩოგბურთი




მარცხნიდან: ოქსანა კალაშნიკოვა, სოფიო ქვაცაბაია, მარგალიტა ჩახნაშვილი - რანცინგერი, სოფიო შაფათავა, ეკატერინე გორგოძე

# ეგვიპტით იწყებენ

ლიტვურშიაულიაიში ჩოგბურთელ ქალთა ფედერაციის თასის გათამაშების ევრო-აფრიკული მეორე ზონის რვა ქვეყნის ნაკრები შეიკრიბა. პირველი ზონის ორი საგზურის მაძიებელთა შორის არიან **A ჯგუფში:** ფინეთი, ლიტვა, ჩერნოგორია და ლიხტენშტეინი, **B ჯგუფში:** ბოსნია-ჰერცეგოვინა, სამხრეთი აფრიკა, საქართველო და ეგვიპტე.

დღეს ჩვენი ქალები (სოფიო შაფათავა, ოქსანა კალაშნიკოვა, ეკატერინე გორგოძე, სოფიო ქვაცაბაია, კაპიტანი - მარგალიტა ჩახნაშვილი-რანცინგერი) ეგვიპტეს (მეიერ შერიფი, ოლა ებოუ ზეკრი, მეგი აზიზი, სანდრა სამირი, კაპიტანი ხალედ ფარუკი) დაუპირისპირდებიან, ხოლო ბოსნია-ჰერცეგოვინა სამხრეთ აფრიკას შეხვდება.

A ჯგუფში ითამაშებენ: ლიტვა-ფინეთი, ჩერნოგორია-ლიხტენშტეინი.

**ვაჟა დანელია**

# მეტრეველმა იყოჩაღა

ყაზახეთში ჩოგბურთელ ვაჟთა საერთაშორისო ტურნირში (საპრიზო ფონდი 10.000 დოლარი) სამი ქართველი ჩაება ძირითად ბადეში. მათგან მხოლოდ ჩიმკენტის წინა ტურნირის გამარჯვებულმა **ალექსანდრე მეტრეველმა** შეძლო პირველი ბარიერის გადალახვა - ჩვენებურმა იოლად სძლია კვალიფიკაციიდან აღზევებულ მასპინძელს - კუათბეკ აბიევს 6:1, 6:2. მეორე წრეში იგი უაილდ ქარდით მიწვეულ რომან ხასანოვს (ყაზახეთი) შეხვდება. ამ უკანასკნელმა უზბეკი ისკანდერ დავუტოვი დაჯაბნა - 6:2, 6:1.

სამწუხაროდ, მეტრეველს მხარი ვერ აუბეს თანამემამულეებმა - **გიორგი ჯავახიშვილმა** და **გიორგი ცივაძემ**, რომლებმაც, შესაბამისად, იარასლაუ შილასა (ბელარუსი, 2:6, 3:6) და რონალდ სლობოდჩიკოვთან (რუსეთი, 2:6, 0:3. მეორე სეტში ქართველმა ჩოგბურთელმა ტრავმის გამო ბრძოლის გაგრძელება ვერ შეძლო) დათმეს ორთაბრძოლები.

**ვაჟა დანელია**

ჭადრაკი

# ისევ მარცხი

ხანტი-მანსიისკში მოჭადრაკე ქალთა ფიდეს გრან პრის მე-6 ტური უიღბლო აღმოჩნდა ქართველი დიდოსტატ **ნანა ძაგნიძისთვის** - შავი ფიგურებით იგი მსოფლიოს და ევროპის ჩემპიონ ალექსანდრა კოსტენიუკთან (რუსეთი) დამარცხდა. დაუგეგმავი გამარჯვება იზეიმა უზბეკმა ნაფისა მუმინოვამ - თეთრებით ორგზის ევროპის ჩემპიონ ტატიანა კოსინცევას სძლია. საგულისხმოა, რომ უზბეკი მოჭადრაკე რუს მეტოქეს რეიტინგში 175 პუნქტით ჩამორჩება.

წარმატებით ითამაშა ოლგა გირიამაც (რუსეთი)-შავი ფიგურებით მან ჟაო სიუეს (ჩინეთი) აჯობა. დაზავდნენ კატერინა ლაგნო (უკრაინა)-ტუვშინთუგს ბატჩიმეგი (მონგოლეთი), ანტოანეტა სტეფანოვა (ბულგარეთი)-ჰოუ იფანი (ჩინეთი), ანა უშენინა (უკრაინა)-ანა მუზიჩუკი (სლოვენია).

ექვსი ტურის შემდეგ: ჰოუ იფანი-5, მუზიჩუკი-4, გირია, კოსტენიუკი - 3,5-3,5, ჟაო სიუე, სტეფანოვა, უშენინა, ლაგნო - 3-3, მუმინოვა, ძაგნიძე - 2,5-2,5, კოსინცევა - 2, ბატჩიმეგი - 1 ქულა.

**ვაჟა დანელია**

## მილოცვა გურამ პაპიტაშვილს



ბატონო გურამ!

თავს ბედნიერად ვთვლი, მოგილოცოთ დაბადების საიუბილეო 80 წელი. აუწყავია თქვენი წვლილი ქართული სპორტის წინაშე. ძიუდოსა და სამბოში გორის საჭიდაო სკოლის ფუძემდებელმა ღირსეულად დაიმკვიდრეთ სპორტის ქურუმის საპატიო სახელი. თქვენ იძლევით მიზანსწრაფულობის, საქმისადმი პროფესიული დამოკიდებულების, ჭირთა და ვარამთა თმენა-ძლევისა და ქრისტიანულად ცხოვრების მისაბაძ მაგალითს.

მრავალჟამიერ, ბატონ გურამ!

გურამ სალარაძე
მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი
თავისუფალ ჭიდაობაში

## გვილოცავენ...

რვა ათეული წელიწადია ქართული სპორტის ყველა ქომაგი დიდი ინტერესით ელოდება „ლელოს" ყოველი ახალი ნომრის გამოსვლას. ეს გაზეთი არის არა მხოლოდ პროპაგანდისტი, არამედ ორგანიზატორიც, სტიმულს აძლევს სპორტის განვითარებას და ყველაფერს აკეთებს მისი საყოველთაო ხელმისაწვდომობისთვის. ამასთან, არის ეროვნული სპორტისა და ფიზიკური აღზრდის ხალხური ტრადიციების ერთგული მცველი და მსახური.

მრავალჟამიერ!

**საქართველოს სპორტსმენთა და სპორტის მუშაკთა პროფესიული კავშირი**

ხელბურთი

# აღმოსავლეთმა დაასრულა, დასავლეთმა დაიწყო

სასპორტო კომპლექს „არენაში" სამ დღეს გრძელდებოდა საქართველოს ხელბურთელ ვაჟთა ეროვნული ჩემპიონატის აღმოსავლეთი ჯგუფის პაექრობები. ასპარეზობის სტარტზე ერთპიროვნულ ლიდერ სტუ-ს „პეგასი" დაუპირისპირდა. პირველი ტაიმი ფრედ - 15:15 დამთავრდა, თან ისე, რომ „პეგასი" რამდენჯერმე 2-3 ბურთითაც კი იყო წინ. 45-ე წუთისთვის ჩემპიონები 4 ბურთით დაწინაურდნენ - 28:24, მაგრამ თამაშის დასრულებამდე 5 წუთით ადრე **გიორგი დიხამინჯიამ** წონასწორობა აღადგინა - 30:30. საბოლოოდ მაინც უფრო გამოცდილმა სტუ-მ გაიმარჯვა - 35:31.

მსგავსი სცენარით წარიმართა „იმედისა" და „თელავის" მატჩი. ტაიმი აქაც ფრედ დასრულდა - 13:13. მას შემდეგ, რაც თელაველებს ზედიზედ 2 მოთამაშე გაუძევეს, „იმედმა" შეძლო მატჩში გარდატეხის შეტანა და წარმატებას მიაღწია - 34:31.

ასპარეზობის მეორე დღეს სტუ-მ იოლად მოუგო „თელავს" 42:29. დაძაბული გამოდგა „პეგასი"-"იმედის" ორთაბრძოლა. პეგასელებმა წინადღეს დაკარგული ენერგიის აღდგენა ველარ შეძლეს და 3 ბურთის სხვაობით (25:28) დამარცხდნენ.

საინტერესოდ წარიმართა მესამე ტური: „პეგასი" „თელავს" პირველი ნახევრის შემდეგ 6 ბურთის სხვაობით უგებდა, მაგრამ უპირატესობის შენარჩუნება ვერ შეძლო და 41:43 დათმო შეხვედრა, ერთპიროვნულმა ლიდერმა - სტუ-მ კი ამ ჩემპიონატში თავისი მე-17 გამარჯვება იზეიმა.

**პეგასი-თელავი 41:43**

**პეგასი:** ცინცაძე, დ. ნარსია, დიხამინჯია (11), ცხვარაშვილი (9), ბაძაღუა (7), ზარნაძე (5), აბჟანდაძე (5), ოსიყმაშვილი (3), დემეტრაშვილი (1), გოგავა, ქუთათელაძე, გაწერელია.

**თელავი:** ა. სამიტაშვილი, ლილუაშვილი, ანდრიაშვილი (10), დანელიშვილი (9), კობახიძე (7), გიორგელაშვილი (5), გიგაური (5), მაისაშვილი (3), ი. სამიტაშვილი (2), მღებრიშვილი (1), ნ. სვიმონიშვილი (1), ცისკარიშვილი, დიდებაშვილი.

**სტუ-იმედი 43:27**

**სტუ:** ცერცვაძე, ხიდეშელი, სიმონია (10), ორჯონიკიძე (7), სტურუა (5), აბრამიშვილი (4), სურმავა (4), გრიშიკაშვილი (4), ამირანაშვილი (3), გოგოლაძე (3), გოგალაძე (3), ლ. არსენაშვილი, ბერძენიშვილი.

**იმედი:** მღებრიშვილი, ხარაიშვილი, იობაშვილი (9), აბაშიძე (6), გიორგაძე (4), ბეჟანიშვილი (3), ბაინაზიშვილი (2), ალანია (2), მძლეური (1), ჩაკვეტაძე, ჯმუხაძე, რუსტამოვი, თაბაგარი, ჩიკვილაძე.

**მსაჯები:** ამირან კომახიძე, ვახტანგ ბერიაშვილი

გუშინ სენაკში დასავლეთის ზონის წარმომადგენლები ჩაებნენ შეჯიბრებაში. „სამტრედიამ" „ქუთაისს" აჯობა - 48:30, ხოლო „ბათუმმა" საქართველოს ჭაბუკთა ნაკრებს მოუგო - 37:30.

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| სტუ | 17 | 17 | 0 | 0 | 619-405 | 34 |
| ბათუმი | 15 | 13 | 0 | 2 | 607-457 | 26 |
| იმედი | 17 | 10 | 0 | 7 | 510-561 | 20 |
| სამტრედია | 15 | 9 | 0 | 6 | 565-501 | 18 |
| პეგასი | 17 | 5 | 2 | 10 | 531-581 | 12 |
| თელავი | 17 | 3 | 1 | 13 | 468-544 | 7 |
| ჭაბუკები | 15 | 2 | 2 | 11 | 422-517 | 6 |
| ქუთაისი | 15 | 2 | 1 | 12 | 425-581 | 5 |

ხვალ სენაკში დასავლეთის ჯგუფის სამდღიანი ტური დამთავრდება და ეროვნული ჩემპიონატის ყველა გუნდს 17-17 თამაში დაუგროვდება. 9-12 ივნისს დასკვნით ტურზე თბილისში რვავე გუნდი შეიკრიბება და მედლების მფლობელებიც მაშინ გაირკვევა.

**ვაჟა დანელია**



ფარიკაობა

# ვეტერანის თანადგომით

ნახევარი საუკუნე მიილია მას შემდეგ, რაც ქართველმა მოფარიკავე **გივი ანდრიაძემ** რაპირით ასპარეზობაში ახალგაზრდებს შორის მსოფლიოს ჩემპიონობა მოიპოვა. სახელოვანი პოეტის - ტიციან ტაბიძის შვილიშვილმა მერე სწავლაშიც იყოჩალა და დღეს ექიმი კარდიოლოგი მედიცინის მეცნიერებათა დოქტორია. პროფესორ გივი ანდრიაძეს არც ჭაბუკობის სიყვარულისთვის შეუქცევია ზურგი - შარშან ვეტერანთა ევროპის ჩემპიონატზე იტალიაში ბრინჯაოს მედალიც მოიპოვა, მთავარი კი ის არის, რომ იგი ქართულ ფარიკაობას მხარში უდგას. ოთხი წლის წინათ თბილისის ტიციან ტაბიძის სახელობის 43-ე საჯარო სკოლაში თავისი სახელობის კლუბიც გახსნა, რომელსაც ახალგაზრდა სპეციალისტი **ქეთევან ერემეიშვილი** ჩაუყენა სათავეში. გარჯამ შედეგი გამოიღო. კლუბის აღზრდილები წარმატებით ასპარეზობენ სხვადასხვა შეჯიბრებაში. მეტიც - ამ კლუბში ფეხადგმულმა **ნიკა შენგელიამ** ამას წინათ კადეტთა მსოფლიოს პირველობაზე ხმალში მეცხრე ადგილი დაიკავა და 2014 წლის ნანჯინგის მსოფლიო ახალგაზრდობის ოლიმპიური თამაშების საგზური დაიმსახურა.

43-ე სკოლის შემდეგ ბატონმა გივიმ კიდევ რვა სკოლაში გახსნა ფარიკაობის კლუბები, რომლებშიც ათობით გოგონა და ვაჟი ეუფლება ამ ელიტარული სპორტის სახეობის საიდუმლოებას. სწორედ ამ კლუბების წარმომადგენლები, ასევე, ბათუმელი, ქუთაისელი, ზესტაფონელი და რუსთაველი მოფარიკავეები მონაწილეობდნენ შეჯიბრებაში, რომელიც გივი ანდრიაძის მსოფლიოს ჩემპიონობის მოპოვების 50 წლისთავს მიეძღვნა. სულ საპრიზო ადგილებისთვის 120-მდე გოგონა და ვაჟი იბრძოდა. განსაკუთრებით რიონისპირელებმა ისახელეს თავი - ექვსიდან ხუთი პირველი ადგილი დაიკავეს, ერთხელ კი ზესტაფონელი **ქრისტინე ცერცვაძე** ავიდა კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე.



გივი ანდრიაძე აჯილდოებს ლევან ჟიჟიაშვილს

**კვარცხლბეკი**

**რაპირა. ბიჭები.** 1. ლევან ჟიჟიაშვილი (ქუთაისი), 2. გიორგი მაღრაძე (თბილისი), 3. გიორგი ხანდაველი (რუსთავი), ირაკლი მიქელაძე (ბათუმი). **გოგონები.** 1. ქრისტინე ცერცვაძე (ზესტაფონი), 2. ნატალია ხარაიშვილი (თბილისი), 3. ნინო გელაშვილი (ზესტაფონი), კესარია ხურციძე (ქუთაისი).

**დაშნა. ბიჭები.** 1. გიორგი გარჩაკუდაშვილი, 2. თორნიკე ჩხეტიანი, 3. ალექსანდრე კენჭაძე (სამივე-ქუთაისი), ომარ ხომერიკი (ოზურგეთი). **გოგონები.** 1. ანი ჯანელიძე, 2. თინათინ ნუცუბიძე, 3. ანი სილაგაძე (სამივე-ქუთაისი), ანი მაჩიტიძე (ზესტაფონი).

**ხმალი. ბიჭები.** 1. გიორგი მერკვილაძე (ქუთაისი), 2. თორნიკე მითაგვარია, 3. ლუკა ლომინაძე, ვახტანგ არჩვაძე (სამივე-თბილისი). **გოგონები.** თამარ ჩარკვიანი, ნათია გოგოლაშვილი (ორივე-ქუთაისი), 3. ანასტასია ჩიქოვანი (თბილისი), ანა ლოსაბერიძე (ქუთაისი).

გამარჯვებულები და პრიზიორები მედლებითა და თასებით გივი ანდრიაძემ დააჯილდოვა.

**ვაჟა დანელია**

პარალიმპიზმი

# იაგოს მე-10 ადგილი ერგო

დუბაიში დამთავრდა პარალიმპელთა მსოფლიოს ჩემპიონატი პარაშტანგაში. საქართველოდან სამი სპორტსმენი მონაწილეობდა წოლჭიმში. 2008 წლის პეკინის პარალიმპური თამაშების მონაწილე **იაგო გორგოძემ** 97 კილოგრამ წონით კატეგორიაში 180-კილოგრამიანი შტანგა დაიმორჩილა, რამაც ქართველ პარალიმპელს მე-10 ადგილი მოუტანა, ამ შედეგით მან A ჯგუფში გადაინაცვლა და 2016 წლის რიოს პარალიმპური თამაშების სალიცენზიო ნორმატივს (165 კგ) საგრძნობლად გადააჭარბა.

ჩვენი ქვეყნის კიდევ ორი წარმომადგენელი შედარებით მოკრძალებულ შედეგებს დასჯერდა: 72 კილოში **მერაბ დუკაშვილმა** 105 კგ დაძლია, ხოლო დებიუტანტმა **დავით ქობალიამ** (80 კგ) 100-კილოიანი შტანგა ასწია.

**ვაჟა დანელია**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქართველები ევროლიგაზე

# ოოო, აროიო!

## ლიდერის დაშავებამ „გალა“ გატეხა

ევროლიგის მეოთხედფინალური ეტაპი გუშინ ორი მატჩით გაიხსნა, ორივე ესპანეთში გაიმართა და ორივეში ქართველები მონაწილეობდნენ.

კატალონიაში, ადგილობრივი „ბარსელონას“ წინააღმდეგობის დაძლევა სცადა **მანუჩარ მარკოიშვილის** „გალათასარაიმ“, მაგრამ ამაოდ - 61:88. ანგარიშში სხვაობა სოლიდურია, თუმცა არ უნდა დაგვავიწყდეს ერთი გარემოება: პირველი ტაიმი „გალამ“ 35:33 მოიგო, მეორეში კი კოჭის ტრავმის გამო მატჩის გაგრძელება ვერ შეძლო ლიდერმა **კარლოს აროიომ**, რომელმაც მატჩი 14 ქულით დაასრულა.

კარლოსის ქართველმა თანაგუნდელმა მანუჩარ მარკოიშილმა 26 წუთი ითამაშა, 3 ქულა და 2 მოხსნა მოაგროვა.

# აქაც 88

## შერმადინის ხუთიანი

„ბარსა“-„გალას“ დაპირისპირების დასრულების შემდეგ მადრიდში ერთმანეთის წინაშე წარდგნენ „რეალი“ და ბერძნული „ოლიმპიაკოსი“. მადრიდელებმა ბარსელონელებს მიბაძეს და მათაც 88 ქულა ჩააგდეს, რაც ამჯერედაც საკმარისი აღმოჩნდა გამარჯვებისთვის - 88:71.

თამაშის სურათი კი ცოტა განსხვავებული იყო: „რეალმა“ პირველივე მეოთხედში მოიპოვა სოლიდური უპირატესობა, 27:12 დაწინაურდა. თუმცა მეორე მეოთხედში ბერძნებმა თამაში გამოასწორეს და ანგარიშიც გაათანაბრეს. შეიძლება ითქვას, შეხვედრის ბედი მესამე პერიოდში გადაწყდა, რომლის შემდეგ მასპინძლები 70:56-ს იგებდნენ.

„ოლიმპიაკოსის“ ცენტრმა **გიორგი შერმადინმა** 10 წუთში 5 ქულა და 1 მოხსნა მიითვალა.

სიტუაცია

# სად ითამაშებს შენგელია?

## თორნიკე კარიერას „ჩიკაგოში“ აღარ გააგრძელებს



გუშინ ამერიკულმა სააგენტოებმა გაავრცელეს ინფორმაცია, რომლის თანახმად, საქართველოს ნაკრების ფორვარდ **თორნიკე შენგელიას** „ჩიკაგო ბულსმა“ კონტრაქტი გაუწყვიტა. მის სანაცვლოდ „ხარების“ თავკაცმა **ტომ ტიბოდომ გრეგ სმიტი** აიყვანა.

შეგახსენებთ, რომ თორნიკე „ჩიკაგოში“ „ბრუკლინიდან“ იანვარში გადავიდა და მას მერე NBA-ში 9 მატჩი ჩაატარა (საშუალოდ 2 წუთი). როგორც შევიტყვეთ, კლუბს თორნიკეს წარმომადგენლებმა ადრევე შესთავაზეს - თუ თამაში არ მოუწევს, სხვა გუნდს მოვძებნითო, მაგრამ „ჩიკაგოს“ ხელმძღვანელობამ ფორვარდი არ გაუშვა.

დღეს, აპრილის შუაში, როცა ევროპის ქვეყნებში სეზონი დასასრულს უახლოვდება, სასურველი გუნდის გამონახვა შედარებით რთული იქნება, თუმცა როგორც შევიტყვეთ, მენეჯერი აქტიურად მუშაობს და იმედი დავიტოვოთ, სწორედ ისეთი კლუბი გამოჩნდება, სადაც თოკოს თამაში მოუწევს.

ბოლოს კი „ბულსის“ თავკაცის, ტომ ტიბოდოს კომენტარს შემოგთავაზებთ:

*- ნამდვილად არ მიხარია, შენგელიასთან შელევა რომ მოგვიწევს. მან ჩვენთან ერთად ბევრი იშრომა. გუნდური ტიპის კალათბურთელია და ვარჯიშებზეც დიდ ენერგიას გვმატებდა.*

ქართველი NBA-ში

# ბოლოსწინა

**ზაზა ფაჩულიას** „მილუოკი ბაქსმა“ მიმდინარე სეზონში ბოლოსწინა შეხვედრა ჩაატარა. მას მხოლოდ 15 გამარჯვება აქვს და დიდი ხნის წინ გადაწყდა, რომ წლევანდელი პლეი ოფი „მილუოკის“ გარეშე ჩაივლის. თუმცა დიდია ალბათობა, „ბაქსმა“ დრაფტის პირველ ნომრად არჩევის უფლება მოიპოვოს.

გუშინ „მილუოკი“ ტორონტოს ესტუმრა და „რეპტორსთან“ 100:110 დამარცხდა. ზაზა სასტარტო ხუთეულში იყო და 17 წუთი ითამაშა. დროის ამ მონაკვეთში მან 6 ქულა, 4 მოხსნა, 3 შედეგიანი გადაცემა და 1 დაფარება მიითვალა.



საქართველოს 20-წლამდელთა ჩემპიონატი

# გიორგი ნიკოლაძე: სწორ გზას ვადგავართ

**ფინალური სერია**

**12 აპრილი, თბილისი**

**შსს აკადემია–ქუთაისი 61:43**

12:8, 14:8, 19:15, 16:12

**შსს აკადემია:** ქიტოშვილი (3ქ, 3პ, 6მ), გუგეშაშვილი (4ქ, 7მ, 3პ, 3ჩ), კვანტალიანი (27ქ, 11მ), მირზიაშვილი (6ქ, 10მ, 4დ), ლოლიშვილი (4ქ, 3პ), გელაზონია (6ქ, 10მ), გორდულაძე, ლორთქიფანიძე (11ქ).

**ქუთაისი:** მაცაბერიძე (4ქ, 8მ, 3პ), გრძელიძე (8ქ, 4ჩ), ჩორგოლაშვილი (2ქ), ფურცხვანიძე (2ქ, 5მ), მაჭარაძე (4ქ), ცირეკიძე (5ქ, 11მ), ბირკაია (4ქ, 9მ), გამრეკლიძე (14ქ).

**14 აპრილი, ქუთაისი**

**ქუთაისი–შსს აკადემია 61:73**

13:10, 17:13, 17:28, 14:22

**ქუთაისი:** მაცაბერიძე (11ქ, 3პ, 5მ), გრძელიძე (25ქ, 4პ, 3ჩ), ფურცხვანიძე (6მ), მაჭარაძე, ცირეკიძე (9ქ, 7მ), ბირკაია (3ქ, 6მ), გამრეკლიძე (13ქ, 13მ, 3დ).

**შსს აკადემია:** ქიტოშვილი (3ქ, 7პ), გუგეშაშვილი (2ქ), მირზიაშვილი (8ქ, 12მ, 3დ), ლოლიშვილი (22ქ, 5მ), გელაზონია (21ქ, 16მ, 5პ, 3დ), გორდულაძე (4პ), ლორთქიფანიძე (17ქ, 5მ).

**III ადგილი**

**14 აპრილი, თბილისი**

**ჰიუნდაი–ოლიმპი 67:68**

16:25, 15:12, 17:15, 19:16

**ჰიუნდაი:** სანაძე (7ქ), ზაქრაძე (9ქ, 9მ, 8პ), გიორგაძე (7ქ), მამფორია (5ქ), ბოლქვაძე (23ქ, 8მ, 4ჩ), ქარცივაძე, ბულიავა (8ქ), ბიჭაშვილი (8ქ).

**ოლიმპი:** ნადირაძე (17ქ, 9მ), გ. ბაქრაძე (10ქ, 12მ), მიქელაძე (8ქ), სამნიაშვილი (8ქ), გოგოძე (9ქ), იაკობიძე (9ქ, 4პ), ხუციშვილი, ნ. ბაქრაძე (5ქ), ფხაკაძე (2ქ, 3პ).



საქართველოს 20-წლამდელთა ჩემპიონატში ბევრი თანაბარი ძალის გუნდი ასპარეზობდა. მათ შორის ორი რჩეული ერთმანეთს საჩემპიონო დუელში შეეჭიდა - „შსს აკადემია“ და „ქუთაისი“. ფინალური სერიის პირველი მატჩი თბილისში გაიმართა. შეიძლება ითქვას, მოედნის უპირატესობამ „შსს აკადემიას“ დამატებითი თავდაჯერება შესძინა და საბოლოო შედეგზეც იქონია გავლენა.

თავად განსაჯეთ: თბილისურ შეხვედრაში შსს-მ 61:43 მოიგო, მიუხედავად იმისა, რომ ქუთაისში ვერ დაეხმარა **ლერი კვანტალიანი**, კალათბურთელები პირველი შეხვედრის შემდეგ დარწმუნდნენ, რომ განმეორებითი მატჩის მოგებაც შეეძლოთ.

ლერიმ თბილისში 27 ქულა ჩააგდო, გუნდის ლიდერი იყო, თუმცა არასასიამოვნო ინციდენტის გამო ის და ქუთაისელი **გიორგი ჩორგოლაშვილი** მსაჯმა მოედნიდან გააძევა: ერთ ეპიზოდში ჩორგოლაშვილმა ძალიან უხეშად ითამაშა ფარქვეშ შესული კვანტალიანის წინააღმდეგ, რაც დაზარალებულმა ვერ მოითმინა და მეტოქისკენ გაიწია.

განმეორებით შეხვედრაში გუნდებმა დისკვალიფიცირებული კალათბურთელების გარეშე ითამაშეს. „ქუთაისმა“ პირველი ტაიმი 30:23 მოიგო, მაგრამ მეორე ნახევარში ერთი-ორად უკეთესად ათამაშდა „შსს აკადემია“ და საბოლოოდ 12 ქულის სხვაობითაც იმარჯვა.

მატჩის შემდეგ დავუკავშირდით გამარჯვებული გუნდის მწვრთნელ **გიორგი ნიკოლაძეს:**

- მადლობა ბიჭებს მთელი სეზონის განმავლობაში ჩემი „გაძლებისთვის“. ვფიქრობ, ეს გამარჯვება ნამდვილად გვეკუთვნოდა და წლევანდელ სეზონს ღირსეული ჩემპიონი ჰყავს. „შსს აკადემია“ მთელი ჩემპიონატის მანძილზე მობილური გუნდი იყო და ყოველთვის ფავორიტად ითვლებოდა. განსაკუთრებული მადლობა ჩემს ასისტენტს დავით არეშიძეს და არჩილ ჟღენტს, რომლებიც ყველანაირად გვერდში მედგნენ და ამ წარმატებაში დიდი წვლილი მიუძღვით. ასევე მადლობა მენეჯერ ვახტანგ ცინცაძეს, სელექციონერ ვაჟა ჭკუასელს, ექიმ ზურაბ იოსელიანს, ზაზა გაბიტაშვილს, ჩვენს ლომს...

**- უშუალოდ თამაშზე რისი თქმა შეგიძლიათ?**

- ვიცოდით რომ ქუთაისში რთული იქნებოდა, მით უმეტეს რომ ლერი კვანტალიანი დაგვაკლდა, მაგრამ საბედნიეროდ, საჭირო დროს შევიტანეთ მატჩში გარდატეხა და ყველაფერი ჩვენს სასარგებლოდ დავასრულეთ.

**- ლერიმ პირველ მატჩში 27 ქულა ჩააგდო...**

- იგი გუნდის ლიდერია და მისი არყოფნა ჩვენს თამაშს ეტყობოდა, მაგრამ „შსს აკადემიას“ მთავარი პლუსი ის არის, რომ ერთ კალათბურთელზე არ არის დამოკიდებული, რაც ქუთაისშიც გამოჩნდა.

**- სამწვრთნელო კარიერის ასე დაწყებას ბევრი ინატრებდა: შარშან, მწვრთნელობის პირველივე სეზონში შსს-ს 16-წლამდელებთან ერთად მოიგეთ საქართველოს ჩემპიონატი, წლეულს - 20-წლამდელებთან.**

- სასიამოვნოა, რომ ეს სეზონიც წარმატებული გამოდგა. მინდა მადლობა გადავუხადო ყველას, ვინც მენდო და ახალგაზრდული გუნდის მწვრთნელად დამნიშნა. თუმცა მთავარი არა დამრიგებელი, არამედ სისტემაა. შედეგებიც გვიჩვენებს, რომ სწორი მიმართულებით მივდივართ. ეს დამატებითი სტიმულია შემდეგში კიდევ მეტი მუშაობისთვის.

ახალი წამოწყება

# კალათბურთი მუზეუმში

სპორტის სამინისტროს შენობაში მდებარეობს სპორტის მუზეუმი, რომელშიც სხვა ფასეულ ექსპონატებთან ერთად გამოფენილია ქართველი კალათბურთელების მიერ ოლიმპიადებზე, ევროპისა თუ მსოფლიოს ჩემპიონატებზე მოპოვებული ჯილდოები. მათი დათვალიერება საინტერესოცაა და შემეცნებითი ხასიათისაც იქნება, რადგან ნებისმიერ მოზარდს შეექმნება წარმოდგენა საკუთარი სპორტის ისტორიის სიმდიდრეზე.

გუშინ საქართველოს კალათბურთის ეროვნულმა ფედერაციამ მუზეუმის ხელმძღვანელობასთან გააფორმა მემორანდუმი, რომლის მიხედვით, მუზეუმს რეგულარულად ესტუმრებიან პატარა კალათბურთელები. პირველებმა ქართული საგანძური „მართვესა“ და „ბასტიონის“ საკალათბურთო სკოლების მოზარდებმა იხილეს.

**გიორგი ზაზახიძე**, სუპერლიგის და ასაკობრივი ლიგების აღმასრულებელი დირექტორი:

- საქართველოს მდიდარი სპორტული ისტორია აქვს და სამწუხაროა, რომ მას არათუ ბავშვები, საფუძვლიანად ბევრი პროფესიონალი სპორტსმენიც არ იცნობს. არადა, წარსულის ცოდნის, გათვალისწინებისა და დაფასების გარეშე დიდი წარმატებების მიღწევა შეუძლებელია. საქართველოს კალათბურთის ფედერაციის ახალმა ხელმძღვანელობამ მომავალი თაობის აღლებური მიმართულებით აღზრდა გადწყვიტა. ფედერაციის პრეზიდენტ მიხეილ გაბრიჩიძის გუნდი მონწოდებულია, რომ ფიზიკურ მომზადებასთან ერთად ახალგაზრდა კალათბურთელები ინტელექტუალურადაც მომწიფდნენ და არა მხოლოდ კალათბურთის მიმართულებით. ეს ტრადიცია პერმანენტულ ხასიათს მიიღებს და ამიერიდან სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროში მდებარე ქართული სპორტის მუზეუმში სისტემატურად ივლიან მოზარდი კალათბურთელები.

**ნანა მიქაძე** (ქართული სპორტის მუზეუმის დირქტორი):

- მოხარული ვართ, რომ კალათბურთის ეროვნულ ფედერაციასთან მემორანდუმი გავაფორმეთ და იმედია, მას სხვა ფედერაციებიც მიჰბაძავენ. მნიშვნელოვანია, რომ მომავალი თაობა გაეცნოს ქართული სპორტის ისტორიას, რომელიც ჯერ კიდევ ჩვენს წელთაღრიცხვამდე მე-3 საუკუნიდან იწყება. მომავალში კალათბურის ეროვნულ ფედერაციასთან ერთად კიდევ უფრო მასშტაბურ ღონისძიებებს გავმართავთ და სხვადასხვა ასაკობრივი ლიგების მონაწილე ბავშვებს ვუმასპინძლებთ.



გვერდი მოამზადა
ვაჟა სიმონიშვილმა

მსოფლიოს ალაფა


საქართველო-ჰონკონგი

# ერთი ლელო დაგვაკლდა

**საქართველოს 20-წლამდელთა ნაკრებმა ჰონკონგში მიმდინარე მსოფლიოს ახალგაზრდულ ალაფაზე ჯგუფურ ტურნირში წარუმატებლად იასპარეზა. მართალია, „უმცროსმა ბორჯღალოსნებმა“ ბოლო ტურში მასპინძელთა გუნდი 21:8 დაამარცხეს, მაგრამ ჯგუფში მხოლოდ მესამე ადგილს დასჯერდნენ და ახლა მეხუთე ადგილისთვის მატჩში B ჯგუფის მესამეადგილოსან ნამიბიას დაუპირისპირდებიან.**

თამაში ჩვენმა გუნდმა კარგად დაიწყო. მე-6 წუთზე ფულბეკმა **დავით გულიტაშვილმა** მასპინძელთა ლელოში შეაღწია, რომელიც მგეზავმა **რეზო ჯინჭველაშვილმა** გარდასახა - 7:0. მოგვიანებით, ლელოს ავტორმა მოწინააღმდეგე უხეშად შებოჭა, რის გამოც მსაჯმა ყვითელი ბარათი უჩვენა. ჰონკონგელთა მგეზავმა, **ქევინ ფილდმა** ჯარიმა ზუსტად დაარტყა და ანგარიში შეამცირა. - 3:7. ის პირველ ტაიმში აღარ შეცვლილა.

შესვენების შემდეგ ისევ უდისციპლინობის გამო დავისაჯეთ. მატჩის განახლებიდან დიდი დრო არ იყო გასული, როდესაც მსაჯმა მეორეხაზელი **როლანდ კვაჭაძე** გაასინბინა და კვლავ თოთხმეტნი დავრჩით. ცოტა ხნის შემდეგ, ჩვენი ნაკრების ბურჯი, **გიორგი მარგველანი** დაისაჯა ყვითელი ბარათით და მოედანზე უკვე ცამეტნი აღმოვჩნდით. ჰონკონგელებმა მოახერხეს ლელოს გატანა და ანგარიშში დაწინაურდნენ - 8:7.

საქართველოს ნაკრებმა ამას ოთხ წუთში მესამეხაზელი **ვახტანგ ამირანაშვილის** ლელოთი უპასუხა, რომელიც ჯინჭველაშვილმა გარდასახა - 14:8. მატჩს ვიგებდით, მაგრამ ეს საკმარისი არ იყო იმისთვის, რომ მიზნისთვის მიგვეღწია, რათა მეტოქეებზე ნაკლებად ვყოფილიყავით დამოკიდებულნი, თამაში პრემიალური ქულით უნდა მოგვეგო ანუ ოთხი ლელოს გატანა იყო საჭირო. მატჩის დასრულებამდე ერთი წუთით ადრე შეცვლაზე შესულმა **ჟორა მღებრიშვილმა** ჰონკონგის ნაკრებს მესამე ლელო გაუტანა, გარდასახვაც ზუსტად დავარტყით - 21:8, მაგრამ ეს ფინალში გასასვლელად საკმარისი არ აღმოჩნდა.

ტონგას ნაკრებმა აშშ-ის წინააღმდეგ მატჩში ძალების მობილიზება შეძლო, მეტოქეს ოთხი ლელო გაუტანა და 28:22 მოუგო. შედეგად A ჯგუფში პირველ ადგილზე სწორედ კუნძულელები გავიდნენ და ფინალში იაპონიას დაუპირისპირდებიან.

მატჩის შემდეგ

**ირაკლი აბუსერიძე,** საქართველოს რაგბის კავშირის სპორტული დირექტორი:

*„ჩვენი თამაში ვერ ვაჩვენეთ. ბრძოლისუნარიანობა გვაკლდა. მხოლოდ თეორიული შანსი იყო დარჩენილი, რომლის გამოყენებაც ვერ მოვახერხეთ. საქმე არ უნდა მიდიოდეს იქამდე, რომ თეორიულ შანსზე ვიყოთ დამოკიდებულები.“*

**დავით ვართანიანი,** საქართველოს 20-წლამდელთა ნაკრების მთავარი მწვრთნელი:

*„გუნდის ჯგუფურ ეტაპზე გამოსვლით კმაყოფილები არ ვართ. ალბათ თავშია პრობლემა, მწვრთნელებში. გუნდმა ვერ მოახერხა ხასიათის გამოვლენა. სადაც საჭირო იყო, იქ ვერ გამოამჟღავნეს ჟინი. პრობლემაა სათამაშო დისციპლინა. არაერთხელ დავისაჯეთ ამის გამო. გამოცდა ვერ ჩავაბარეთ. ამ თამაშებით გამოჩნდა, რა დონეზე ვართ დღესდღეობით“.*

**გიორგი ნიჟარაძე,** საქართველოს რაგბის კავშირის პრეზიდენტი:

*„ეს იყო სრული ჩავარდნა - ეს ნაკრები ჩავარდა! ეს არის ყველას ბრალი, ჩემით დაწყებული და მოთამაშეებით დამთავრებული. ძალიან ბევრი გვაქვს საფიქრალი, რათა მივაგნოთ იმ მიზეზებს, რის გამოც მოხდა ეს. რა კომენტარი უნდა გავაკეთო, როდესაც ტურნირის მოსაგებად ჩამოვედით და მეხუთე ადგილისათვის გვიწევს უკვე თამაში და იქაც რას ვიზამთ, არ ვიცით. ასე თუ გავაგრძელებთ, ვერც იმ თამაშს მოვიგებთ.*

*ორმა რამემ განაპირობა ეს შედეგი: პირველი - დუბაელი არბიტრის მსაჯობა, რომელმაც მოკლა თამაში თავიდანვე, თუმცა ჩვენ ვაფრთხილებდით მოთამაშეებს, რომ მსაჯობა ცუდი იქნებოდა. მერე - იმ იშვიათ მომენტებში, როდესაც ჩვენ გვქონდა ბურთი, ბევრჯერ სალელოვე შეტევის განხორციელება შეგვეძლო, მაგრამ ხან გვივარდებოდა ბურთი, ხან ჯარიმას ვიკიდებდით და ხან აუტებს ვაგებდით.*

*ალბათ, უმთავრესად ეს არის მენტალური პრობლემები - როგორც ჩანს, ფსიქოლოგიური პრობლემები გვაქვს ახალგაზრდა თაობებში და ამაზე ძალიან სერიოზულად უნდა ვიფიქროთ. მერე, ჩვენს თავში უნდა ვეძებოთ მიზეზები. უნდა დავსხდეთ, ვიფიქროთ, თუ რატომ მოხდა ასე და გამოვასწოროთ. ცხოვრება არ მთავრდება ამით. არავის გვაქვს ემოციებზე აყოლის უფლება. უალრესად თვითკრიტიკულად უნდა დავსხდეთ და ვიფიქროთ. ის, რაზედაც ბევრი უნდა ვიმუშაოთ არის მოთამაშეების ფსიქოლოგიური მომზადება და მათი პერსონალური პასუხისმგებლობის გრძნობა. ეს არის ჯერჯერობით უდიდესი პრობლემა, რომელიც ფსიქოლოგიიდან გამომდინარეობს - უპასუხისმგებლობა და უდისციპლინობა.*

*მთელი ჩვენი გუნდის სახელით, ბოდიშს ვუხდი გულშემატკივრებს, რომ ასე გავაწბილეთ.“*

**საქართველო-ჰონკონგი 21:8**

15. დავით გულიტაშვილი, 14. მურაზ გიორგაძე, 13. გიორგი ფრუიძე, 12. რევაზ ბროძელი, 11. დევი დევსურაშვილი, 10. რეზო ჯინჭველაშვილი, 9. თემურ თუთბერიძე. 1.ზაურ ხარებავა, 2. ბადრი ალხაზიშვილი, 3. გიორგი მარგველანი, 4. როლანდ კვაჭაძე, 5. ბესიკ ბარბაქაძე, 6. საბა შუბითიძე (კაპ), 7. გიორგი სორდია, 8. ვახტანგ ამირანაშვილი.

16. გიორგი თორაძე, 17. ბექა კაკაბაძე, 18. ფარნავაზ გასვიანი, 19. დავით პაპავაძე, 20. ჟორა მღებრიშვილი, 21. გიორგი ბაბუნაშვილი, 22. შალვა შაშიაშვილი.

ლლ: გულიტაშვილი, ამირანაშვილი, მღებრიშვილი.

**III ტური**

**A ჯგუფი**

| | |
|---|---|
| აშშ-ტონგა | 22:28 |

**სატურნირო მდგომარეობა**

1. ტონგა - 10 ქულა, 2. აშშ - 10, 3. საქართველო - 9, 4. ჰონკონგი - 0.

**B ჯგუფი**

| | |
|---|---|
| ურუგვაი-ნამიბია | 16:13 |
| კანადა-იაპონია | 12:37 |

**სატურნირო მდგომარეობა**

1. იაპონია - 12 ქულა, 2. ურუგვაი - 10, 3. ნამიბია - 7, 4. კანადა - 2.

**VII ადგილისთვის**

ჰონკონგი-კანადა

**V ადგილისთვის**

საქართველო-ნამიბია

**III ადგილისთვის**

აშშ-ურუგვაი

**ფინალი**

ტონგა-იაპონია

ევროპის ჩემპიონატი

# მომავალ წელს ისევ შესარჩევში

**საქართველოს 18-წლამდელთა ნაკრებმა პოლონეთის ქალაქ პოზნანში მიმდინარე ელიტურ ევროპის ჩემპიონატზე ზედიზედ მეორე მატჩი წააგო. „უმცროსი ბორჯღალოსნები“ მე-5 ადგილისთვის ნახევარფინალში იტალიის ნაკრებს დაუპირისპირდნენ და ორი ქულის სხვაობით 13:15 დამარცხდნენ.**

პარადოქსია, მაგრამ საქართველოს ნაკრებმა ორივე მატჩში პირველი ტაიმი მოიგო, თანაც საკმაოდ დამაჯერებლად. რა ხდებოდა ორივე მატჩის მეორე ნახევარში? რატომ ვარდებოდა გუნდის თამაში კალაპოტიდან? ვფიქრობთ, ეს სერიოზული განსჯის საგანია. არადა, რეალურად ორივე მეტოქის დამარცხება შეიძლებოდა. რაღაც არ გვეყო.

- რა არ გვეყო?

- გამოცდილება, საკმარისი სათამაშო პრაქტიკა, ფსიქოლოგიური მდგრადობა, თავდაჯერება, ცოტა კლასიც და შეიძლება კიდევ ბევრი რამ.

თაობები ერთიმეორეზე უკეთესი მოდის, მაგრამ ჩვენმა ასაკობრივმა ნაკრებებმა რაღაც გარკვეულ დონეს მიაღწიეს და წინ ნაბიჯს ველარ დგამენ. აგერ უკვე მერამდენე წელიწადია 20-წლამდელები მსოფლიოს ახალგაზრდულ ჩემპიონატზე გასვლისთვის იბრძვიან, მაგრამ პლანეტის საუკეთესო 12 გუნდს შორის ვერა და ვერ მოხვდნენ.

18-წლამდელებს საქმე უკეთესად ჰქონდათ. ელიტური ევროპის ჩემპიონატი ორი წლის წინათ დაარსდა და ორივე გათამაშებაში იტალიის ნაკრების დამარცხება შევძელით. შედეგად, ორგანიზატორებმა წლეულს პირდაპირ, შესარჩევი ეტაპის გავლის გარეშე დაგვიშვეს შეჯიბრებაში. ამჯერად, კი ისევ იქ დაბრუნება მოგვიწევს, საიდანაც დავიწყეთ.

არადა, პირველი ტაიმის დამთავრებამდე ხუთი წუთით ადრე ყველაფერი შესანიშნავად მიდიოდა. „უმცროსმა ბორჯღალოსნებმა“ ორი ლელო და ერთი საჯარიმოს გატანა მოახერხეს და 13:0 დაწინაურდნენ. ასეთი სიძლიერის ტურნირზე, როცა ერთმანეთს თითქმის ტოლ-სწორი გუნდები ეთამაშებიან, 13-ქულიანი უპირატესობა საკმაოდ სოლიდურია.

სამწუხაროდ, ჩვენმა ბიჭებმა მშრალი ანგარიშის შენარჩუნება ვერ შეძლეს და ტაიმის მიწურულს ლელო მიიღეს, რომელიც ქართველი მორაგბეების მიერ დაშვებულ შეცდომათა მთელ ჯაჭვს მოჰყვა. იტალიელებმა გარდასახვა ვერ გაიტანეს და ანგარიში რვა ქულამდე შეამცირეს - 5:13.

შესვენების შემდეგ ჩვენმა ნაკრებმა ისევ რამდენიმე შეცდომა დაუშვა. იტალიელებმა ორი, თითქმის იდენტური შეტევა ლელოთი დაასრულეს, ვერც ერთი ვერ გარდასახეს, თუმცა თამაშის მოსაგებად ეს მაინც საკმარისი გამოდგა - 15:13.

**დავით ჩავლეიშვილი,** საქართველოს 18-წლამდელთა ნაკრების მთავარი მწვრთნელი:

*„ძალიან სამწუხაროა, რომ ვერ შევძელით 13-ქულიანი უპირატესობის შენარჩუნება და მოგებული თამაში დავთმეთ. თუმცა, მიმაჩნია, რომ ირლანდიასთან მატჩის შემდეგ როგორც შეტევაში, ისე დაცვაში თამაში გაუმჯობესებული იყო. ხარვეზების გამოსწორება შევძელით, მაგრამ, ალბათ, არასაკმარისად.*

*პირველი ტაიმის ბოლოს მიღებულმა ლელომ ძალიან აგვრია და მატჩის დასასრულამდე თამაში ველარ დავალაგეთ. ყველა სათადარიგო მორაგბე ვათამაშეთ, მაგრამ მაინც ვერ მოვიგეთ. როგორც ჩანს, თამაშისას გადაწყვეტილებების მიღება გვიჭირს.“*

სამწუხაროდ, მომავალ სეზონში ელიტარულ ევროპის ჩემპიონატზე სათამაშოდ შესარჩევი ტურნირის გავლა მოგვიწევს. იქამდე კი, 19 აპრილს, პოზნანში მე-7 ადგილისთვის მატჩში „უმცროსი ბორჯღალოსნები“ პორტუგალიელ თანატოლებს დაუპირისპირდებიან.

მეოთხედფინალში ჩვენმა მძლეველმა ირლანდიის ნაკრებმა საფრანგეთის გუნდი დაამარცხა 24:11 და ფინალში ინგლისელ თანატოლებს ეთამაშება.

**საქართველო-იტალია 13:15**

**საქართველო:** 15. ირაკლი სვანიძე, 14. ბექა ნონიაშვილი, 13. დავით ლობჟანიძე, 12. გიორგი კოშაძე, 11. თორნიკე მანაგაძე, 10. თორნიკე ხურცილავა, 9. ვასილ ლობჟანიძე. 1. ნიკა ნეფარიძე, 2. ვანო მარგალიტაძე, 3. შაქრო ლომსიანიძე, 4. გიორგი ჯავახია, 5. ოთარ გიორგაძე, 6. მიხეილ გორგასლიძე, 7. თორნიკე ზოიძე, 8. ბექა გორგაძე.

16. ლუკა გოგინავა, 17. ლაშა ტაბიძე, 18. მიხეილ ბაბუნაშვილი, 19. გიორგი ხუროშვილი, 20. ლაშა მამუჩარაშვილი, 21. კოტე ახობაძე, 22. სანდრო ილურიძე, 23. გიორგი მელაძე.



**ნახევარფინალი**

| | |
|---|---|
| ინგლისი-უელსი | 11:9 |
| საფრანგეთი-ირლანდია | 11:24 |

**V ადგილისთვის**

| | |
|---|---|
| შოტლანდია-პორტუგალია | 35:11 |

**VII ადგილისთვის**

საქართველო-პორტუგალია

**V ადგილისთვის**

იტალია-შოტლანდია

**III ადგილისთვის**

საფრანგეთი-უელსი

**ფინალი**

ინგლისი-ირლანდია

ერთი ფოტოს ისტორია



მარცხნიდან მეოთხე ბაკის ბოთა

ლეგენდარულმა სამხრეთაფრიკელმა მეორეხაზელმა **ბაკის ბოთამ,** რომელიც ამჟამად **კონსტანტინე მიქაუტაძისა** და **ლევან ჩილაჩავას** „ტულონის“ ღირსებას იცავს, twitter-ის საკუთარ გვერდზე ქართველი რაგბის ქომაგებისთვის კარგად ცნობილი ფოტო გამოაქვეყნა, წარწერით:

*„დაბრუნება იმ დღეებში. ოღონდ, მითხარით ამ ტურნეს გამართვის თარიღი. კურთხევა“.*

ეს იყო 2001 წლის 18 ნოემბერს, საქართველოს ნაკრები, რომელმაც იმ წელიწადს ევროპის ერთა თასი პირველად მოიგო, სამხრეთ აფრიკის A ნაკრებს ვაკეში დაუპირისპირდა და 17:31 დამარცხდა.

გასაკვირი არ არის „ბოკეს“ ლეგენდარულ მორაგბეს ამ მატჩის თარიღი რომ დაავიწყდა. ბოთა 22 წლის იყო და საერთაშორისო არენაზე გამოსვლას იწყებდა. მაშინ მართლაც მისი კურთხევა შედგა. ის მართლაც გამორჩეული ფიგურა გახლდათ და შესანიშნავი კარიერაც გაიკეთა. მას მერე თავს უამრავი რამ გადახდა, კარგიც და ცუდიც. უფრო მეტად კი, კარგი. 2007 წელს მსოფლიოს თასიც მოიგო „ბოკესთან“ ერთად და გუნდში ერთ-ერთი საუკეთესო იყო.

გვერდი მოამზადა
**ბესიკ ჯანგავაძემ**

ეროვნული ბიბლიოთეკა

კალათბურთი


ამარე სტაუდმაიერი

# ნიქსიდან ისრაელში

ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის ვარსკვლავი, 2003 წლის საუკეთესო ახალბედა **ამარე სტაუდმაიერი** „ნიუ იორკ ნიქსის" დატოვებას და ისრაელის ჩემპიონატში მოასპარეზე იერუსალიმის „ჰაპოელში" გადასვლას აპირებს.

შეგახსენებთ, რომ NBA-ის ერთ-ერთი ყველაზე მაღალანაზღაურებადი მოთამაშე (მომავალ სეზონში 31 წლის ამარე 22 მილიონ დოლარს გამოიმუშავებს) გასულ წელს „ჰაპოელის" ერთ-ერთი თანამფლობელი გახდა.

*„ვნახოთ რა იქნება უახლოეს მომავალში. არაფრის გამორიცხვა არ შეიძლება. თუ მექნება „ჰაპოელში" თამაშის საშუალება და ჯანმრთელობაც შემიწყობს ხელს, სიამოვნებით გავაკეთებ ამას,* - მოჰყავს სტაუდმაიერის სიტყვები გაზეთ „ნიუ იორკ პოსტს". - *კონტრაქტით „ნიქსთან" კიდევ ერთი წელი დამრჩა და ამის შემდეგ გაირკვევა ყველაფერი".*

„ჰაპოელის" თანამფლობელმა **ორი ალონმა** დაადასტურა, რომ კალათბურთელი უკვე განიხილავს ისრაელის კლუბში გადასვლის ვარიანტს.

*„ჩვენ უკვე განვიხილეთ ეს საკითხი ამარესთან ერთად. შესანიშნავი იქნება მისი „ჰაპოელში" ხილვა, თუმცა ამაზე ჯერ ნაადრევია ლაპარაკი. ვფიქრობ, ეს აუცილებლად მოხდება",* - განაცხადა ალონმა.

იმასაც შეგახსენებთ, რომ უფრო ადრე სტაუდმაიერი განიხილავდა ისრაელის ნაკრებში გამოსვლის პერსპექტივას.

სასამართლო

# ოსკარის საქმე დამძიმდა

პროკურორმა **ჯერი ნელმა** დაასრულა სამხრეთაფრიკელი მორბენალი-ამპუტანტის, **რივა სტენკამპის** მკვლელობაში ბრალდებული **ოსკარ პისტორიუსის** ხუთდღიანი ჯვარედინი დაკითხვა. ექვსგზის პარალიმპიური ჩემპიონი ადრე მყარად იდგა ვერსიაზე, რომლის მიხედვითაც 2013 წლის 14 თებერვალს, მან მართლაც ესროლა საპირფარეშოს კარს, რომელშიც მისი შეყვარებული რივა სტენკამპი იმყოფებოდა. მძლეოსანმა ქალი მძარცველად აღიქვა.

პროკურორს პისტორიუსის არგუმენტები ნაკლებდამაჯერებლად მიაჩნია. ნელი დარწმუნებულია, რომ სტენკამპი სააბაზანოში მძლეოსანთან ჩხუბის შემდეგ ჩაიკეტა და ოსკარმა იცოდა - ვინ იმყოფებოდა კარის მეორე მხარეს.

*„თქვენ ოთხჯერ ესროლეთ კარს იმ დროს, როცა იცოდით, რომ სტენკამპი სააბაზანოში იმყოფებოდა. სროლისას ყვიროდით, რათა მისი საუბრის მცდელობა ჩაგეხშოთ და არ მიგეცათ საშუალება ებრძოლა საკუთარი სიცოცხლისთვის. თქვენ ხელში იარაღი ერთადერთი მიზნისთვის აიღეთ: მოგეკლათ ის",* - განაცხადა ნელმა.

პროკურორმა ჰკითხა პისტორიუსს - რატომ არ დაელოდა ის სტენკამპის პასუხს, როცა ხმაური გაიგონა სააბაზანოში და პისტოლეტი აიღო. პირველი გასროლის შემდეგაც, რომელიც მიზანს აცდა, სტენკამპს გარკვეული რეაგირება ჰქონდა. ამიტომაც, სპორტსმენი უნდა მიმხვდარიყო, რომ შიგნით მძარცველი არ იმყოფებოდა. პისტორიუსმა ამაზე უპასუხა: *„მე არ მქონდა ამაზე ფიქრის დრო".* პროკურორის პასუხმა არ დააგვიანა: *„თქვენი დაცვის ხაზი შეიცვალა. ახლა, ამას აღარ ჰქვია თავდაცვა, არამედ ეს იყო არაპროგნოზირებადი მოქმედება".*

თუ დამტკიცდა, რომ სამხრეთაფრიკელმა სპორტსმენმა შეგნებულად გამოასალმა სიცოცხლეს სტენკამპი, მას 25-წლიანი პატიმრობა ელის.


ოსკარ პისტორიუსი

NBA რეგულარული ჩემპიონატი

# ჩემპიონმა პირველობა დათმო

როგორც გუშინდელ ნომერში ვწერდით, „მემფისის" „ლეიკერსზე" გამარჯვებამ პრაქტიკულად მოუსპო „ფინიქსს" პლეი ოფში გასვლის შანსი. „სანზს" კიდევ შეეძლო დასავლეთში მერვე ადგილისთვის ბრძოლა, მაგრამ მისი იმედები გუშინ დილას დასამარდა. „მემფისისა" და „ფინიქსის" უშუალო დაპირისპირებაში დავინახეთ, რომ „გრიზლისი" ამ მომენტისთვის უფრო ღირსეულია პირველ რვა გუნდში მოსახვედრად. თუმცა ეს მხოლოდ მატჩის ბოლოს გამოჩნდა. მთელი მეოთხე მეოთხედი ქულა ქულაში თამაში მიდიოდა.

თამაშის ბედი პრაქტიკულად დროის იმ მონაკვეთში გაირკვა, რომლის სიგრძე 20 წამი იყო. საფინალო სირენამდე 1.08 წუთით ადრე, **მაიკ კონლიმ** გამოიყენა **ზაკ რენდოლფის** დროული პასი, სამქულიანი ჩააგდო და „გრიზლისი" წინ გაიყვანა - 93:91. რენდოლფმა თავისი გმირობები გააგრძელა - მან ბურთი ჩაუჭრა „სანზის" გამთამაშებელ **გორან დრაგიჩს**, მთელი მოედანი გაიარა, ფინტით ორ მცველს გაუსწორდა და ბურთი კალათში მოათავსა. ამ ეპიზოდმა დაამთავრა „სანზისთვის" 2013-14 წლების სეზონი.

■ ■ ■

„მაიამი ჰიტმა" შეწყვიტა აღმოსავლეთ კონფერენციაში პირველი ადგილისთვის ბრძოლა. ჩემპიონებს გუშინ აუცილებლად სჭირდებოდათ გამარჯვება სტუმრად „ვაშინგტონის" წინააღმდეგ, მაგრამ ამისთვის ოპტიმალური შემადგენლობა არ გამოიყენეს. ფლორიდელთა „დიდი ტრიოდან" მოედანზე მხოლოდ **დუეინ უეიდი** გავიდა, რომელიც სპორტულ ფორმას იბრუნებს ტრავმის შემდეგ. და მანაც, მოედანზე მხოლოდ 19 წუთი გაატარა. საბოლოოდ, „უიზარდს" პრობლემა არ შექმნია ამ შეხვედრაში, თუმცა არც მას დაუტვირთავს დიდად თავისი ლიდერები.

უკვე მეორე მეოთხედში მოქმედი ჩემპიონი ნოკდაუნში აღმოჩნდა. ამ 12-წუთეულში 43 ქულის გაშვების შემდეგ, „მაიამი" უიმედოდ ჩამორჩა. არარეალური იყო რეზერვისტებს 20-ქულიანი ჩამორჩენა გაებათილებინათ. მით უმეტეს, რომ სატურნირო თვალსაზრისით, დედაქალაქელებს გამარჯვება სჭირდებოდათ - მათ სურთ თავიდან აიცილონ პლეი ოფის პირველ წრეში „მაიამისთან" ან „ინდიანასთან" შეხვედრა.

**ფილადელფია-ბოსტონი 113:108**

33:33, 34:17, 19:34, 27:24

ფ: კარტერ-უილიამსი (21+14 მოხსნა), როუტენი (20), ტ. იაგი (15).

ბ: ოლინიკი (28), ჯეფ გრინი (27), ბრედლი (23), რონდო (8+11 მოხსნა+14 პასი).

**ტორონტო-მილუოკი 110:100**

32:19, 27:27, 25:23, 26:31

ტ: გ. ვასკესი (25), ლოური (24), ვალანჩუნასი (14+13 მოხსნა), ჰენსბრო (12+11 მოხსნა).

მ: სეშენსი (21), ედრიანი (19), ნაითი (18), მიდლტონი (15).

**ვაშინგტონი-მაიამი 114:93**

27:26, 43:22, 28:17, 16:28

ვ: არიზა (25), ნენე (18), ჰარინგტონი (16), ბილი (15), გორტატი (10+13 მოხსნა).

მ: ბიზლი (18).

**ატლანტა-შარლოტი 93:95**

24:26, 26:18, 30:21, 13:30

ა: სკოტი (20).

შ: ჯეფერსონი (27+15 მოხსნა), ნილი (17).

**ჩიკაგო-ორლანდო 108:95**

26:21, 31:23, 24:26, 27:25

ჩ: დანლივი (22), ნოა (18+10 მოხსნა), ფრედეტი (17), ბუზერი (13+12 მოხსნა).

ო: ო'ქუინი (20), ნიკოლსონი (19).

**ჰიუსტონი-სან ანტონიო 104:98**

30:21, 20:22, 26:25, 28:30

ჰ: პარსონსი (21), ჰოვარდი (20+17 მოხსნა), ტ. ჯონსი (20+11 მოხსნა), ჰარდენი (16).

ს-ა: ბელინელი (17).

**ნ. ორლეანი-ოკლაჰომა 101:89**

23:21, 22:25, 25:23, 31:20

ნ-ო: ტ. ევანსი (41).

ო: დურანტი (25), იბაკა (22+16 მოხსნა), კ. ბატლერი (19).

**იუტა-ლეიკერსი 104:119**

30:23, 21:34, 35:29, 18:33

ი: ბერკსი (22), გ. ჰეივორდი (21), კანტერი (19+12 მოხსნა), ბერკი (17).

ლ: ნ. იანგი (41), მიქსი (23), ჰილი (21).

**ფინიქსი-მემფისი 91:97**

14:24, 28:22, 25:21, 24:30

ფ: მარკიფ მორისი (21).

მ: ზ. რენდოლფი (32), მ. მილერი (21), მ. გასოლი (18).

**გ. სტეიტი-მინესოტა 130:120**

28:42, 34:22, 35:28, 33:28

გ-ს: კარი (32+15 პასი), დ. ლი (25).

მ: ლავი (40+14 მოხსნა+9 პასი), ბრიუერი (22).


ფინიქსი პლეი ოფში ვერ გავიდა

# 100 მილიონი ლილარდისთვის


დამიენ ლილარდი

ამ დღეებში, „პორტლენდის" ლიდერმა **დამიენ ლილარდმა** ახალი ხელშეკრულება გააფორმა კომპანია „ადიდასთან". ხელშეკრულების ხანგრძლივობა 10 წელია, რომლის განმავლობაშიც გამთამაშებელი ჯამში 100 მილიონ დოლარს მიიღებს. ასე რომ, „პორტლენდის" მცველი ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის ერთ-ერთი ყველაზე მაღალანაზღაურებადი მოთამაშე გახდა.

ლილარდი მხოლოდ ორ კალათბურთელს ჩამორჩება: ჩიკაგოელ **დერიკ როუზს**, რომელმაც „ადიდასთან" 13-წლიანი და 185-მილიონიანი კონტრაქტი გააფორმა და მაიამელ **ლებრონ ჯეიმსს**, რომლის წლიური შემოსავალი 20 მილიონს უდრის.

# ლეიკერსი გასოლს არ უშვებს

„ლოს ანჯელეს ლეიკერსის" გენერალურმა მენეჯერმა **მიტჩ კუპჩაკმა** განაცხადა, რომ ესპანელი ცენტრი **პაუ გასოლი** ჯერ ისევ სჭირდება მის გუნდს, ამიტომაც, კალიფორნიული გრანდი კალათბურთელს კონტრაქტის გაგრძელების წინადადებით მიმართავს.

*„ჩვენ დაინტერესებულნი ვართ გასოლის შენარჩუნებით. სხვა ვარიანტების განსახილველად მზად არ ვარ. ის დიდების დარბაზის მომავალი წევრია. პაუ თავისუფალი აგენტი გახდება და ბაზარზე აღმოჩნდება. სწორედ იქ გავიგებთ, როგორ განვითარდება მოვლენები",* - ამბობს კუპჩაკი.

ამ სეზონში ესპანელმა 60 მატჩი ჩაატარა და საშუალოდ 17.4 ქულა, 9.7 მოხსნა და 3.4 შედეგიანი პასი დააგროვა.


ბრაიანტი და გასოლი არ დაშორდებიან?

ამბები

## ბოგუტი პლეი ოფს ვერ დაიწყებს

ამერიკული პრესის ცნობით, „გოლდენ სტეიტის" ავსტრალიელი ცენტრი **ენდრიუ ბოგუტი** გაურკვეველი ვადით გამოეთიშა თამაშს.

სამშაბათს, კალათბურთელმა სამედიცინო შემოწმება გაიარა, რომლის დროსაც ნეკნის მოტეხილობა დაუდგინეს. ასე რომ, ბოგუტი, სავარაუდოდ, გამოტოვებს პლეი ოფის სტარტს.

წლევანდელ რეგულარულში ბოგუტმა 67 მატჩი ჩაატარა და საშუალოდ, 7.3 ქულა, 10.0 მოხსნა და 1.8 შედეგიანი პასი დააგროვა.

## კვირის საუკეთესოები

„ატლანტას" გამთამაშებელი **ჯეფ ტიგი** და „დალასის" მცველი **მონტა ელისი** გასული კვირის საუკეთესო მოთამაშეებად დაასახელეს.

აღმოსავლეთის ლაურეატმა ტიგმა თავის გუნდს ოთხიდან სამი მატჩი მოაგებინა. მისი საშუალო მონაგარი 20.2 ქულასა და 5.7 შედეგიან პასს უდრიდა.

გასულ კვირას, ელისიც სამი მატჩის მოგებაში დაეხმარა „მავერიქსს". ამაში მცველის წვლილი - 25.7 ქულა და 4.7 შედეგიანი პასი იყო.

გვერდი მოამზადა
გია თვალაბეიშვილმა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჰოკეი. NHL

# რა იყო მნიშვნელოვანი...

**სანამ სტენლის თასის ბატალიები დაიწყება, გავიხსენოთ 2013-14 წლების რეგულარული ჩემპიონატის ყველაზე მნიშვნელოვანი მომენტები...**



ზამთრის კლასიკა დეტროიტში

## ყველაზე უსარგებლო სუპერვარსკვლავი

ციფრები არ ტყუიან. **ალექსანდრ ოვეჩკინმა** 51 გოლი გაიტანა და მოიგო რეგულარულის სნაიპერისთვის განკუთვნილი პრიზი - „მორის რიშარ ტროფი". ასეთი რამ მის კარიერაში მეოთხედ მოხდა. მაგრამ, რუსის გოლებისგან „ვაშინგტონს" სარგებელი არ ჰქონია - დედაქალაქური კლუბი მაინც ვერ მოხვდა პლეი ოფში და ახლა, ოკეანის გაღმა ბევრს ბჭობენ რუსი სუპერფორვარდის სარგებლიანობაზე. ამ კატეგორიაში „მინუს 35" კატასტროფული მაჩვენებელია. რუსზე უარესი მხოლოდ ორი მოთამაშეა - **ალექს ედლერი** და **სტივ ოტი**, მაგრამ ისინი ამ სეზონის უსუსტეს გუნდებში თამაშობდნენ.

ნაწილობრივ, ოვეჩკინის სარგებლიანობის კოეფიციენტი არათანაბარ შემადგენლობაში ხშირი თამაშის გამო დაზიანდა. 51 გოლიდან 24 მან რიცხობრივ უპირატესობაში გაიტანა, ეს კი ჰოკეისტს „პლუსებს" არ უმატებს. მაგრამ, ეს არ ამართლებს ფორვარდს, მით უმეტეს, რომ ოვეჩკინმა ვერც ოლიმპიადაზე გაიბრწყინა.

## 57 წლის შემდეგ

პლეი ოფის წყვილების დაკომპლექტების ახალმა სისტემამ ბევრ გულშემატკივარს აურია თავგზა, თუმცა ერთი წყვილი კანონზომიერად შედგა - აღმოსავლეთისა და რეგულარულის საუკეთესო გუნდი „ბოსტონი" მერვეადგილოსან „დეტროიტს" შეხვდება. უნდა ითქვას, რომ „დათვებს" არ გაუმართლათ, რადგან პირველივე რაუნდში მეტოქედ მიიღეს გუნდი, რომელთანაც რეგულარულში ოთხიდან სამი მატჩი წააგეს.

„დეტროიტი" ამ სეზონის წინ გადაისროლეს დასავლეთიდან აღმოსავლეთ კონფერენციაში და მისი მეტოქეობა „ბოსტონთან" ერთ-ერთი მთავარი თემა იყო რეგულარულის მსვლელობისას. ბოლოს ეს გუნდები პლეი ოფში 1957 წელს შეხვდნენ ერთმანეთს („დათვებმა" ხუთ მატჩში მოიგეს). მართლაც, ბედის ირონიაა - მოიგო რეგულარული ჩემპიონატი და პირველ რაუნდში მიიღო მეტოქედ ყველაზე უხერხული მოწინააღმდეგე.

## სტემკოსის ტრავმა

მსოფლიოში ერთ-ერთმა საუკეთესო ფორვარდმა **სტივენ სტემკოსმა** ყველაზე ცუდ დროს მოიტეხა ფეხი - ნოემბრის ბოლოს და ველარ მოასწრო ოლიმპიური ტურნირისთვის აღდგენა. კანადელებმა ეს ტურნირი მოიგეს, სტივენმა კი გარანტირებული ოქრო დაკარგა.

## ორი დიდი მოულოდნელობა

როგორც ჩანს, „ტამპა ბეიში" იციან რაღაც საიდუმლო, რაც სხვამ არ იცის. სეზონის სტარტის წინ, ფლორიდულმა კლუბმა გაუშვა **ვენსან ლეკავალიე**, რითაც განტვირთა სახელფასო ბიუჯეტი. ამას დაემატა სტივენ სტემკოსის ტრავმა, ბოლოს კი ოლიმპიური ჩემპიონი **მარტინ სან ლუი** „რეინჯერსში" გაცვალეს. ყველა ელოდა „ლაითნინგისგან" ჩავარდნას, მაგრამ მან 101 ქულით მესამე ადგილი დაიკავა აღმოსავლეთში! და რაც მთავარია, გუნდი ბევრს იტანს. „რეინჯერსში" გაშვებული სან ლუი „ტამპას" საუკეთესო ბომბარდირად დარჩა რეგულარულში (61 ქულა 62 მატჩში), მაგრამ გამოჩნდნენ სხვა ჰოკეისტები, რომლებმაც შეცვალეს სახელოვანი ვეტერანი. თან ბრწყინვალე იყო მეკარე **ბენ ბიშოპი**.

სეზონის მეორე გმირი იყო „კოლორადო" და მისი დებიუტანტი მწვრთნელი **პატრიკ რუა**. ამ უკანასკნელმა შეძლო შარშანდელი 29-ე გუნდი წელს პლეი ოფში გაეყვანა. გაამართლა დრაფტის პირველმა ნომერმა **ნეიტ მაკინონმა**, ძლიერი სეზონი ჩაატარა მეკარე **სიმიონ ვარლამოვმა**... მათი და სხვების წყალობით „ეველანშს" ფანტასტიკური სტარტი ჰქონდა, შემდეგ ოდნავ უკლო, მაგრამ კონფერენციაში მეორე და ლიგაში მესამე ადგილი მაინც დაიკავა.

## ბროდოს ეპოქის დასასრული?

**მარტინ ბროდო**, რომელიც მაისში 42 წლის გახდება, 2014 წლის ზაფხულში შეუზღუდავი თავისუფალი აგენტის სტატუსს მიიღებს. მეკარეს, რომელიც 20 წელია „ნიუ ჯერსის" სიმბოლოდ აღიქმება, კარიერის დასრულების შესახებ ჯერ არ გამოუცხადებია. ბროდოს კიდევ შეუძლია თამაში, მაგრამ საკითხავია ამას „დევილზის" შემადგენლობაში გააკეთებს თუ არა? ლეგენდამ განაცხადა, რომ კარგად უნდა დაფიქრდეს, ყველაფერი აწონ-დაწონოს... ამ ზაფხულს ბროდოს ბედის გარკვევა ერთ-ერთი ინტრიგა იქნება.

## ზამთრის კლასიკა

2013-14 წლების სეზონში „დეტროიტი" და „ტორონტო" ასი ათასზე მეტი მაყურებლის თანდასწრებით ღია არენაზე შეხვდნენ ერთმანეთს. ეს მატჩი გინესის რეკორდების წიგნში არ შესულა, რადგან ორგანიზატორებმა მაყურებელთა ზუსტი რაოდენობის აღრიცხვა ვერ შეძლეს. მიუხედავად ამისა, 105 ათასი გაყიდული ბილეთი - ფანტასტიკური მაჩვენებელია.

გარდა ამისა, იყო შეხვედრა Heritage Classics-დან - 50 ათასი მაყურებელი დაესწრო 2 მარტს, „ვანკუვერისა" და „ოტავას" მატჩს. ასევე ითამაშეს ჰოკეი Stadium Series-ის ეგიდით. 25 იანვარს, „ანაჰაიმი" და „ლოს ანჯელესი" შეხვდნენ ერთმანეთს ლოს ანჯელესში „დოჯერსის" ბეისბოლის სტადიონზე. სიცხე, პალმები, ღია არენა და... ყინულის ჰოკეი.

## მოკლედ

- **რაიან მილერის** გაცვლა „ბაფალოდან" „სენტ ლუისში", რითაც ამ უკანასკნელის შანსები პლეი ოფში უფრო გაიზარდა.
- **ტეემუ სელიანე** ეთხოვება ჰოკეის ბრწყინვალე სეზონით: ოლიმპიადის ბრინჯაო, „ანაჰაიმის" პირველი ადგილი დასავლეთში და ბოლო იერიში სტენლის თასზე.
- **რიჩ პევერლიმ** „კოლამბუსთან" მატჩის მსვლელობისას გადაიტანა გულის შეტევა.
- **სიდნი კროსბი** კვლავ რეგულარულის საუკეთესო ბომბარდირია.
- **პიტერ ლავიოლეტმა** სეზონის პირველი სამი მატჩი წააგო და გაანთავისუფლეს „ფილადელფიას" მთავარი მწვრთნელის პოსტიდან. მისმა შემცვლელმა **კრეიგ ბერუბემ** „ფლაიერსი" პლეი ოფში გაიყვანა.

**აღმოსავლეთი**

| ატლანტიკი | თ | მ | წ | ოწ | ქ |
|---|---|---|---|---|---|
| 1. z-ბოსტონი | 82 | 54 | 19 | 9 | 117 |
| 2. x-ტამპა ბეი | 82 | 46 | 27 | 9 | 101 |
| 3. x-მონრეალი | 82 | 46 | 28 | 8 | 100 |
| 4. x-დეტროიტი | 82 | 39 | 28 | 15 | 93 |
| 5. ოტავა | 82 | 37 | 31 | 14 | 88 |
| 6. ტორონტო | 82 | 38 | 36 | 8 | 84 |
| 7. ფლორიდა | 82 | 29 | 45 | 8 | 66 |
| 8. ბაფალო | 82 | 21 | 51 | 10 | 52 |

| მეტროპოლიტენი | თ | მ | წ | ოწ | ქ |
|---|---|---|---|---|---|
| 1. y-პიტსბურგი | 82 | 51 | 24 | 7 | 109 |
| 2. x-რეინჯერსი | 82 | 45 | 31 | 6 | 96 |
| 3. x-ფილადელფია | 82 | 42 | 30 | 10 | 94 |
| 4. x-კოლამბუსი | 82 | 43 | 32 | 7 | 93 |
| 5. ვაშინგტონი | 82 | 38 | 30 | 14 | 90 |
| 6. ნიუ ჯერსი | 82 | 35 | 29 | 18 | 88 |
| 7. კაროლინა | 82 | 36 | 35 | 11 | 83 |
| 8. აილენდერსი | 82 | 34 | 37 | 11 | 79 |

**დასავლეთი**

| ცენტრალური | თ | მ | წ | ოწ | ქ |
|---|---|---|---|---|---|
| 1. y-კოლორადო | 82 | 52 | 22 | 8 | 112 |
| 2. x-სტ. ლუისი | 82 | 52 | 23 | 7 | 111 |
| 3. x-ჩიკაგო | 82 | 46 | 21 | 15 | 107 |
| 4. x-მინესოტა | 82 | 43 | 27 | 12 | 98 |
| 5. x-დალასი | 82 | 40 | 31 | 11 | 91 |
| 6. ნეშვილი | 82 | 38 | 32 | 12 | 88 |
| 7. ვინიპეგი | 82 | 37 | 35 | 10 | 84 |

| პასიფიკი | თ | მ | წ | ოწ | ქ |
|---|---|---|---|---|---|
| 1. z-ანაჰაიმი | 82 | 54 | 20 | 8 | 116 |
| 2. x-სან ხოსე | 82 | 51 | 22 | 9 | 111 |
| 3. x-ლოს ანჯელესი | 82 | 46 | 28 | 8 | 100 |
| 4. ფინიქსი | 82 | 37 | 30 | 15 | 89 |
| 5. ვანკუვერი | 82 | 36 | 35 | 11 | 83 |
| 6. კალგარი | 82 | 35 | 40 | 7 | 77 |
| 7. ედმონტონი | 82 | 29 | 44 | 9 | 67 |

*შენიშვნა:პლეი ოფში თითო დივიზიონიდან სამ-სამი საუკეთესო გუნდი გადის. კიდევ ოთხ საგზურს თითო კონფერენციიდან უაილდ-ქარდის მფლობელი ორ-ორი გუნდი მიიღებს.*

| ბომბარდირები | |
|---|---|
| სიდნი კროსბი (პიტ) | 104 (36+68) |
| რაიან გეტცლაფი (ანა) | 87 (31+56) |
| კლოდ ჟირუ (ფილ) | 86 (28+58) |
| ტაილერ სეგუინი (დალ) | 84 (37+47) |
| კორი პერი (ანა) | 82 (43+39) |
| ფილ კესელი (ტორ) | 80 (37+44) |
| ტეილორ ჰოლი (ედმ) | 80 (27+53) |

| გოლები | |
|---|---|
| ალექს ოვეჩკინი (ვაშ) | 51 |
| კორი პერი (ანა) | 43 |
| ჯო პაველსკი (ს-ხოს) | 41 |
| მაქს პასიორეტი (მონ) | 39 |
| ფილ კესელი (ტორ) | 37 |
| ტაილერ სეგუინი (დალ) | 37 |
| სიდნი კროსბი (პიტ) | 36 |
| კრის კუნიტცი (პიტ) | 35 |
| ჯეიმი ბენი (დალ) | 34 |
| პატრიკ შარპი (ჩიკ) | 34 |

| პასები | |
|---|---|
| სიდნი კროსბი (პიტ) | 68 |
| ჯო ტორნტონი (ს-ხოს) | 65 |
| ნიკლას ბექსტრიომი (ვაშ) | 61 |
| კლოდ ჟირუ (ფილ) | 58 |
| რაიან გეტცლაფი (ანა) | 56 |
| დანკან კიტი (ჩიკ) | 55 |
| ერიკ კარლსონი (ოტა) | 54 |
| ტეილორ ჰოლი (ედმ) | 53 |
| დავიდ კრეიჩი (ბოს) | 50 |
| ევგენი მალკინი (პიტ) | 49 |

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

ცხელი ხაზი

**ფეხბურთი**

| ინგლისი | |
|---|---|
| არსენალი-ვესტ ჰემი | 3:1 |
| **ჩემპიონშიპი** | |
| ჩარლტონი-ბარნსლი | 1:2 |
| **I ლიგა** | |
| ქროული-ტრანმერი | 2:0 |
| **კონფერენსი** | |
| ბრენტრი-გეიტშიდი | 0:0 |
| გრიმსბი-ჰალიფაქსი | 0:1 |
| კიდერმინსტერი-კემბრიჯი | 2:0 |
| მაკლსფილდი-ფორესტ გრინი | 1:2 |
| **გერმანია** | |
| **რეგიონალლიგა (ბაიერნი)** | |
| ბაიერნ ჰოფი-ბუხბახი | 0:3 |
| **გერმანიის თასი** | |
| **1/2 ფინალი** | |
| დორტმუნდი-ვოლფსბურგი | 2:0 |
| **საფრანგეთის თასი** | |
| **1/2 ფინალი** | |
| რენი-ანჟერსი | 3:2 |
| **ბელგია** | |
| ანდერლეხტი-ვარეგემი | 0:0 |
| **პორტუგალია** | |
| **II დივიზიონი** | |
| ბეირა მარი-კოვილია | 3:0 |
| **შოტლანდია** | |
| **ჩემპიონშიპი** | |
| რეითი-ქუინი | 3:2 |
| **I ლიგა** | |
| რეინჯერსი-ფორფარი | 3:0 |
| **ირლანდია** | |
| **Setanta Cup** | |
| დანდალკი-შემროკი | 1:0 |
| **შვედეთი** | |
| **II დივიზიონი** | |
| სირიუსი-ჰუსკვარნა | 1:2 |
| **ფინეთის თასი** | |
| ჰიფკ-სეინაიოენი | 0:0 დ.დ. 0:1 |
| **ავსტრიის თასი** | |
| **1/4 ფინალი** | |
| ჰორნი-ამშტეტენი | 2:0 |
| რიდი-სტ. პოლტენი | 1:2 |
| **უელსი** | |
| ქონექსი-ბალა | 1:1 |
| **სლოვაკეთის თასი** | |
| **1/2 ფინალი. II მატჩები** | |
| კოშიცე-რუჟომბეროკი | 4:1 (0:0) |
| სლოვანი-ჟენიცა | 3:0 (3:1) |
| **უკრაინა** | |
| დნიპრო-ვოლინი | 5:1 |
| **პოლონეთის თასი** | |
| **1/2 ფინალი. II მატჩი** | |
| ზავიშა-იაგელონია | 1:1 (2:0) |
| **ხორვატია** | |
| სლავენი-ოსიეკი | 2:1 |
| რიეკა-ზადარი | 3:0 |
| **უნგრეთის თასი** | |
| **1/2 ფინალი. I მატჩი** | |
| დებრეცენი-დიოშდიორი | 4:2 |
| **ბელარუსის თასი** | |
| **1/2 ფინალი** | |
| მინსკი-ნემანი | 1:3 |
| დნეპრი-შახტიორი | 1:1 დ.დ. 1:3 |
| **ლიტვა** | |
| შიაულიაი-ბანგა | 1:2 |
| ჟალგირისი-გრანიტასი | 1:1 |
| **ესტონეთის თასი** | |
| **1/4 ფინალი** | |
| კურესაარე-ტარტუ | 1:3 |
| ინფონეტი-პუუმა | 2:0 |
| **არგენტინა** | |
| ოლიმპო-არგ. ხუნიორსი | 3:0 |
| ველესი-კილმესი | 1:3 |
| **ჩემპიონთა ლიგა** | |
| **აზია** | |
| ლეხვია-ალ აინი | 0:5 |
| ალ იტიჰადი-ტერაქტორი | 2:0 |
| სეპაჰანი-ალ საადი | 4:0 |
| ალ აჰლი-ალ ჰილალი | 0:0 |
| მელბურნი-გუანგჯოუ | 2:0 |
| იოკოჰამა-ჟეონბუკი | 2:1 |
| ულსანი-ვ. სიდნეი | 0:2 |
| გუიჟოუ-კავასაკი | 0:1 |
| **ს. აფრიკა** | |
| აიაქსი-სუპერ სპორტი | 2:0 |
| ორლანდო-მარიტცბურგი | 1:0 |

**კალათბურთი**

| ევროლიგა | |
|---|---|
| ბარსელონა-გალათასარაი | 88:61 |
| რეალი-ოლიმპიაკოსი | 88:71 |
| **საფრანგეთი** | |
| შალონი-ნანსი | 71:80 |

**ჰოკეი**

| დანია | |
|---|---|
| ჰერნინგი-სონდერიისკი | 4:1 |
| **ფინეთი** | |
| კერპეტი-ტაპარა | 2:1 |
| **შვეიცარია** | |
| კლოტენი-ციურიხი | 1:2 |
| **შვედეთი** | |
| შელეფტეო-ფერიესტადი | 3:0 |

**ჩოგბურთი**

| ATP. მონაკო | |
|---|---|
| დელ ბონისი-**ლუ** | 6:7, 1:6 |
| **სეპი**-იუჟნი | 6:3, 7:6 |
| იანოვიჩი-**ლოდრა** | 4:6, 2:6 |
| **გაბაშვილი**-სიმონი | 4:6, 6:4, 6:4 |
| **ბენეტო**-მელცერი | 6:4, 3:6, 6:4 |
| **კარენო ბუსტა**-დოდიგი | 6:3, 6:3 |
| **ცონგა**-კოლშრაიბერი | 6:4, 1:6, 6:4 |
| ბალერე-**გარსია ლოპესი** | 5:7, 2:6 |
| **დიმიტროვი**-გრანოლერსი | 6:2, 4:6, 6:2 |
| მონტანიესი-**ჯოკოვიჩი** | 1:6, 0:6 |
| **ჩილიჩი**-მატოშევიჩი | 6:1, 3:6, 6:2 |
| ანდერსონი-**მონფილსი** | 4:6, 6:7 |
| შარდი-**ფერერი** | 3:6, 0:6 |
| მატიო-**ალმაგრო** | 3:6, 2:6 |
| **ბერდიხი**-ტურსუნოვი | 7:5, 6:4 |
| **WTA. ქუალა ლუმპური** | |
| **დუანი**-ვრლიჩი | 6:3, 6:2 |
| დანილიდუ-**დიასი** | 2:6, 2:6 |
| ჟაბორი-**გატო მონტიკონი** | 6:3, 4:6, 2:6 |
| ბაბოში-**კრის. პლიშკოვა** | 6:7, 6:3, 4:6 |
| **ლინეტი**-ლიმი | 6:3, 6:0 |
| **ვეკიჩი**-ჩანი | 3:6, 6:4, 6:1 |
| **ჰსიე**-გაიდოშოვა | 2:6, 6:4, 6:3 |
| მორიტა-**კიჩენოკი** | 4:6, 2:6 |
| **კარ. პლიშკოვა**-კრუნიჩი | 6:2, 6:2 |
| ს. ჟენგი-**შ. ჟანგი** | 6:2, 2:6, 2:6 |
| **ბუიკაკჩაი**-დატე | 5:3 უარი |
| **ლ. ჟანგი**-სავჩუკი | 6:3, 6:2 |
| ჰოზუმი-**მეირი** | 4:6, 6:2, 3:6 |
| **მაიერიჩი**-ამანმურადოვა | 4:6, 6:2, 6:0 |

ამბები

## ცვლილება 16 წლის შემდეგ

„ნეშვილ პრედატორზის" ხელმძღვანელობამ მთავარი მწვრთნელის პოსტიდან დაითხოვა **ბარი ტროტცი**. მას კლუბში ერთ-ერთი ხელმძღვანელის პოსტი შესთავაზეს. ჯერჯერობით უცნობია, ვინ გახდება გუნდის ახალი მთავარი მწვრთნელი.

„ნეშვილში" მწვრთნელთან გამოთხოვება განვითარების კურსის შეცვლით ახსნეს, რომელიც ჯერ კიდევ გასულ სეზონში დაიწყო. კერძოდ, ცვლილებები მოხდა სამწვრთნელო შტაბში, აგრეთვე გაახალგაზრდავდა შემადგენლობა. *„ჩვენი მიზანია - პლეი ოფში დაბრუნება და სტენლის თასისთვის ბრძოლა"*, - განაცხადა კლუბის გენერალურმა მენეჯერმა **დევიდ პოილმა**.

ტროტცი „ნეშვილის" ისტორიაში ერთადერთი მთავარი მწვრთნელი იყო. მან გუნდი 1998 წელს ჩაიბარა, როცა „პრედატორზს" დებიუტი ჰქონდა ლიგაში. ტროტცის ხელმძღვანელობით, გუნდმა შვიდჯერ ითამაშა პლეი ოფში და ორჯერ გადალახა სტენლის თასის პირველი რაუნდი. ბოლო ორი სეზონია, „ნეშვილი" პლეი ოფში არ გასულა.

## ამერიკას მწვრთნელი შეპოვეს

მსოფლიოს 2014 წლის ჩემპიონატზე, რომელიც ბელარუსის დედაქალაქ მინსკში გაიმართება, აშშ-ის ნაკრებს **პიტერ ლავიოლეტი** უხელმძღვანელებს. ის ორჯერ წვრთნიდა ამერიკას პლანეტის პირველობაზე - 2004 (ბრინჯაოს მედალი) და 2005 წლებში. 49 წლის სპეციალისტის ასისტენტები იქნებიან - **ჯო საკო**, **ფილ ჰაუსლი** და **დონ გრანატო**. ლავიოლეტი სოჭის ოლიმპიადაზე აშშ-ის ნაკრების სამწვრთნელო შტაბში იყო, აგრეთვე ხელმძღვანელობდა გუნდს ტურინის 2006 წლის თამაშებზე.

საკლუბო დონეზე ლავიოლეტის ბოლო სამუშაო ადგილი „ფილადელფია" იყო. 2006 წელს, ამერიკელის ხელმძღვანელობით სტენლის თასი მოიპოვა „კაროლინამ".

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფორმულა 1


ჯინ ჰაასი

# ამერიკული გუნდის საწყისებთან

NASCAR-ის სერიის ერთ-ერთი საჯინიბოს ხელმძღვანელმა **ჯინ ჰაასმა** განაცხადა, რომ კომპანია Dallara-სთან პარტნიორობის იმედი აქვს, რათა შექმნას შასი 2015 წელს ფორმულა 1-ში გამოსვლისთვის.

გასულ კვირას გახდა ცნობილი, რომ ავტოსპორტის საერთაშორისო ფედერაციამ აშშ-ის გუნდს ფორმულა 1-ის ჩემპიონატში მონაწილეობისთვის ლიცენზია გამოუყო. დებიუტისთვის კარგად მოსამზადებლად, კალიფორნიელებს სარბოლო ტექნიკის დამამზადებელ ცნობილ კომპანიასთან ტექნიკური პარტნიორობის დიდი იმედი აქვთ.

*„ჩვენ არ ვაპირებთ გავხსნათ საკუთარი წარმოება, - განაცხადა ჰაასმა. - წინასწარი მოლაპარაკებები Dallara-სთან უკვე გაიმართა და ისინი მზად არიან ჩვენს დასახმარებლად.*

*მათ აქვთ ყველა საჭირო მოწყობილობა, გამოცდილება. რაც თავი მახსოვს, ისინი რბოლებით არიან დაკავებულნი.*

*რა თქმა უნდა, ძალიან მინდა იმის თქმა, რომ ყველაფერს ჩვენ თვითონ გავაკეთებთ და ცხრა თვეში საჭირო პერსონალს შევკრებთ. მაგრამ ეს შეუძლებელია. აქ საჭიროა კომპრომისის მონახვა - რა გვინდა გავაკეთოთ მანქანის შექმნისთვის და რეალურად რისი გაკეთება შეგვიძლია".*

ჯინმა აღნიშნა, რომ თანამშრომლობაში მთავარი მიზანი გამოცდილების მიღებაა, რომელიც მომავალში ფორმულა 1-ისთვის საკუთარი ტექნიკის გამოშვების საშუალებას მისცემს.

*„ჩვენ უნდა ვისწავლოთ. ლაპარაკი არ არის იმაზე, რომ უბრალოდ მივიდეთ და ვთქვათ: „დაგვიმზადეთ შასი", - ამბობს ჰაასი. - ჩვენთვის მნიშვნელოვანია გავგზავნოთ იქ ხალხი. ისინი შეისწავლიან ყველა პროცესს და საბოლოოდ, გუნდში სრულფასოვან კონსტრუქტორებად დაბრუნდებიან.*

გუნდის პირველი მანქანა არ იქნება ნამდვილი Haas - ბევრი ტექნოლოგია პარტნიორებისგან იქნება აღებული.

მაგრამ ჩვენ გავარკვევთ - რისი გაკეთება შეგვეძლება საკუთარი ძალებით. შეგვიძლია ევროპელები მათ მოედანზე დავამარცხოთ".

■ ■ ■

ასევე მნიშვნელოვანია ძრავების მომწოდებელი კომპანიის არჩევა. ჯერ არჩევანი გაკეთებული არ არის. ახალი გუნდის ხელმძღვანელი **გიუნტერ სტეინერი** ადასტურებს, რომ მოლაპარაკებები მიმდინარეობს „მერსედესთან" და „ფერარისთან".

*„ჩვენ უნდა ავირჩიოთ ტექნიკური პარტნიორი და აქედან დავიწყოთ წინსვლა, - აღნიშნა მან. - განცხადება უახლოესი ოთხი-ექვსი კვირის განმავლობაში გაკეთდება.*

*აქ ძალიან მნიშვნელოვანია სწორი გადაწყვეტილების მიღება. აჩქარებას არ ვაპირებთ, რადგან შემდეგ, დაშვებული შეცდომის გაცნობიერება დიდ დროს წაიღებს".*

ასევე ჯინ ჰაასმა აღიარა, რომ არსებობს ვარიანტი, რომლის მიხედვითაც გუნდი ვერ მოასწრებს მომავალი სეზონის სტარტისთვის მომზადებას. ასეთ შემთხვევაში, მას სურს დებიუტი 2016 წლისთვის გადაიწიოს.

*„საქმე ისაა, რომ 2015 წლის სეზონი ძალიან ახლოსაა, იმ დროს, როცა 2016 წლის ჩემპიონატამდე ჯერ დიდი დროა, - აღიარებს ამერიკელი. - თუ მომენტს ხელიდან გავუშვებთ, შემდეგ გაცილებით მეტის დახარჯვა მოგვიწევს, რადგან გუნდი პრაქტიკულად გაჩერებული იქნება 2015 წლის ბოლომდე.*

*მოკლედ, ბევრი რამ არის მოსაფიქრებელი იმისთვის, რომ ჩავიდეთ პირველ რბოლაზე და მასში მონაწილეობა მივიღოთ.*

ეს ძალიან რთულია და გეგმის შემუშავებას მომავალ რამდენიმე კვირას დავუთმობთ. ამოცანა რთულია, მაგრამ თუ ჩვენ ვთქვით, რომ ვიქნებით 2015 წლის სტარტზე, ე. ი. აუცილებლად ვიქნებით".

# რედ ბული არ დააკმაყოფილეს


დანიელ რიკარდო

ავტოსპორტის საერთაშორისო ფედერაციამ უარყო „რედ ბულის" აპელაცია ავსტრალიის გრანპრიზე თავისი პილოტის **დანიელ რიკარდოს** დისკვალიფიკაციასთან დაკავშირებით. ასე რომ, ავსტრიულმა საჯინიბომ ვერ შეძლო მელბურნში დაკავებული მეორე ადგილის დაბრუნება.

*„სასამართლომ მოუსმინა ორივე მხარეს, განიხილა მათი არგუმენტები და ძალაში დატოვა რბოლის სტიუარდების გადაწყვეტილება - ამოიღონ ავსტრალიის გრანპრის ოქმიდან ბოლიდი „ნომერი 3", -* წერია ფედერაციის ოფიციალურ განცხადებაში.

შეგახსენებთ, რომ რიკარდომ მელბურნში მეორე ადგილი დაიკავა, მაგრამ რბოლის შემდეგ, სტიუარდებმა გააუქმეს დანიელის შედეგი. რიკარდოს ბოლიდზე საწვავის ხარჯი აღემატებოდა დაშვებულ ნორმას, თუმცა „რედ ბულში" დარწმუნებულები არიან, რომ შესაბამისი მოწყობილობა გაუმართავი იყო და ავსტრიელებს არ დაურღვევიათ რეგლამენტი.

ჩოგბურთი

# როლან გაროსი გამდიდრდა

2014 წელს, სეზონის რიგით მეორე ტურნირის - როლან გაროსის საპრიზო ფონდი 25 მილიონი ევრო იქნება, რაც სამი მილიონით მეტია შარშანდელ სეზონთან შედარებით.

მამაკაცთა და ქალთა ერთეულებში გამარჯვებული ჩოგბურთელები 1 650 000 ევროს (თითოეული) მიიღებენ. ეს თანხა 10 პროცენტით აღემატება შარშანდელ ჰონორარს.

მეორე, მესამე და მეოთხე წრეებში გამოვარდნილი ჩოგბურთელები შარშანდელზე 20-25 პროცენტით მაღალ ჰონორარს მიიღებენ.

როლან გაროსის საპრიზო ფონდის გაზრდა ნაწილია იმ ხუთწლიანი გეგმისა, რომელიც 2013 წელს შეიმუშავეს, - ამბობს ტურნირის დირექტორი **გილბერტ ისერნი.** *„ეს გეგმა სპეციალურად შემუშავდა იმ მოთამაშეებისთვის, რომლებიც ტურნირის პირველ კვირას გამოეთიშებიან ბრძოლას", -* დაამატა ისერნმა.



ავტოსპორტი

# პეჟომ დაკარისთვის წარადგინა

ფრანგულმა კომპანია „პეჟომ" საზოგადოებას წარუდგინა თავისი ახალი ავტომობილის - 2008DKR-ის პირველი გამოსახულება. „პეჟო" ამ ავტოთი აპირებს ლეგენდარულ მარათონ „დაკარზე" გამოსვლას და ამ რალი-რეიდში ძველი დიდების დაბრუნებას.

ყველაგანმავალს, რომლის საჭეს მიუსხდებიან **კარლოს საინსი, სტეფან პეტერანსელი** და **სირილ დეპრე**, მხოლოდ ერთი ღერძი ექნება წამყვანი - ფრანგებმა გადაწყვიტეს ტექნიკურ სპეცმონაკვეთებზე მანქანის გაწევა მსხვერპლად შეეწირათ ქვიშიან მონაკვეთებზე სიჩქარეს.


ახალი პეჟო დაკარისთვის

ლეგენდარულმა კარლოს საინსმა განაცხადა, რომ ადრე არასოდეს უნახავს მსგავსი ყველგანმავალი. *„ბოლო ორი ავტომარათონი ისეთი მანქანებით გავიარე, რომლებსაც წამყვანი ღერძი ოთხი ჰქონდათ. დარწმუნებული ვარ, ასეთი გადაწყვეტა გამარჯვების საშუალებას მოგვცემს".*

„პეჟოს" საქარხნო გუნდს ანგარიშზე ოთხი გამარჯვებაა აფრიკულ „დაკარზე". ტრიუმფალური პერიოდი 1987-90 წლებში იყო, როცა ავტომარათონს იგებდნენ ფინელები - **იუჰა კანკუნენი** და **არი ვატანენი**.

გვერდი მოამზადა
გია **თვალაბეიშვილმა**




დამფუძნებელი და გამომცემელი შპს გამომცემლობა ლელო
ISSN 2233-3827
გამოიცემა ყოველდღე, გარდა კვირისა

მთავარი რედაქტორი **თენგიზ გაჩეჩილაძე**
მთავარი რედაქტორის პირველი მოადგილე **გია თვალაბეიშვილი (599 56 17 38)**; მოადგილე: **ნიკოლოზ ნეფარიძე (595 09 03 28)**
მხატვრული რედაქტორი: **ვაჟა სიმონიშვილი;** ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი **მიხეილ ჯაში;** ფოტო: **თამუნა ყულუმბეგაშვილი.**
1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. „ლელოს" მთავარი რედაქტორები: **მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 1964-76), ერემო მახათაძე (1952-53), ირაკლი უგულავა (1953-64), ანზორ ბასილაია (1976-83), არჩილ გოგელია (1984-85), თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან).**
პარტრა მდიის ცხელი ხაზი: 2 19 60 13; 2 19 60 53. ელფოსტა: leloltd@gmail.com; მისამართი: იოსებიძის, 49. ხელმოწერილია დასაბეჭდად: 02:40 ნომრის პასუხისმგებელი რედაქტორი: ნიკოლოზ ნეფარიძე
ტელეფონი: 238 84 44; 238 74 44 (რედაქცია). 599 55 48 97 (მთ. რედაქტორი); ფაქსი: +995. 232 38 08 63; ინდექსი 66435 INDEX. სარეკლამო განყოფილება: 237 78 07; 2 38 78 70
რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა ბეჭდვით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია
საბანკო რეკვიზიტები: შპს „გამომცემლობა ლელო", 205262062. ბანკი „ქართუ" CRTUGE22 ა\ა GE19CR0120007000043608